სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

საქართველოში მოქმედი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ბავშვთა დღის ცენტრების, მათი ბენეფიციარებისა და ოჯახების საჭიროებათა გამოვლენა

თვისებრივი კვლევის (სიღრმისეული ინტერვიუები, ფოკუს–ჯგუფები) ანალიტიკური ანგარიში

სარჩევი

მეთოდოლოგია 3

სიღრმისეული ინტერვიუების ძირითადი შედეგები 5

ფოკუს ჯგუფების ძირითადი შედეგები 7

სიღრმისეული ინტერვიუების დეტალური ანალიტიკური ანგარიში 10

I. დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების ზოგადი შეფასება..... 11

1.1. სტანდარტების შესაბამისობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან..... 13

1.2. სტანდარტების შესაბამისობა სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებთან..... 14

1.3. შშმ სტატუსის მინიჭების პროცედურები და მისი კავშირი დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტებთან..... 16

II. დღის ცენტრების დაფინანსება..... 18

2.1. დაფინანსების ვაუჩერული წესის შეფასება 18

2.2. ვაუჩერით გათვალისწინებული თანხის შეფასება..... 19

2.3. დაფინანსების ალტერნატიული წყაროები 21

III. დღის ცენტრში ბენეფიციარის ჩართვის მექანიზმი 28

IV. დღის ცენტრების მომსახურების მონიტორინგი 31

V. დღის ცენტრების რესურსები..... 34

5.1. ადამიანური რესურსები 35

VI. დღის ცენტრების პროგრამაში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის ჩართულობა.. 38

6.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობა..... 38

VII. დღის ცენტრის ფუნქცია..... 42

ფოკუს–ჯგუფების დეტალური ანალიტიკური ანგარიში 45

I. სტანდარტის ზოგადი შეფასება 46

II. დღის ცენტრის დაფინანსების ვაუჩერული წესი 48

III. სკოლისა და დღის ცენტრის შეთავსება..... 51

IV. დღის ცენტრის რესურსები 56

4.1. ადამიანური რესურსები 58

V. ბენეფციართა ჩართვა დღის ცენტრების პროგრამაში 65

VI. დღის ცენტრის პროგრამების შეფასება..... 68

5.1. ბენეფციაირტთა ინდივიდუალური გეგმები..... 68

5.2. ბენეფიციარების აღრიცხვა და გრაფიკი 70

5.3. დღის ცენტრების გაკვეთილები და პროგრამები 71

VII. დღის ცენტრის ფუნქცია..... 75

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სიღრმისეულად მოხდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ბავშვთა დღის ცენტრების, მათი ბენეფიციარებისა და ოჯახების საჭიროებების გამოვლენა. კვლევის ამოცანები იყო დღის ცენტრების სახელმწიფო სტანდარტებისა და დაფინანსების წესის შეფასება; დღის ცენტრების მომსახურებისა (საგანმანათლებლო, ტექნიკური და ადამიანური რესურსების) და ფუნქციის შესწავლა და დღის ცენტრების პროგრამის ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება. კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის ორი მეთოდი: სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფები.

ფოკუს ჯგუფის მეთოდით გამოიკითხა დღის ცენტრის პედაგოგები/თერაპევტები, ბენეფიციარები (18 წლის და მეტის) და მათი მშობლები/მეურვეები. სულ ჩატარდა 12 ჯგუფური დისკუსია 4 ქალაქში: ბათუმი, ქუთაისი, გორი, თბილისი. თითოეულ ქალაქში გამოიკითხა სამივე სამიზნე ჯგუფი *(იხ. ცხრილი N1).* თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 6–9 მონაწილემ. ფოკუს ჯგუფების ხანგრძლივობა გრძელდებოდა 1 საათიდან 2 საათამდე. ეთიკური მიზეზების გამო, ანგარიშში კვლევის მონაწილეების სახელები შეცვლილია ფსევდონიმებით.

ცხრილი N1. ფოკუს ჯგუფების ტერიტორიული განაწილება და თითოეულ ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა

ქალაქი	სამიზნე ჯგუფი	მონაწილეების რაოდენობა
თბილისი	დღის ცენტრების ბენეფიციარები	9
	დღის ცენტრების ბენეფიციარების მშობლები/მეურვეები	8
	დღის ცენტრების პედაგოგები/თერაპევტები	9
ბათუმი	დღის ცენტრების ბენეფიციარები	8
	დღის ცენტრების ბენეფიციარების მშობლები/მეურვეები	8
	დღის ცენტრების პედაგოგები/თერაპევტები	6
ქუთაისი	დღის ცენტრების ბენეფიციარები	6
	დღის ცენტრების ბენეფიციარების მშობლები/მეურვეები	7
	დღის ცენტრების პედაგოგები/თერაპევტები	4
გორი	დღის ცენტრების ბენეფიციარები	8
	დღის ცენტრების ბენეფიციარების მშობლები/მეურვეები	8
	დღის ცენტრების პედაგოგები/თერაპევტები	6

რაც შეეხება სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდს, სულ ჩატარდა 24 ინტერვიუ, აქედან 10 - საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და საქართველოს პარლამენტის წევრი), 9 - ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან (თბილისში, გორში, რუსთავში, საჩხერეში, წალენჯიხაში, ბათუმში, ჩხოროწყუში, ოზურგეთში, ჩოხატაურში), ხოლო 5 - სფეროს ექსპერტებთან *(იხ. ცხრილი N2).* სიღრმისეული ინტერვიუებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად. ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა 45 წუთი იყო. ეთიკური მიზეზების გამო, ანგარიშში არ არის გამოყენებული მონაწილეების სახელები.

ცხრილი N2. სიღრმისეული ინტერვიუების რაოდენობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით

სამიზნე ჯგუფი		**ინტერვიუების რაოდენობა**	
სფეროს ექსპერტები		*5*	
საჯარო მოხელეები		*10*	
	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	3	
	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6	
	საქართველოს პარლამენტი	1	
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები		*9*	
	თბილისი	1	
	ბათუმი	1	
	ოზურგეთი	1	
	ჩოხატაური	1	
	წალენჯიხა	1	
	ჩხოროწყუ	1	
	საჩხერე	1	
	გორი	1	
	რუსთავი	1	
სულ		**24**	

სიღრმისეული ინტერვიუს და ფოკუს ჯგუფის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრად სტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმა, რომელიც 15-20 შეკითხვისგან შედგებოდა. მიუხედავად ამისა, თითოეული ინტერვიუს ან ფოკუს ჯგუფის განმავლობაში იცვლებოდა მათი ფორმულირება, რიგითობა და ჩნდებოდა ახალი კითხვები. ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დაწყებამდე, მონაწილეები იღებდნენ ზოგად ინფორმაციას კვლევისა და მონაცემების კონფიდენციალურობის შესახებ.

ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები ჩაიწერა აუდიო ფირზე (ფოკუს ჯგუფები ჩაიწერა ვიდეო ფირზეც), რის შესახებ ინფორმაციაც წინასწარ მიიღეს კვლევის მონაწილეებმა. ინტერვიუების დასრულების შემდეგ, მოხდა ჩანაწერების გაშიფრვა. ტრანსკრიპტები გაანალიზდა თემატურად, ეს მეთოდი შეირჩა მისი მოქნილობის გამო. თავდაპირველად, მოხდა მონაცემების რამდენჯერმე წაკითხვა და დაიწყო კოდირების პროცესი. ამის შემდეგ, მოხდა კოდების თემებად ტრანსფორმირება. თითოეულ თემაში გამოიყო ქვეთემები. საბოლოო სახით, ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებში გამოკვეთილი ძირითადი თემები კვლევის ანალიტიკურ ანგარიშშია წარმოდგენილი.

სიღრმისეული ინტერვიუების ძირითადი შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა 3 სამიზნე ჯგუფთან - საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებთან (სულ 10 ინტერვიუ), ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან (სხვადასხვა ქალაქში, სულ 9 ინტერვიუ) და სფეროს ექსპერტებთან (5 ინტერვიუ).

1. დღის ცენტრების მომსახურების სტანდარტების შემუშავებამ, ერთი მხრივ, დღის ცენტრების საქმიანობის გამართვას შეუწყო ხელი, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს დღის ცენტრების პროგრამის რეგულირებაში დაეხმარა. კვლევის მონაწილეების აზრით, სტანდარტი ლიბერალურია და მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს აწესებს, თუმცა სტანდარტი ვეღარ აკმაყოფილებს არსებულ გამოწვევებს, რის გამოც, დღის წესრიგში მისი გადახედვის საჭიროება დადგა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სტანდარტების ძირითად ხარვეზებს შემდეგი საკითხები წარმოადგენს: 1) სტანდარტები არ არის მორგებული ყველა ტიპის შეზღუდულ შესაძლებლობაზე და საჭიროა მათი დიფერენცირება; 2) არ არის მორგებული ყველა ასაკობრივ ჯგუფზე. საბოლოო ჯამში, სტანდარტები მიზნად სოციალურ ინკლუზიას უნდა ისახავდეს. კვლევის მონაწილეების აზრით, სანამ სტანდარტები ინდივიდუალურ საჭიროებებზე არ იქნება დაფუძნებული, სერვისი ვერ იქნება ადეკვატური.

2. კვლევის მონაწილეების აზრით, დღის ცენტრების დაფინანების არსებულ მოდელი მოქნილი, გამართული და სტაბილურია, თუმცა, ზრდასრულთა შემთხვევაში, ვაუჩერული წესის სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიბმას გარკვეული უკმაყოფილება ახლავს თან. სახელმწიფო ცდილობს, პრიორიტეტი სოციალურად დაუცველ პირებს მიანიჭოს, რაც საჯარო მოხელეებისა და ექპერტების ნაწილისგან დადებითად ფასდება. ექსპერტებისა და საჯარო მოხელეთა მცირე ნაწილი კი ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობა და სოციალური დაუცველობა სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტია და მათი ერთ ჭრილში გაანალიზება და ფინანსური რეგულირება არ უნდა ხდებოდეს. როგორც კვლევამ აჩვენა, დღის ცენტრების მომსახურების დაფინანსება არ არის საკმარისი და არ ითვალისწინებს ბენეფიციარების საჭიროებებს. კვლევის მონაწილეები ფიქრობენ, რომ დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნებაა საჭირო, რაც, პირველ რიგში, მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი ან საერთაშორისო დონორების ჩართულობას გულისხმობს.

3. ბენეფიციართა დღის ცენტრში ჩართვის მექანიზმი, მონაწილეთა თქმით, საკმაოდ მარტივია; თუმცა, ამ პროცესს შემდეგი სირთულეები ახლავს თან: დღის ცენტრის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა, კვოტირება და მომლოდინეთა რიგები, რის გამოც, შესაძლოა, ბენეფიციარი დღის ცენტრში მოხვედრას ერთ წელზე მეტხანს ელოდოს.

4. საჯარო მოხელეთა უმრავლესობის აზრით, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მონიტორინგის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყო დღის ცენტრების სერვისის გაუმჯობესებას. თუმცა, დღის ცენტრის მონიტორინგის წესს კვლევის მონაწილეების გარკვეული უკმაყოფილება ახლავს თან. სფეროს ექსპერტების თქმით, მნიშვნელოვანია,

რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება არა ფორმალურ მხარეს, არამედ შინაარსსა და ხარისხს მიაქცოს. აგრეთვე, გამოიკვეთა, რომ საჭიროა მონიტორინგის ინტრუმენტების დახვეწა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ბენეფიციართა ინდივიდუალურ გეგმებს მიექცევა. ექსპერტების ნაწილის კრიტიკა მონიტორინგის ჯგუფის კვალიფიკაციასა და ბენეფიციართა დასწრების აღრიცხვის ფორმასაც ეხებოდა.

5. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ადამიანური რესურსებისა და პროფესიონალების ნაკლებობა წარმოადგენს. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, დღის ცენტრს არსებული დაბალი დაფინანსებით არ შეუძლია კვალიფიციური კადრის შენარჩუნება. ასევე, ზოგიერთ რეგიონში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. განსაკუთრებით ეს ეხება ოკუპაციური, ფიზიოლოგიური, მეტყველების თერაპევტებს და სოციალურ მუშაკებს. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს არსებული კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების უზრუნველყოფაც. განათლების სამინისტროს შეუძლია გარკვეული პროფესიონალების მომზადების უზრუნველყოფა, თუმცა მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობის კუთხით. ექსპერტების ნაწილი კი მიიჩევს, რომ კადრების კვალიფიკაციაზე ზრუნვა დღის ცენტრების პრეროგატივაა, თუმცა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ისინი ამას ვერ ახერხებენ. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება შესაძლებელია საკუთარ თავზე დღის ცენტრის გაერთიანებებმა, კოალიციებმა და ასოციაციებმა აიღონ. კვლევის მონაწილეების ნარატივიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დღის ცენტრმა დიდი რესურსი დახარჯოს თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლებაში, მაგრამ პროფესიონალი კადრი, დაბალი ანაზღაურების გამო, მაინც ვერ შეინარჩუნოს.

6. დღის ცენტრის სერვისის განვითარებაში სხვადასხვა სტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა, ამ სტრუქტურებს შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი განათლების სამინისტროს ჩართულობაა. ამ უკანასკნელის ფუნქციას კვლევის მონაწილეები სხვადასხვა კუთხით ხედავენ, მაგალითად, ზოგიერთი მათგანი დღის ცენტრის სკოლის ბაზაზე ფუნქციონირების იდეას უჭერს მხარს. განათლების სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, ბენეფიციარის სკოლასა და დღის ცენტრში ერთდროულად სიარული გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, მაგალითად, ზოგიერთი ბენეფიციარი, ამის გამო, დღის ცენტრს ან სკოლას ხშირად აცდენს, რაც, პირველ რიგში, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის კომუნიკაციის დეფიციტითაა გამოწვეული.. კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ რეალური ინკლუზიის მიღწევა მხოლოდ სკოლაშია შესაძლებელი. მეორე მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებაში დისკრიმინაციული გარემოს გამო, სკოლის მიმართ ბენეფიციარის ოჯახის ან კანონიერი წარმომადგენელის უარყოფითი დამოკიდებულებაც პრობლემურია. ზრდასრული ბენეფიციარებისთვის აგრეთვე, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მიღებაც.

7. კვლევამ აჩვენა, რომ დღის ცენტრი ოჯახის მხარდაჭერის კუთხითაც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. თუმცა, კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ დღის ცენტრების პროგრამა გაუმჯობესებას საჭიროებს, რაცსხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. მათი თვლსაზრისით, პირველ რიგში, დაფინანსების დივერსიფიცირებაა საჭირო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა და განათლების სამინისტრომ, ჯანდაცვის

სამინისტროსთან ერთად, დღის ცენტრების პროგრამის განხორციელების პასუხისმგებლობა გადაინაწილონ.

ფოკუს ჯგუფების ძირითადი შედეგები

ფოკუს ჯგუფებიც 3 სამიზნე ჯგუფთან ჩატარდა საქართველოს ოთხ ქალაქში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და გორში. თითოეულ ქალაქში ჯგუფური დისკუსიები გაიმართა დღის ცენტრების ბენეფიციარებთან, მათ მშობლებთან/მეურვეებთან და დღის ცენტრების პედაგოგებთან/თერაპევტებთან. კვლევის ფარგლებში, სულ 12 ჯგუფური დისკუსია ჩატარდა.

1. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია, დღის ცენტრების მომსახურების სტანდარტების შემუშავების პროცესში, დღის ცენტრების წარმომადგენლებიც ჩაერთონ. გარდა ამისა, მათი ნარატივიდან გამოიკვეთა სტანდარტების, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ასაკობროვი კატეგორიების მიხედვით დიფერენცირების საჭიროება.

2. კვლევამ აჩვენა, რომ ვაუჩერის გაცემა ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით არ ხდება. პედაგოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ვაუჩერის რაოდენობის სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიბმა დაუშვებელია, რადგან ვაუჩერი ყველასთვის ერთსა და იმევე თანხას უნდა ითვალისწინებდეს. პედაგოგებისა და თერაპევტების ინფორმაციით, ბენეფიციართა რიცხვი გაცილებით მეტია ვიდრე სახელმწიფოს მიერ დღის ცენტრის მომსახურებისთვის გამოყოფილი კვოტები. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის არსებული დაფინანსება არასაკმარისია და ბენეფიციარის საჭიროებებზე გათვლილი არ არის, რის გამოც, ცენტრები მათ ადეკვატურ სერვისს ვერ სთავაზობენ. გარდა ამისა, მცირე დაფინანსების გამო, დღის ცენტრებს უჭირთ კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოძიება და, შემდგომ, მათი შენარჩუნება. ზოგიერთი პედაგოგი დაფინანსების ალტერნატიული წყაროების შესახებაც საუბრობს, თუმცა, ისინი აღნიშნავენ, რომ ამგვარი დაფინანსება სტაბილური არ არის და დღის ცენტრების სრული დაფინანსება სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს.

3. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ის ბავშვები, რომლებიც სკოლაშიც დადიან და დღის ცენტრების მომსახურებასაც იღებენ, ორივე პროგრამით კმაყოფილები არიან. მშობლები ფიქრობენ, რომ სკოლას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ბავშვთა სოციალიზაციისა და განათლების კუთხით, ამიტომ, დღის ცენტრის პარალელურად, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა სკოლაშიც იაროს. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ ხშირად ბენეფიციარები სკოლაში, ადმინისტრაციის ან თანაკლასელების მხრიდან მათდამი ნეგატიური დამოკიდებულებების გამო, არ დადიან, რის გამოც, ბავშვი მხოლოდ დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობს. დღის ცენტრის როლს მშობელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს. კვლევამ აჩვენა, რომ ბენეფიციართა ნაწილს სურვილი აქვს პროფესიული განათლება მიიღოს, თუმცა, ხელმისაწვდომი გარემოს არარსებობის გამო, ისინი ამას ვერ ახერხებენ.

4. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, დღის ცენტრს რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები, ძირითადად, შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ადაპტირებული ტრანსპორტისა და საჭირო ინვენტარის ნაკლებობის გამო ექმნება. ზოგიერთი ბენეფიციარი დღის ცენტრის კვების რაციონითაც უკმაყოფილოა. კვლევის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, აგრეთვე, დღის ცენტრებში ადამიანური რესურსების ნაკლებობა. რაც შეეხება არსებულ კადრებს, ბენეფიციართა და მშობელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს მათ საქმიანობას. თავად პედაგოგები კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საჭირობაზე საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ დღის ცენტრს არ აქვს საშუალება პედაგოგებს ამ ტიპის მომსახურება შესთავაზოს; ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, ისინი საჭირო ტრენინგებით ურზუნველყოს. პედაგოგებისა და თერაპევტებისთვის პრობლემურია დაბალი ანაზღაურების საკითხიც. მათი დიდი ნაწილი აღიშნავდა, რომ დღის ცენტრში კადრების ნაკლებობის გამო, მათ სხვადასხვა სპეციალისტის ვალდებულებების შეთავსება უწევთ. დღის ცენტრში დასაქმებული პროფესიონალებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია, მათთვის ე.წ. „პედაგოგის სტატუსის“ მინიჭების საკითხიც. სირთულეების მიუხედავად, პედაგოგები დღის ცენტრში მუშაობის უპირატესობებზე საუბრობენ და ამბობენ, რომ მათ მოტივაციას ბენეფიციარის წინსვლა და საკუთარი შრომის შედეგები უმაღლებთ.

5. მშობლების ნაწილი დღის ცენტრის პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის სირთულეებზე საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი დღის ცენტრის სერვისის მიღებას, დაახლოებით, ერთი წელი ელოდნენ. ისინი, ასევე, აღნიშნავდნენ, რომ თავიდან დღის ცენტრში შვილის მიყვანა გაუჭირდათ, რადგან ბავშვის მარტო დატოვების ეშინოდათ. თავად ბენეფიციარები კი აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრს ადვილად მიეჩვივნენ და უმეტესობა გაწეული სერვისით კმაყოფილია. როგორც კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, მშობელთა ნაწილი უარს ამბობს შვილის იმ დღის ცენტრში მიყვანაზე, სადაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციარები დადიან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სტიგმას ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ.

6. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა, დღის ცენტრის პროგრამის შეფასების დროს, რამდენიმე საკითხზე გაამახვილეს ყურადღება. პედაგოგების ნაწილი ამბობდა, რომ ბენეფიციარების ინდივიიდუალურ გეგმის განხორციელებას გარკვეული სირთულეები ახლავს თან, მაგალითად, ბენეფიციართა ჭარბი რაოდენობა შეუძლებელს ხდის მათთან ინდივიდუალურ მუშაობას. ასევე, გამოიკვეთა, ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში, მშობლების ჩართულობის აუცილებლობა, თუმცა, პედაგოგების აზრით, მშობლები არ არიან ამ კუთხით აქტიურები. პედაგოგების უკმაყოფილება ახლავს ბენეფიციართა აღრიცხვის პროცედურასაც, რასაც დიდი დრო მიაქვს და ბენეფიციართან მუშაობის პროცესს აფერხებს. ბენეფიციართა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ დღის ცენტრში მეტი დროის გატარება შეეძლებოდა. რაც შეეხება დღის ცენტრის პროგრამას, კერძოდ, გაკვეთილებს, სახელოსნოებსა და აქტივობებს, მშობელთა უმრავლესობა არსებული მომსახურებით კმაყოფილია, თუმცა, როგორც მშობლები, ისე ბენეფიციარები გარკვეული გაკვეთილებისა და აქტივობების დამატებას ისურვებდნენ. პედაგოგები ფიქრობენ, რომ მნიშვნლოვანია სახელმწიფომ გამოიჩინოს ინიციატივა და

დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის შეღავათიანი ფასები დააწესოს სხვადასხვა დაწესებულებაში შესასვლელად, რაც გაზრდის ბენეფიციართათვის დღის ცენტრების მიერ დაგეგმილ აქტივობათა რიცხვს. დასაქმების ხელშეწობის კუთხით კი, ბენეფიციართა უმრავლესობა ამბობდა, რომ საქამების დიდი სურვილი აქვთ, პედაგოგები კი ამ პროცესში სახელმწიფოს ჩართულობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

7. კვლევის მონაწილეები დღის ცენტრების მნიშვნელობაზე საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მათ მხოლოდ კვებისა და გართობის ფუნქცია არ უნდა ჰქონდეს. პედაგოგების ნაწილის აზრით, დღის ცენტრმა დადებითი როლი შეარულა ბენეფიციარების ცხოვრების გაუმჯობესებაში. დღის ცენტრში დასაქმებული პროფესიონალები აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთ ბენეფიციართან მათ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით, რასაც მხოლოდ სკოლა ვერ უზრუნველყოფდა. როგორც კვლევამ ცხადყო, დღის ცენტრები მშობლების მაღალი სანდოობით სარგებლობს და მათი შვილების დამოუკიდებელ ცხოვრებას უწყობს ხელს. მშობლების აზრით, დღის ცენტრის მთავარი ფუნქცია ბენეფიციართა სოციალიზაციაა, თუმცა, ის დღემდე შეუცვლელ სერვისად რჩება მშობლებისთვის ოჯახის მხარდაჭერის კუთხით. თავად ბენეფიციარები მათზე დღის ცენტრის დადებით გავლენაზე საუბრობდნენ. როგორც აღმოჩნდა, ხანდაზმული ბენეფიციარების შემთხვევაში, დღის ცენტრმა განსაკუთრებული როლი შეასრულა იმ კუთხით, რომ ისინი თავს მარტოსულად და გარიყულად აღარ გრძნობენ. პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციარებსაც; ისინი აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის თერაპიის სერვისი მათ ცხოვრების სირთულეების გადალახვაში დაეხმარა.

სიღრმისეული ინტერვიუების დეტალური ანალიტიკური ანგარიში

I. დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების ზოგადი შეფასება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტები 2011 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცის მინისტრის ბრძანების შედეგად დამტკიცდა[1]. სტანდარტები "სავალდებულოა იმ დღის ცენტრებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებლებს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში"[2]. კვლევის მონაწილე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელები საუბრობდნენ დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების მნიშვნელობისა და იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც სტანდარტების შემოღების შემდეგ ამ მიმართულებით განხორციელდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს[3] წარმომაგდნელთა უმეტესობა აღნიშავდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან სტანდარტების შემუშავება დღის ცენტრებს დაეხმარა, მათი საქმიანობა გამხდარიყო უფრო ორგანიზებული და სტრუქტურირებული. გარდა ამისა, სტანდარტების შემოღების შედეგად, სერვისის მიმწოდებლებს გარკვეული აქტივობების გატარება მოუწიათ:

> *სტანდარტი მნიშვნელოვანი იყო [..] იმისათვის რომ, სულ ცოტა ინფრასტრუქტურული გარემო მეტნაკლებად ყოფილიყო სტანდარტზე მორგებული..., ადრე შესაძლებელია ყოფილიყო სერვისი შშმ პირებისთვის, მაგრამ მისი ინფრასტრუქტურა განვითარებული არ იყო სათანადოდ.*
>
> *ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს წარმომადგენელის თქმით, სტანდარტები, ერთი მხრივ, თავად დღის ცენტრს ეხმარება სახელმწიფოს წინაშე მათი ვალდებულებების დაზუსტებაში, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს - იმ ვალდებულებების ფორმულირებაში, რომელთა მოთხოვნის უფლებაც აქვს დღის ცენტრებისგან. ამავე აზრს იზიარებს საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი: „სახელმწიფომ მოითხოვა ის სტანდარტები სერვის პროვაიდერებისგან, რისი დაცვაც აუცილებელია. ასევე, სერვისის მიმწოდებლებს უნდა სცოდნოდათ, თუ რას უნდა ელოდნენ სახელმწიფოსგან."

სტანდარტების, როგორც ასეთის, არსებობას სფეროს ექსპერტებიც დადებითად აფასებენ, თუმცა პარალელურად, მნიშვნელოვან ხარვეზებზე საუბრობენ, რომლებიც სტანდარტებს, მათი აზრით, შექმნის დღიდანვე ახლდა:

---

[1] საქარველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-13/ნ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტების დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1282864

[2] იქვე

[3] შემდგომში, სიმოკლისთვის, რექსტში გამოვიყენებთ ტერმინს „ჯანდცვის სამინისტრო"

სტანდარტები [...] თავისთავად, არ არის ცუდი, განსაზღვრავს მომსახურების ფორმას, ბენეფიციარების უფლებებს, კონფიდენციალობასთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა მეორე საქმეა სტანდარტის აღსრულება როგორ ხდება, რა შესაძლებლობა არის.

სფეროს ექსპერტი

ჯანდაცვის სამინისტროში გამოკითხულ საჯარო მოხელეთა უმრავლესობა საუბრობდა, რომ სტანდარტები ლიბერალურია და დღის ცენტრებისგან მხოლოდ მინიმალური პირობების დაკმაყოფილებას ითხოვს: „ამაზე დაბლა თამასის დაწევა წარმოუდგენელია.”

ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ფიქრობენ, რომ სტანდარტიებს შესრულება თავად დღის ცენტრებზეა დამოკიდებული: „დამოკიდებული არის როგორ უდგება [დღის ცენტრი სტანდარტების შესრულებას], რამდენად კეთილსინდისიერია, [ასევე მათ] პროფესიონალიზმზე და გამოცდილებაზე. [...] ეს არის მინიმალური სტანდარტები, რომლებიც შეუსრულებელი ნამდვილად არ არის.” მიუხედავად ამისა, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ, დროთა განმავლობაში, სტანდარტების გადახედვისა და შესწორების საკითხი დღის წესრიგში დადგა.

თავიდანვე ის იყო ზოგადი, არ იყო კონკრეტული და ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დღის ცენტრების სპექტრიც იყო ძლიან მრავალფეროვანი, [...] რომ არ შეეზღუდა რომელიმე დღის ცენტრის მუშაობა და ყოფილიყო მაქსიმალურად ფართო.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

კვლევის ყველა მონაწილე აღნიშნავდა, რომ სტანდარტები მოძველებულია და გადახედვას საჭიროებს. ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, „უკვე დროა, რომ უფრო კონრეტული სტანდარტები შეიქმნას, უფრო სიღრმისეული”. მონაწილეთა ნაწლი აღნიშნავდა, რომ სტანდარტებში მნიშვნელოვანი ხარვეზებია. მაგალითად, იმის გამო, რომ ისინი საერთოა ყველასთვის, საჭიროა ქვესტანდარტების არსებობაც.

საჯარო მოხელეების მოსაზრებას სტანდარტების გადახედვასთან დაკავშირებით ექპერტთა უმრავლესობა იზიარებს. მათი მოსაზრებით, სტანდარტებიი ვეღარ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებს. ისინი საუბრობენ, რომ სტანდარტები ფორმალურად ხორციელდება და ხარისხს ნაკლები ყურადღება ექცევა. სტანდარტების შეფასების დროს, როგორც საჯარო მოხელეები, ისე სფეროს ექსპერტები, ძირითადად, შემდეგ ხარვეზებს გამოყოფდნენ: 1. სტანდარტები არ არის მორგებული სხვადახვა ასაკობრივ ჯგუფზე; 2. სტანდარტები არ არის მორგებული ყველა ტიპის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, სტანდარტები არ ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები არიან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეზღუდულები, [...] ეს სტანდარტები არ არის მორგებული სპეციფიკურ ჯგუფებზე." მეორე მხრივ, „პროგრამა არის მთლიანად ორიენტირებული ბავშვებზე, [...] ამის გარდა, არსებობენ კიდევ ზრდასრულები და კიდევ არსებობენ ხანდაზმულები, რომლებიც არანირად, არსად, არაფერში არ არიან გათვალისწინებულები". ზემოთ ხსენებული ხარვეზების აღმოფხვრა, კვლევის ზოგიერთი მონაწილის აზრით, ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების გზით უნდა ხდებოდეს, რაც, პირველ რიგში, სტატუსის მინიჭების დროს უნდა განისაზღვროს. კვლევის მონაწილეების აზრით, ამის მისაღწევად შეზღუდული შესაძლებლობების სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლაა საჭირო.

1.1. სტანდარტების შესაბამისობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან

როგორც გამოკითხულ ექსპერტთა ნარატივიდან ჩანს, დღის ცენტრების მომსახურების სტანდარტები არ ითვალისწინებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის საჭიროებებს „არ არის დიფერენციაცია და ყველა ერთადაა ჩაყრილი. [...] ბავშვებს სხვა საჭიროებები აქვთ, მოხუცებს – სხვა." ექსპერტების უმრავლესობა საუბრობდა, რომ სტანდარტები, ძირითადად, ბავშვებზეა მორგებული, მაშინ, როდესაც სხვადასხვა ასაკის ბენეფიციართა მოთხოვნები და საჭიროებები მნიშვნელოვნად განსახვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, სფეროს ექსპერტები საუბრობდნენ, რომ ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია ფორმალური განათლების ხელშეწყობა, უნარების დასწავლა, აბილიტაცია, ხანდაზმულებისთვის კი "უნარების დაკარგვის მართვა, მისი, ასე ვთქვათ, ტემპის შემცირება".

> *ეს პროგრამა არის ბავშვებითვის, და ხანდაზმულები აქ არიან ერთგვარი ზედმეტი ტვირთი, რომელიც ამ პროგრამას თითქოს არ სჭირდება, და ასეთი მეცამეტე გოჭის პოზიციაში ვართ ჩვენ.*
>
> *სფეროს ექსპერტი*

ექსპერტთა მოსაზრებებს საჯარო მოხელეთა ნაწილიც იზიარებს. ჯანდაცვის სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ სტანდარტები ერთნაირად განიხილავს ნებისმიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს და მომსახურებაში ასაკობრივი დიფერენციაცია არ არის; კერძოდ, მოზდილების შემთხვევაში, ბევრი აქტივობა დღის ცენტრებში ვერ ხორციელდება დასაქმების შესაძლებლობების არარსებობის გამო; აქცენტი, ძირითადად, კვებასთან დაკავშირებული სერვისებზე კეთდება.

მართალი რომ გითხრათ, [...] პრიორიტეტი არის ბავშვები, იმიტომ, რომ ბავშვებისთვის, ამ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანია დღის ცენტრის მომსახურების მიღება, იმიტომ რომ დაკარგული დროის დაბრუნება ძნელია, იმიტომ, რომ განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო[4] წარმომადგენელი ასევე საუბრობს ექვს წლამდე ბენეფიციართა მომსახურების სერვისის საჭიროებაზე: „ჩამნაცვლებელი შეიძლება ბაღი იყოს, მაგრამ ეს ბაღიც ვერ პასუხობს ამ ბავშვების საჭიროებებს. მგონია, რომ ადრეული ასაკიდან უნდა არსებობდეს სერვისები, რაც მერე დაეხმარება ამ ბავშვებს."

სტანდარტებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების გამიჯვნის აუცილებლობას ვერ ხედავს საჯარო მოხელეთა ნაწილი. ჯანდაცვის სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ სტანდარტები ზოგადია და თავად დღის ცენტრის ადამინისტაციას აქვს საშუალება დღის ცენტრშივე გააკეთოს ჯგუფები, რაშიც „სტანდარტები მათ ხელს არ უშლით".

პირველი რაც არის დღის ცენტრების მთავარი აზრი, ის არის, რომ მათი [ხანდაზმილების] ინტეგრაცია მოხდეს საზოგადოებაში, სახლში არ იყვნენ ჩაკეტილები, ეს არის მთავარი და ის ორგანიზაციები, რომლებიც ამ მისიას კარგად ასრულებენ, ძალიან კარგად ართმენენ თავს.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა ნაწილი ფიქრობს, რომ სტანდარტები ხელს არ უშლის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებს დღის ცენტრის სერვისის მიღებაში. მათი აზრით, სწორედ იმიტომ, რომ სტანდარტები ყველასთვის საერთოა, არ ზღუდავს ცენტრის აქტივობებს. ამიტომ თავად დღის ცენტრზეა დამოკიდებული, თუ რა სერვისს შესთავაზებს სხვადასხვა ასაკის ბენეფიციარს.

1.2. სტანდარტების შესაბამისობა სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებთან

ექპერტების უმრავლესობა სტანდარტების შეფასების დროს საუბრობდა, რომ ისინი ნაკლებად ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს. ყველაზე ხშირად სფეროს ექსპერტები საუბრობდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციარების შესახებ, რომლებსაც სპეციფიკური

[4] შემდგომში, სიმოკლისთვის, ტექსტში გამოვიყენებთ ტერმინს „განათლების სამინისტრო"

საჭიროებები აქვთ, ხოლო არსებული სტანდარტები მათი რეაბილიტაციის სპეციფიკას არ ითვალისწინებს: „სტანდარტში აუცილებლად ხაზი უნდა იყოს გასმული, რომ [აუცილებელია] შრომითი უნარ-ჩვევების და ყოველდღიური ცხოვრების დამოუკიდებლად ცხოვრების სწავლება; უნარ-ჩვევების აღდგენა და განვითარება." ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ სტანდარტებში გათვალისწინებული არ არის მათი რეაბილიტაციის შემდგომი პერიოდიც:

> *ზოგ ადამიანს სჭირდება ექვსთვიანი რეაბილიტაცია, ზოგს სჭირდება ერთ წლიანი, ან წელიწედნახევრიანი, ან სამთვიანი. უნდა შედგეს ინდივიდუალური გეგმა და, ამ გეგმიდან გამომდინარე, ამ ადამიანმა უნდა გაიაროს ესა თუ ის მომზადება იმისთვის, რომ ადაპტირდეს გარემოში. ეს რომ მორჩება, უნდა გაუშვა. ახლა აღარ ვლაპარაკობ, სად უშვებ. უნდა დაასაქმო ან კლუბში გაუშვა, ან დღის ცენტში. [...] მაგრამ ასეთი მოძრაობის და მიმოსვლის საშუალებას არც სტანდარტი და არც პროგრამა არ იძლევა. იმიტომ რომ ეს ვაუჩერული სისტემა, ერთხელ რომ მისცემ, სანამ არ მოკვდება ადამიანი, მანამდე მიბმულია მასზე.*
>
> *სფეროს ექპერტი*

საჯარო მოხელეთა უმრავლესობა ეთანხმება სფეროს ექსპერტებს და აღნიშნავს, რომ სტანდარტი საჭიროებების მიხედვით უნდა იყოს დიფერენცირებული: „სხვადასხვა ტიპის შეზღუდვას სხვადასხვა სერვისი უნდა ჰქონდეს." განათლების სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საჭიროა დღის ცენტრს ჰქონდეს საკუთარი პროფილი, ან, შერეული ჯგუფის შემთხვევაში, განსაზღვრული ინდივიდუალური მიდგომა, რადგან სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთნაირი გეგმა არ მოქმედებს:

> *მე არ ვარ სეგრეგაციის მომხრე, მაგრამ რაღაც შემთხვევებში გამიჯვნის საჭიროება არსებობს, ან უნდა მოხდეს ინდივიდუალური სერვისების მიწოდება. მწოლიარე ადამიანს სხვა რესურსი სჭირდება, დაუნის სინდრომის მქონე შეგიძლია ბევრ აქტივობაში ჩართო, არ არის ბალანსი დაცული.*
>
> *განათლების სამინისტროს წარმომადგენელი*

ინდივიდუალური მიდგომის საჭიროებაზე საუბრობს საქართველოს პარლამენტის წევრიც და ფიქრობს, რომ სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ამ გამოწვევის დასაძლევად:

> *ფაქტი ერთია, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არის ყველაზე მრავალფეროვანი მიდგომის საჭიროების მქონე სფერო, ოთხი კატეგორია კიდევ ძალიან ბევრი კლასიფიკაციიით იშლება და მე ვფიქრობ, რომ ეს*

გამოწვევა ჯერ ჩვენ ქვეყანაში არ არის დაძლეული და ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, განსაკუთრებით, ინტელექტუალური შეფერხების მქონე შშმ პირების მიმათ, ასევე უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირების მიმართ, ამიტომ ეს მთავარია მიზანმიმართულად ხორციელდებოდეს.

საქართველოს პარლამენტის წევრი

საჯარო მოხელეების მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ სტანდარტში ამ ტიპის სპეციფიკის გათვალისწინების საჭიროება არ არის, რადგან დღის ცენტრს, ამ შემთხვევაშიც, თავად აქვს საშუალება, შექმნას ჯგუფები, სტანდარტები ასეთი „ლავირების საშუალებას" იძლევა.

1.3. შშმ სტატუსის მინიჭების პროცედურები და მისი კავშირი დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტებთან

ექსპერტები და საჯარო სექტორის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, პირველ რიგში, სტატუსის მინიჭების დროს უნდა ხდებოდეს. კვლევის მონაწილეების ნაწილი მიიჩნევს, რომ სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ნებისმიერ მიმართულებაზე, მათ შორის, დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტებსა და ხარისხზეც ახდენს გავლენას:

ჩვენ შევთანხმდით, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არის დიაგნოზი, ეს არის გამოწვევა, სოციალური მიმართულებით, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი სახელწმიფოსთვის, ამიტომ ვფიქრობ, რომ სოციალურ მოდელზე გადასვლას არ გააჩნია ალტერნატივა. [...] როდესაც ჩვენ კონკრეტული საჭიროებები გვექნება, ეს აისსახება დღის ცენტრებზეც, სხვა სარეაბილიატაციო პროგრამებზეც, ინკლუზიურ განათლებაზეც და ნებისმიერი მიმართულებაზე, აქედან გამომდინარე, ცხადია, დღის ცენტრები ამ სისტემაში ხვდება და დღეს, ამ მხრივ, სერიოზული გამოწვევები არსებობს.

საქართველო პარლამენტის წევრი

საჯარო მოხელეების ნაწილი აღნიშნავდა, რომ სანამ არ იქნება ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა, სერვისი ვერასდროს იქნება ადეკვატური, რადგან „სერვისი ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს განიხილავს ერთნაირად". თუმცა, საჯარო მოხელეების ნაწილი ვერ ხედავს განსაკუთრებულ კავშირს სტატუსის მინიჭების არსებულ მიდგომასა და დღის ცენტრის სერვისის ხარისხს შორის, „რომ ვთქვათ, [რომ სტატუსის მინიჭების პროცედურები] დღის ცენტრების ფუნქციონირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ეს ასე არ არის."

შეჯამება

დღის ცენტრების მომსახურების სტანდარტების შემუშავებამ, ერთი მხრივ, დღის ცენტრების საქმიანობის გამართვას შეუწყო ხელი, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს დაეხმარა დღის ცენტრების პროგრამის რეგულირებაში. კვლევის მონაწილეების აზრით, სტანდარტები ლიბერალურია და მხოლოდ მინიმალური მოთხოვნებს აწესებს, თუმცა, სტანდარტები ვეღარ აკმაყოფილებს არსებულ გამოწვევებს, რის გამოც, დღის წესრიგში მისი გადახედვის საჭიროება დადგა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სტანდარტების ძირითად ხარვეზებია: 1) ის არ არის მორგებული ყველა ტიპის შეზღუდულ შესაძლებლობაზე და საჭიროა მისი დიფერენცირება; 2) არ არის მორგებული ყველა ასაკობრივ ჯგუფზე. საბოლოო ჯამში, სტანდარტები მიზნად სოციალურ ინკლუზიას უნდა ისახავდეს. კვლევის მონაწილეების აზრით, სანამ სტანდარტები ინდივიდუალურ საჭიროებებზე არ იქნება დაფუძნებული, სერვისი ვერ იქნება ადეკვატური.

II. დღის ცენტრების დაფინანსება

დღის ცენტრების დაფინანსებაზე საუბრისას, კვლევის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს როგორც ვაუჩერული წესით დაფინანსების მნიშვნელობაზე, ისე ბიუჯეტის სიმცირესა და დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე.

2.1. დაფინანსების ვაუჩერული წესის შეფასება

დაფინანსების არსებულ მოდელს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები დადებითად აფასებენ, ამბობენ, რომ დაფინანსების ვაუჩერული წესი „საკმაოდ მოქნილი, გამართული და კარგია", რადგან იგი ბენეფიციარზე გაიცემა და არა დღის ცენტრზე:

> *ჩვენ, როგორც სახელმწიფო, პირველ რიგში, ვფიქრობთ ბენეფიციარზე და არა სერვისზე. ბენეფიციარს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ თუ არ მოსწონს სერვისი და თუ შესაძლებელია, სხვა სერვისის მომსახურებით ისარგებლოს, [...] მე ვფიქრობ, რომ ვაუჩერული სისტემა საკმაოდ მოქნილია იმისთვის, რომ მისცეს ბენეფიციარს შესაძლებლობა, აირჩიოს სერვისი და გადავიდეს სხვა სერვისში და იმ სერვისით ისარგებლოს.*
>
> *ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

სფეროს ექსპერტთა ნაწილიც კმაყოფილია მომსახურების ვაუჩერული წესით, რადგან „ის იძლევა დღის ცენტრის თავისუფლად არჩევის საშუალებას." ისინი ფიქრობენ, რომ სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია ვაუჩერის, როგორც ასეთის, არსებობა. თუმცა, როგორც სფეროს ექსპერტების, ისე საჯარო მოხელეების ნარატივიდან ჩანს, რომ ვაუჩერული წესის სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიბმას გარკვეული პრობლემები ახლავს; კერძოდ, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ვაუჩერის გარეშე შეიძლება დარჩნენ ის სრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებსაც სოციალური დაუცველის სტატუსი არ აქვთ. აღნიშნული პრობლემა ჯანდაცვის სამინისტრომ ნაწილობრივ გაითვალისწინა და ბავშვების შემთხვევაში, ყველა ბენეფიციარს 100%-იანი დაფინანსება მიანიჭა. განსხვავებული მიდგომაა ზრდასრულთა მიმართ, სადაც სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერი, რიგ შემთხვევაში, ღირებულების 100%-ს ან 75%-ს ფარავს, რაც ბენეფიციარის სოციალურ სტატუსზეა დამოკიდებული: „ვცდილობთ, უფრო ღარიბ ოჯახებს მივანიჭოთ პრიორიტეტები. 100 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წარმომადგენლები მოხვდვნენ პროგრამაში და [ეს] პრიორიტეტად არის განსაზღვრული." ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბენეფიციარის 100%-ით დაფინანსება არასწორი მოდელია და ბენეფიციარს სიმბოლური თანხის გადახდა მაინც უნდა დაეკისროს: „ადამიანს უნდა ჰქოდეს პასუხისმეგბლობა, რომ იხდის თუნდაც ათ ლარს. შეიძლება ეს არ იყოს 100 ლარი და მთელი პენსია აქ არ წავიდეს."

იყო ბევრი ვნებათღელვა და ამიტომ, სახელმწიფომ გამოიჩინა კეთილი ნება, და შეცვალა, სრულად დააფინანსა [18 წლამდე ბენეფიციარები], დიდები რანჟირებულია და თბილისის მერია აფინანსებს.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

სფეროს ექსპერტთა ნაწილი არ არის ასეთი დიფერენცირების წინააღმდეგი, რადგან „შეზღუდული შესაძლებლობები და სოციალურად დაუცველობა ძალიან მაღალ კორელაციაშია ერთმანეთთან". საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი კი ამგვარი სეგრეგაციის მომხრე არ არის და აღნიშნავს, რომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია [ძალაშია 2014 წლიდან] სახელმწიფოს ავალდებულებს შეზღუდული შესაძლებლობა და სოციალური დაუცველობა ერთმანეთისგან გამიჯნოს:

[ეს არის] აბსოლუტურად სხვადასხვა ასპექტი; სოციალური პოლიტიკის და მათი ერთ ჭრილში გაანალიზება არ უნდა ხდებოდეს, [...] სახელმწიფო ვალდებულია, რომ ადეკვატური პროგრამები და სერვისები ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მიმართულებით და თუ ადამიანს სჭირდება რეაბლიტაცია, თუ ადამიანს სჭირდება დღიც ცენტრში ჩართულობა, ამ შემთხვევაში, ოჯახის ფინანსებს მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

საქართველოს პარლამენტის წევრი

სოციალურად დაუცველის სტატუსის მიხედვით ვაუჩერის მიღების წინააღმდეგია ექპერტთა ერთი ნაწილი, რადგან შესაბამისი ქულების არქონის გამო, შესაძლოა, ბენეფიციარი წლების განმავლობაში ელოდებოდეს დღის ცენტრში მოსახვედრას: „ისინი არიან ყველანი შეზღუდული შესაძებლობის სტატუსის მქონეები, საჭიროებენ რეაბილიტაციას, ყველანი არიან ღარიბები, მაგრამ არ არიან საკმარისად ღარიბები".

2.2. ვაუჩერით გათვალისწინებული თანხის შეფასება

კვლევის მონაწილეებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა თავის დროზე ვაუჩერის თანხის განსაზღვრა. საჯარო მოხელეები აღნიშნავენ, რომ ვაუჩერის არსებულმა წესმა დაფინანსების ტენედერის სახით მიღების ფორმა ჩაანაცვლა, თუმცა, როგორ მოხდა კონკრეტული თანხის დაანგარიშება, მათთვის უცნობია. ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ მისი კალკულაცია დღის ცენტრების პროგრამისთვის გათვალისწინებული საერთო ბიუჯეტიდან მოხდა და ბენეფიციარების საერთო რაოდენობაზე გადანაწილდა.

ვაუჩერის თანხის ოდენობასთან (11/18 ლარი ერთ ბენეფიციარზე დღეში) დაკავშირებით, გარკვეული შენიშვნები აქვთ ექპერტებს. როგორც ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს,

სტანდარტების მიხედვით დღის ცენტრების მომსახურების გაწევას, მისი გათვლებით, ბენეფიციარზე დღეში, დაახლოებით, 26 ლარი სჭირდება:

> *გამოვიყვანეთ ბიუჯეტი და [...] თუ გინდა, რომ დღის ცენტრი განვითარდეს ისე, რომ თანამშრომლები ტრენინგებზეც წავიდნენ და რაღაცა კომპონენტი იდოს ვთქვათ, ზრდის, დღეში სჭირდება, დაახლოებით, 40 ლარამდე, მაგრამ მინიმალურად რომ განხორციელდეს სტანდარტი, მხოლოდ მიმდინარე ხარჯისთვის, არის საჭირო, ყოველგვარი ინვესტიციების და ყველაფრის გარეშე, 26 ლარი.*
>
> *სფეროს ექსპერტი*

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ვაუჩერით გათვალისწინებული არსებული თანხის ოდენობა „არ ყოფნის აბსოლუტურად არაფერს", არ ითვალისწინებს ბენეფიციარების საჭიროებებს, თუმცა მთავარი პრობლემა არა მწირი დაფინანსება, არამედ „ხედვის არქონაა":

> *თავისთავად, რესურსი მწირია, მაგრამ მწირი რესურსის პირობებშიც, მე მაინც მგონია, რომ ხედვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფული, იმიტომ, რომ ვაუჩერის რაოდენობა გაიზრდება, თანხა გაიზრდება, მაგრამ ბავშვები ისევ იქნებიან ჩაკეტილები დღის ცენტრში.*
>
> *სფეროს ექსპერტი*

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, პრეტენზიები დაფინანსების ოდენობასთან დაკავშირებით, ძირითადად, თბილისში მოქმედი ორგანიზაციებისგან მოდის, „ყოველ შემთხვევაში, რეგიონებისგან ნაკლები წუწუნი და წუხული ისმის", რაც, მათი აზრით, შესაძლოა, თბილისში განსხვავებულ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული: „მათ შორის, კომუნალური, ტრასპორტირების ხარჯები, ჩვენი სპეციალისტები უფრო მაღალ ხელფასზე მუშაობენ, ვიდრე რეგიონებში". თუმცა, როგორც სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, ხელი შეუწყონ დღის ცენტრებს, მაგალითად, დაფინანსება „ადრე იყო დღიური, ახლა გახდა თვიური. ერთთვიან ვაუჩერს ვაძლევთ და თვითდაფინანსებაზე აღარ არის მიბმული და თუ 12 დღე გააცდინა ბენეფიციარმა, მაინც ვუნაზღაურებთ". საჯარო მოხელეების დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ არსებული ბიუჯეტი „პატარა არ არის, მაგრამ რისი საშუალებაც გვაქვს, ის არის."

საჯარო მოხელეების ნაწილი ამბობს, რომ ვაუჩერის თანხა არ არის დღის ცენტრის ფუნქციონირების მთავარი პრობლემა და რომ „ხარიხსი ყოველთვის არ არის დამოკიდებული თანხაზე":

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შეგვიძლია [...] არა მარტო დღის ცენტრის, საერთოდ ყველა ბიუჯეტზე ვთქვათ, რომ ეს არ არის საკმარისი, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ [...] ის დღის ცენტრები, რომლებიც უფრო ყოჩაღები არიან, რომლებიც უფრო კრეატიულები არიან, ისინი ძალიან კარგად ართმევენ ამ დღის ცენტრების ფუნქციონირებას თავს და არიან დღის ცენტრები, სამწუხაროდ, რომლებიც რაც არ უნდა ბევრი ფული მისცე, მაინც კარგად ამ სტანდარტს ვერ დააკმაყოფილებენ.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

განათლების სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ვაუჩერით გათვალისწინებული თანხა, რომელსაც დღის ცენტრი ბენეფიციარის მომსახურების დროს იღებს, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დღის ცენტრების მომსახურების ყველა სტანდარტი დაკმაყოფილდეს:

მიგვაჩნია, რომ დაფინანსების ეს მოდელი ვერ უზრუნველყოფს ხარისხის მაღალ სტანდარტებს. საუბარია არა მარტო ადამიანურ რესურსებზე, არამედ გარემოზე, საგანმანათლებლო თუ განმავითარებელ რესურსებზე, ეს უნდა იყოს კომპლექსური, რადგან ბავშვს სჭირდება გარემოც, სხვადასხვა განმავითარებლებიც, კვალიფიციური სპეციალისტიც. [...] ისიც უნდა იყოს გათვლილი, სოფლამდე მისასვლელი გზა როგორია და რა მანძილითაა დაშორებული.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელი

განათლების სამინისტროს წარმომადგენლების აზრით, დაფინანსების არსებული მოდელი „ხისტია" და არ არის ბენეფიციარების საჭიროებებზე გათვილი. ამ პოზიციას იზიარებს საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელიც, რომლიც აღნიშნავს, რომ „არ ვიცით კონკრეტული საჭროებები, თუ სტატუსის მინიჭების პროცედურა არ არის სოციალურ მოდელზე გადასული, თანხების დათვლა, რამდენად არის ადეკვატური, ჩვენ არ შეგვიძლია." თანხის რაოდენობის გაზრდის პერპექტივის შესახებ საუბრის დროს, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ისე სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ დაფინანსების გაზრდის საჭიროების დასაბუთების სურვილი.
.

2.3. დაფინანსების ალტერნატიული წყაროები

საჯარო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის დაფინანსების არსებული მოდელი არ ზღუდავს ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიების შესაძლებლობას, რასაც არაერთი დღის ცენტრი წარმატებულად ახერხებს:

ჩვენ, სახელმწიფო, ვიძახით, რომ ამ სერვისში, ერთ ვაუჩერში ვიხდით ამდენ ლარს, თუ თქვენ არ გაქვთ იმის შესაძლებლობა, რომ მოიძიოთ სხვა დაფინანსება და შეძლებთ ამ სტანდარტის დაკმაყოფილებას, ამ შემთხვევაში შეგიძლიათ გახდეთ პროგრამის მიმწოდებელი და შემოიტანოთ განაცხადი. [...] ისე არ ყოფილა, რომ ჩვენ ეს სტანდარტი დავდეთ, პროგრამა დავდეთ, ვაუჩერი და ამით უნდა უზრუნველყო აუცილებლად, რომ სხვა წყაროები არ უნდა გამოიყენო.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებას ჯანდაცვის სამინისტროში მიესალმებიან: „დღის ცენტრები არამარტო სახელმწიფო დაფინანსებაზე [უნდა იყვნენ] [...] ჩამოკიდებულნი". თუმცა კვლევის ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციებისგან მათ აქვთ ინფორმაცია, რომ დონორების აქტიურობა ამ მიმართულებით საკმაოდ შემცირებულია. ექსპერტთა ნაწილი არ არის თანადაფინანსების მომხრე: „დონორი არ აფინანსებს სერვისს სისტემატურად. დონორი აფინანსებს ადვოკატირებას, პოლიტიკის, კანონმდებლობის ცვლილებას, მაგრამ არა სერვისს."

კვლევის მონაწილეების ნარატივიდან ირკვევა, რომ ალტერნატიული დაფინანსების წყაროებად, ძირითადად, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებს, ასევე ბიზნეს ორგანიზაციებს მოიაზრებენ, რომლებიც დღის ცენტრებს სოციალური პასუხისმგებლობის გამო უჭერენ მხარს. ასევე, დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნების ერთ-ერთ საშუალებას, მათი აზრით, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების, ძირითადად, ადგილობრივი მუნიცილიტეტების დახმარება და/ან ოჯახის კონტრიბიცია წარმოადგენს.

2.3.1. ოჯახის კონტრიბუცია დღის ცენტრის დაფინანსებაში

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მიუხედავად ზოგიერთი ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, ოჯახის კონტრიბუცია დღის ცენტის დაფინანსებაში მნიშვნელოვანია:

მან [ოჯახმა] 5 ლარი მაინც უნდა გადაიხადოს, როცა სახელმწიფო იხდის 230 ლარს, ამ მომსახურებაში. ეს არის აუცილებელი, რომ მან იგრძნოს პასუხისმგებლობა. უნდა იყოს განსხვავება შედარებით ეკონომიკურად უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებსა და შედარებით უფრო უზრუნველყოფილ ოჯახებს შორის. შედარებით მდიდარმა უნდა გადაიხადოს უფრო მეტი თანხა და ღარიბმა - უფრო ნაკლები, თუნდაც ერთი ლარი, ყველამ უნდა გადაიხადოს. თვითონ ბენეფიციარმა უნდა აიღოს თავისი ხელფასიდან, უნდა იცოდეს, რომ მე მაქვს პენსია 100 ლარი და ერთი ლარი უნდა გადავიხადო.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

ოჯახის კონტრიბუციის იდეას არ იზიარებენ საჯარო სექტორის სხვა წარმომადგნელები, რადგან ოჯახებს, ზოგიერთ შემთხვევაში, არ აქვთ თანხის გადახდის საშუალება: „ოჯახის კონტრიბუცია გვქონდა ჩვენ 2014 წლამდე. ამის გაკეთება ვერ წარმომიდგენია, რომ ძველ პრინციპს დავუბრუნდეთ, რომ ოჯახებს მოვთხოვოთ თანხის გადახდა." ექსპერტთა ნაწილი ამ მოსაზრებას იზიარებს, რადგან მიაჩნიათ, რომ, შესაძლოა, ამ შემთხვევაში, ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახმა დღის ცენტრის მომსახურებაზე უარი თქვას. ოჯახის კონტრიბუციას არ ემხრობა საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელიც, თუმცა, სხვა არგუმენტით. მისი თქმით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის სერვისის მიწოდებაზე ვალდებულება სახელმწიფომ უნდა აიღოს: „ეს არის სახელმწიფოს უშუალო პასუხისმგებლობა, რომ ხარისხი უზრუნველყოს და ოჯახი თავის შემოსავალზე არ უნდა იყოს დამოკიდებული."

2.3.2. მუნიციპალიტეტების კონტრიბუცია დღის ცენტრის დაფინანსებაში

როგორც საჯარო მოხელეები, ისე ექსპერტები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტის მონაწილეობა დღის ცენტრის თანადაფინანსებაში მნიშვნელოვანია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტი კარგად იცნობს თემს და ესმის ბენეფიციართა საჭიროებები:

> *გვაქვს თემები [დასახლებები], სადაც უმეტესად მოხუცებულები ცხოვრობენ და იქ სხვა სახის სერვისებია გასავითარებელი. გვაქვს თემები [დასახლებები], სადაც ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი და პირია სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს შეიძლება იყოს ქარხანა და ტრავმები აქვს მიღებული, ან გარემო იყო დაბინძურებულ და ა.შ. სხვადასხვა მდგომარეობის გამო, ასე რომ მათ [მუნიციპალიტეტებს] მეტი მოქნილობა აქვთ.*

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, რომ მუნიციპალიტეტების მეტი ჩართულობის შემთხვევაში, სამინისტრო მხოლოდ სტანდარტებს უნდა განსაზღვრავდეს, მონიტორინგს ახორციელებდეს და ეხმარებოდეს თვითმართველობებს სერვისების განვითარებაში.

საჯარო მოხელეებისა და ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ფინანსური თვალსაზრისით, რის ერთ-ერთ პირველ პრეცენდენტსაც თბილისის მერია ქმნის. საჯარო მოხელეების თქმით, „ეს არის წარმატებული მოდელი". ზოგიერთ რეგიონშიც ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული დღის ცენტრის მომსახურების განვითარებაში.

კვლევის მონაწილე მუნიციპალიტეტების წარმომადგენელები, რომლებიც დღის ცენტრებთან უკვე თანამშრომლობენ, საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობდენ. თბილისის მერიის წარმომადგენლის თქმით, დღის ცენტრების დაფინანსება „ადგილობრივი თვითმმართველობის პირდაპირი კომპეტენცია არ არის" და მათ შემთხვევაში, თანამშრომლობის ინიციატორი თავად მერია იყო, რომელმაც სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 75%-ით დაფინანსებული ბენეფიციარებისთვის დარჩენილი ღირებულება აანაზღაურა. მერიის ინიციატივა დღის ცენტრების ასოციაციასთან შეხვედრით დაიწყო, სადაც გაირკვა, თუ რა მხრივ შეიძლებოდა მათთვის მერიას დახმარება გაეწია. შედეგად, თბილისის მერია ყოველწლიურად დაახლოებით 12-მდე დღის ცენტრის თანადაფინანსებას ახორციელებს, რაც საშუალოდ 45 000 - 50 000 ლარი უჯდება. დაფინანსების იგივე მოდელი აქვთ ოზურგეთისა და გორის მუნიციპალიტეტებსაც, რისთვისაც გამოყოფილია პირველ შემთხვევაში 45 000 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში - 27 216 ლარი.

მუნიციპალიტეტის მხრიდან ვაუჩერის თანადაფინანსების გეგმას არ მიესალმება საჯარო მოხელეთა ნაწილი, რადგან სამინისტრომ დაადგინა, რომ არსებობს დაფინანსების 75%-იანი ფორმა და ამ პრაქტიკას მიუნიციპალიტეტის თანადაფინანსებამ ხელი არ უნდა შეუშალოს:

> *გარკვეული ქულების შემდეგ სახელმწიფო იხდის [ვაუჩერის] 75%-ს. ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გადაწყვიტეს, რომ დანარჩენი 25% დააფინანსონ. ეს მგონია ძალიან დიდი შეცდომა. შეიძლება 15% დააფინანსოს, მაგრამ თუ სახელმწიფო პოლიტიკა არის სამინისტრის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, არის ისეთი, რომ შედარებით უფრო მდიდარმა ადამიანმა მომსახურებისთვის გადაიხადოს თანხა, ადგილობრივმა თვითმართველობამ არ უნდა დაშალოს ეს პოლიტიკა.*
>
> *ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

საჯარო მოხელეთა და ექპერტთა უმრავლესობის აზრით, გარდა მონეტარული დაფინანსებებისა, მუნიციპალიტეტს შეუძლია დღის ცენტრების ფართით, ინფრასტრუქტურით, ტრანსპორტირებით და საკვებით ურზრუნველყოფა, კომუნალური გადასახადის დაფარვა და ა.შ:

> *თვითონ დღის ცენტრი არ უნდა ფიქრობდეს, რომ მან დაიქირავოს შენობა, გადაიხადოს კომუნალურები. ესეც ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გადაუხადოს. ანუ, შენობა მთელი თავისი ინფრასტრუქტრით უნდა იყოს მუდმივად უზრუნველყოფილი ელემენტარული პირობებით. გამზადებულ შენობაში უნდა შევიდეს პროფესიონალების გუნდი, ვინც გააკეთებს იქ მომსახურებას.*

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

მუნიციპალიტეტის მხრიდან დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების დაფარვის ან ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესაძლებლობას თბილისის მერიაში უარყოფითად აფასებენ, რადგან ბიუჯეტიდან პირდაპირი წესით თანხების გაღება, მათი თქმით, არ არის შესაძლებელი:

> *სამწუხაროდ, ასე ცალმხრივად ჩვენ არ შეგვიძლია ვინმეს კომუნალური გადავიხადოთ ან ტრანსპორტი ვუყიდოთ, ისინი არიან კერძო ორგანიზაციები, შესაბამისად, ბიუჯეტიდან ამ თანხების გაღება პირდაპირი წესით არ შეიძლება, ვინაიდან ეს არის სატენდერო თემები.*

თბილისის მერიის წარმომადგენელი

ინტერვიუებში გამოიკვეთა დღის ცენტრების ფუნქციონირებაში მუნიციპალიტეტების ფინანსური მონაწილეობის არაერთი შემთხვევა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, გარდა ვაუჩერული დაფინანსების ნაწილის დაფარვისა, დღის ცენტრებს ტრანსპორტით, სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით, კვებისა და კომუნალურის ხარჯების ანაზღაურებით ეხმარებიან. გორის მუნიციპალიტეტმა დღის ცენტრს ფართი დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცა, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ყოველწიურად 13 000 ლარით აფინანსებენ დღის ცენტრების ტრანპოსრტით მომსახურების ხარჯებსა და ფსიქოლოგის ანაზღაურებას. ჩხოროწყუს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტი დღის ცენტრებს წლიურად 6 000 ლარით აფინანსებს, რაც ტრანსპორტში, ფართის ქირასა და კომუნალურ გადასახდებში იხარჯება. საჩხერის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება კი, ძირითადად, თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების ხარჯზე ხდება, რადგან ბენეფიციართა მომსახურების ხარჯებს მთლიანად ვაუჩერი ფარავს. რუსთავის მუნიციპალიტეტშიც ანალოგიური მდგომარეობაა, სადაც დღის ცენტრებს სხავდასხვა ტიპის დახმარებას უწევენ. ბათუმის მუნიციპალიტეტში დღის ცენტრები ერთ-ერთი პროგრამით 5 000 ლარით ფინანსდება, რაც ითვალისწინებს მათ ერთჯერად საჭიროებებს. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის თქმით, „დღის ცენტრმა უნდა დაასაბუთოს საჭიროება, მოგვმართოს ჩვენ და ამის შემდეგ ჩვენ ვეხმარებით მათ.“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დღის ცენტრების დახმარებას რეგულარული სახე არ აქვს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელის თქმით, თანამშრომლები საჩუქრებისთვის ფულს აგროვებენ და ამგვარად უჭერენ მხარს ბენეფიციარებს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ბიუჯეტიდან ხარჯის გაწევის აუცილებლობას ვერ ხედავს:

> *რასაც ვაძლევთ, იმასაც არ უნდა ვაძლევდეთ, [...] იმიტომ, რომ, კერძოა ეს დაწესებულება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს ეს ცენტრი.*

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი

სხვადასხვა ფინანსური მხარდაჭერის გარდა, ზოგიერთი მუნიციპალიტეტი ცდილობს, რომ შეიქმნას სერვისები კონკრეტული საჭიროებების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მაგალითად, დღის ცენტრი ფსიქიკური ჯანრმთელობის პრობლემის მქონე პირებისთვის, ან 18 წელს ზემოთ მყოფი ბენეფიციარებისთვის, რომლებისთვისაც ზოგიერთ მუნიციპალიტეტში დღის ცენტრი არ არსებობს.

რაც შეეხება მომავალ წლებში დაფინანსების გაზრდის პერსპექტივებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების უმრავლესობა საუბრობდა, რომ მცირე დამატებითი ხარჯების გაწევის გათვალისწინება სრულიად შესაძლებელია, თუ დღის ცენტრს ბენეფიციარები დაემატება, მაგრამ თუ თანხა დიდი იქნება, შესაძლებელია ადგილობრივმა თვითმართველობებმა ვეღარ შეძლონ ამ ხარჯის დაფარვა: „შეიძლება ადამიანს ჰქონდეს კეთილი სურვილები, მაგრამ არ გიწყობდეს ხელს რესურსები." საბოლოოდ, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების უმრავლესობის თქმით, დღის ცენტრების მხარდაჭერის სურვილი არის, მაგრამ თავად მათი ბიუჯეტი, ზოგიერთ შემთხვევაში, მცირეა.

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები საუბრობდნენ რამდენად სტაბილურია მათი მხრიდან დღის ცენრტრების მხარდაჭერა. თბილისის მერიის წარმომადგენელი ფიქრობს, რომ დღის ცენტრებთან ორწლიანი თანამშრომლობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ეს სქემა საკმაოდ მდგრადია. იგივე მოსაზრებას იზიარებს მუნიციპალიტეტების დიდი ნაწილიც:

> *ჩვენ არ ვართ მომართული, რომ ერთჯერადი ფულადი დახმარებით შემოვიფარგლებოდეთ და ამით დასრულდეს ამ ადამიანისთვის სერვისის მიწოდება და იყოს დროებითი, თუნდაც იმ მოცემული მომენტისთვის შედეგის მომცემი. ვცდილობთ, მაქსიმალურად გრძელვადიანად შევუწყოთ ხელი ასეთ ადამიანებს.*

გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში აღნიშნავენ, რომ მომავალი თანამშრომლობა მათ „კეთილ ნებაზე [...] და ბიუჯეტზეა [დამოკიდებული]." ისინი ფიქრობენ, რომ სახელმწიფომ ცენტრალიზებულად უნდა იზრუნოს დღის ცენტრების სერვისის დაფინანსების გაზრდაზე.

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი სხვა მუნიციპალიტეტების მიერ მათი გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობაზეც საუბრობს:

ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმით გამოხატული, თუნდაც, იგივე, იმ ფორმით, რა ფორმითაც ჩვენ ვართ ჩართულები. [...] დათვლა სჭირდება და შესაბამისი დაგეგმვა, ამის შემდეგ ბიუჯეტში ასახვა. ანუ ეს როგორც ალბათ ჩვენ გავაკეთეთ საჭიროებები დავითვალეთ, ვნახეთ რისი რესურსი არსებობს, მერე შევთავაზეთ.

თბილისის მერიის წარმომადგენელი

საჭიროებების გამოვლენაში მუნიციპალიტეტებს, ზოგიერთ შემთხვევაში, მათთან არსებული საბჭო ეხმარებათ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საბჭო ყველა მუნიციპალიტეტში არ არის შექმნილი, ხოლო სადაც საბჭო უკვე ფუნქციონირებს, ისინი მუნიციპალიტეტებს თემის საჭიროებების განსაზღვრაში, სხვადასხვა პროექტის განხილვაში და მათი განხორციელების გეგმის შედგენაში ეხმარებათ. საბჭოები გარკვეულ როლს ასრულებენ დღის ცენტრებთან კომუნიკაციის პროცესშიც.

განათლების სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტის ჩართულობა მნიშვნელოვანია და მათი როლი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. მათი აზრით, დღის ცენტრების პროგრამა მუნიციპალიტეტებს უნდა მიეცეს, ამავდროულად კი შეინარჩუნოს კავშირი ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებთან.

შეჯამება

კვლევის მონაწილეების აზრით, დღის ცენტრების დაფინანების არსებულ მოდელი მოქნილი, გამართული და სტაბილურია, თუმცა, ზრდასრულთა შემთხვევაში, ვაუჩერული წესის სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიბმას გარკვეული უკმაყოფილება ახლავს თან. სახელმწიფო ცდილობს პრიორიტეტი სოციალურად დაუცველ პირებს მიანიჭოს, რაც საჯარო მოხელეებისა და ექპერტების ნაწილისგან დადებითად ფასდება. ექსპერტებისა და საჯარო მოხელეთა მცირე ნაწილი კი ფიქრობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობა და სოციალური დაუცველობა სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტია და მათი ერთ ჭრილში გაანალიზება არ უნდა ხდებოდეს. როგორც კვლევამ აჩვენა, დღის ცენტრების მომსახურების დაფინანსება არ არის საკმარისი და არ ითვალისწინებს ბენეფიციარების საჭიროებებს. კვლევის მონაწილეები ფიქრობენ, რომ დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნებაა საჭირო, რაც, პირველ რიგში, მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი ან საერთაშორისო დონორების ჩართულობას გულისხმობს.

III. დღის ცენტრში ბენეფიციარის ჩართვის მექანიზმი

გამოკითხული საჯარო მოხელეების აზრით, დღის ცენტრის მომსახურების შესახებ ინფორმაციის წყაროებს, ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და/ან მათი მშობელთა თემი, სამედიცინო პერსონალი და სოციალური მუშაკები წარმოადგენენ. აგრეთვე, ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია როგორც ჯანდაცვის სამინისტროში, ისე დღის ცენტრების ვებ-გვერდზე. დღის ცენტრის არჩევანს, მათი აზრით, ძირითადად ორგანიზაციის პრესტიჟი და გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების აზრით, უფრო მწვავეა რეგიონებში, ვიდრე დედაქალაქში.

საჯარო მოხელეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ დღის ცენტრებში ბენეფიციართა ჩართვის მექანიზმი მარტივი პროცესია. როგორც მათი ნარატივიდან ირკვევა, ბენეფიციარს აქვს საშუალება, თავად აირჩიოს დღის ცენტრი, ან გადავიდეს სხვა დღის ცენტრში. როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, დღის ცენტრში მოსახვედრად ბენეფიციარმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა რაიონის სოციალური მომსახურების განყოფილებაში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მოწმობა, ფორმა ასი და განცხადება. ამის შემდეგ, მონაცემები იგზავნება სოციალური მომსახურების სააგენტოში, საიდანაც ხდება დღის ცენტრებში ბენეფიციარების გადანაწილება. როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, ამ პროცესს გარკვეული სირთულეები ახლავს: დღის ცენტრების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, კვოტირება და მომლოდინეთა რიგები.

საჯარო მოხელეების უმრავლესობა საუბრობდა დღის ცენტრების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, მაგალითად, ზოგიერთ რაიონში მხოლოდ ერთი დღის ცენტრია, რაც ბენეფიციარების სერვისში ჩართულობას ხელს უშლის:

> *თუ რეგიონში ერთი დღის ცენტრია, რას აირჩევს, ვერაფერსაც ვერ აირჩევს, გორიდან თბილისში რომ ვერ ივლის ბავშვი დღის ცენტრში, ამაზეც შევთანხმდეთ, იყო ასეთი პრეცენდენტი, რომ მშობელს უნდოდა თბილისში ეტარებინა, ეს ცუდია ბავშვისთვის, რაც არ უნდა ავტობანი იყოს, 40-50 წუთი ბავშვი ყოველდღე, დღეში ორჯერ გზაში, ცუდია, არ არის ეს სწორი.*
>
> *ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ამა თუ იმ რეგიონში კვოტების არსებობაზეა დამოკიდებული. კვოტირების დროს, რეგიონების მიხედვით განსაზღვრულია დღის ცენტრში ბენეფიციარების რაოდენობის ლიმიტები. როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, ლიმიტები საჭიროა, რადგან „განუსაზღვრელი ბიუჯეტი არც სახლემწიფოს აქვს და არც ჩვენ." თუმცა, ისინი ამბობენ, რომ კვოტირება საჭიროების მიხედვით განისაზღვრება, თუმცა ეს პროცედურები ზედაპირულად ტარდება:

ვარკვევთ ვის რამდენი ბავშვი ჰყავს დღის ცენტრში, სტანდარტის მიხედვითაც ვითვლით, რამდენია მსურველი და ასე შემდეგ, ამას ზედაპირულად ვარკვევთ.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

ამას მოწმობს მომლოდინეთა რიგები დღის ცენტრბში. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ კვოტები ძალიან შეზღუდულია და ხშირად, ვაკანსიებს, პირველ რიგში, მობილობის შეზღუდვის მქონე ბენეფიციარები ავსებენ. ის აღნიშნავს, რომ დღის ცენტრის პროგრამაში ჩართვა არ უნდა იყოს აპლიკანტის მოხერხებულობასა და მოსწრებაზე დამყარებული და ყველა ბენეფიციარი თანაბარ პირობებში უნდა იმყოფებოდეს; შესაბამისად, კვოტები ცალკე უნდა არსებობდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარების შემთხვევაში:

ისინი უფრო ყოჩაღები არიან, ვიდრე გონებრივი შეფერხების მქონე ადამიანები და ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები. ისინი უფრო ორგანიზებულად ახერხებენ, რომ დროზე მივიდნენ, ჩაეწერონ, რიგში ჩადგნენ და უფრო გრძოლისუნარიანები არიან, ვიდრე ფსიქიკური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები.

სფეროს ექსპერტი

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში, ლიმიტის საკითხი წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრება, რა დროსაც ხდება იმის შეფასება და დადგენა, საჭიროა თუ არა ლიმიტის ზრდა, ან შემცირება:

ფაქტიურად, მომდევნო წლის პროგრამას ვინც ვაკეთებთ, ვუყურებთ წინა წელს რამდენი ბენეფიციარი დადიოდა. ხშირად გვიწევს, მაგალითად, შემცირება ლიმიტის. ვთქვათ, 20 ადგილი გვქონდა გამოყოფილი, მაგრამ, წლის განმავლობაში, 18-ზე მეტს არ უვლია.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, არის შემთხვევები, როდესაც დღის ცენტრები ვერ ახერხებენ ლიმიტების შევსებას: „კონკურენციის მომენტია. შეიძლება რომელიმე დღის ცენტრში უკეთესი მომსახურება იყოს და ყველა იქეთ წავიდეს, ზოგიერთმა ლიმიტი ვერ შეავსოს.”

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების ინფორმაციით, დღის ცენტრში ჩართვას ბენეფიციარი, შესაძლოა, ერთ წელზე მეტხანს ელოდოს. ამჟამინდელი მონაცემებით,

საქართველოში, დღის ცენტრში ჩარიცხვას ჯამში 293 ბენეფიციარი ელოდება. განსაკუთრებული მოთხოვნა კი ზრდასრულთათვის განკუთვნილ დღის ცენტრებზეა.

შეჯამება

ბენეფიციართა დღის ცენტრში ჩართვის მექანიზმი, მონაწილეთა თქმით, საკმაოდ მარტივია, თუმცა ამ პროცესს შემდეგი სირთულეები ახლავს: დღის ცენტრის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა, კვოტირება და მომლოდინეთა რიგები, რის გამოც, შესაძლოა, ბენეფიციარი დღის ცენტრში მოხვედრას ერთ წელზე მეტხანს ელოდოს.

IV. დღის ცენტრების მომსახურების მონიტორინგი

სახელმწიფოს მხრიდან დღის ცენტრების მომსახურების კონტროლის შესახებ საუბრობდნენ ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სტანდარტების დამტკიცებამ ხელი შეუწყო დღის ცენტრის მონიტორინგის სამსახურის ჩამოყალიბებას. მათი თქმით, სწორედ სტანდარტების შექმნის შედეგად დაწყებული მონიტორინგი არის ის ინტრუმენტი, რომელიც „სერვისის ხარისხობრივ მაჩვენებელზე მუშაობს". მონოტორინგის მთავარი მიზანი დღის ცენტრის პროგრამაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ხელშეწყობაა, თუმცა, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, „გარკვეულწილად, დღის ცენტრების წუხილი თუ დისკომფორტი ახლავს ამ შემოწმებას".

როგორც ექსპერტების ნარატივიდან ირკვევა, მათი უკმაყოფილება არა დღის ცენტრების მონიტორინგის წესს, არამედ მისი განხორციელების პროცესს ეხება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გარკველ სერვისში გაცემული თანხა აკონტროლოს, თუმცა ყურადღება არა ფორმალურ–ბიუროკრატიულ მხარეს, არამედ საქმიანობისა და დოკუმენტების შინაარსსა და ხარისხს უნდა მიაქციოს: „ინდივიდუალური გეგმა არის? არის. არავინ არ იხედება ამ გეგმაში." საჯარო მოხელეების ნაწილიც აღნიშნავს, რომ მონიტორინგი დღის ცენტრების ინტერესებისთვის არის აუცილებელი, თუმცა ადასტურებენ, რომ მონიტორინგის ინსტრუმენტები დასახვეწია და განსაკუთრებული ყურადღება ინდივიდუალურ გეგმებს უნდა მიექცეს.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგი დღის ცენტრის მომსახურების ყველა სტანდარტს ეხება, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ბენეფიციარების საჩივრებს ექცევა. ასევე, ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ძალადობა, გასაჩივრების წესი, კონფიდენციალობა, ფიზიკური გარემო და დოკუმენტების წარმოება.

> *დოკუმენტაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი. თქვენ, როგორც უცხოს, შეიძლება გეგონოთ, რომ ეს ძალიან ბიუროკრატიულია, მაგრამ ასე არ არის. მე რომ ნებისმიერი ბენეფიციარის პირად საქმეს ავიღებ, იქ ჩანს, [...] როგორ[ც] არის დალაგებული პირადი საქმე.*
>
> *ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მონიტორინგის პროცესი მშობლებთან და პერსონალთან ინტერვიუსაც მოიცავს და ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად არიან ჩართულები ადმინისტრაციის წარმომადგნელები დღის ცენტრის მომსახურების პროცესში.

ექსპერტების ნაწილი კრიტიკულად აფასებს მონიტორინგის ჯგუფის კვალიფიკაციას და ამბობს, რომ მონიტორინგი ისეთმა ადამიანებმა უნდა განახორციელონ, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის სპეციფიკა და რეაბილიტაციის თავისებურებები ესმით: „მონიტორინგის ჯგუფის კვალიფიკაციაში შემაქვს ეჭვი. არ ჰყავთ კვალიფიციური მონიტორინგის ჯგუფი." ექსპერტების უკმაყოფილება ბენეფიციარის დასწრების აღრიცხვის ფორმასაც ეხება, რომელიც რეალური სურათის დანახვის შესაძლებლობას არ იძლევა:

> *ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა მოპირდაპირე სახლში და იყო უსინათლო და შვილისგან მიტოვებული დედა, პროფესორი, შესანიშნავი ადამიანი, რომელიც მეზობელს, მადლიან ადამიანს, გადმოყავდა ყოველდღე, [...] მოვიდა ეს ქალი და თქვა, რომ სასწრაფო მყავდაო გუშინო, შეუძლოდ არისო და მშიერიო, მშიერი იყო, ჩვენს იმედზე იყო მხოლოდ, სხვა საჭმელი მას არ ქონდა და მისცა საჭმელი კორდინატორმა და დაუწერა პლიუსი, გესმით? მოვიდნენ ისინი [მონიტორინგის სამმართველო] და ის არ იყო [დღის ცენტრში] და პლიუსი ეწერა. არიქა, ახლა ამაზე ატყდა ამბავი. ძალიან არასასიამოვნოა, რა თქმა უნდა.*
>
> *სფეროს ექპერტი*

სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, ბენფიციართა არაზუსტი აღრიცხვის პრობლემის აღმოსაფხვრელად, სააგენტომ ელექტრონული დასწრების აღრიცხვის ფორმა შეიმუშავა, რომელიც მომავალში ამუშავდება:

> *2018 წლისთვის ელექტრონულად უნდა იყოს სისტემატიზირებული [აღრიცხვის ფორმა] ისე, რომ ცოტა მოძველებული სისტემიდან გადმოვიდეთ ახალ სერვისზე. [...] ადამიანი, რომელიც არ დადის ცენტრში, იმის ვაუჩერს რომ წარმომიდგენ, ეს კეთილსინდისიერებაა? ამიტომ იქნება ელექტრონული აღრიცხვის ფორმა და დაალაგებს ამ საკითხს. ყოველ შემთხვევაში, სამწუხაროდ, სერვისის მომწოდებელი როცა არაკეთილსინდისიერად გექცევა და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი „მოგწველოს", ამიტომ, უნდა გაკონტროლდეს.*
>
> *ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები მონიტორინგის პოზიტიურ შედეგებზე საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ, მინიტორინგის დაწყებამდე, ზოგიერთ ცენტრს სტანდარტის არსებობის შესახებაც არ ჰქონდა ინფორმაცია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მონიტორინგის ჯგუფს დღის ცენტრებისთვის ადგილზე ჩაუტარებიათ ტრენინგი:

ჩვენ ვაძლიერებთ ამ ორგანიზაციას. სადამსჯელო ჩვენი ორგანიზაცია არასოდეს ყოფილა. ჩვენ ვაძლევთ რეკომენდაციებს, რომლებიც დროში გაწერილია და უკუკავშირს ვიღებთ. არანაირი ინტერესი არაფრის დახურვის, გაუქმების არ გვაქვს. პირიქით.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელო

მინიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები აღნიშნავდნენ, რომ მონიტორინგის დროს ხშირად ისინი სხვა დღის ცენტრების გამოცდილებას უზიარებენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს: „მე მაქვს იმის ფუფუნება, რომ ყველაფერი ვნახო და სხვაგან რა გამოცდილებაც მივიღე, გავუზიარო". მათი აზრით, ამგვარ კომუნიკაციას დღის ცენტრებთან დადებითი შედეგები მოყვება.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილ ხარვეზებზე საუბრობდნენ. როგორც მათი ნარატივიდან ირკვევა, ძირითად პრობლემას დოკუმენტების მოუწესრიგებლობა, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებილი საკითხები, გათბობა/კონდიცირება, ინდივიდუალური გეგმები და კონფიდენციალობის დაცვა წარმოადგენს. როგორც მონიტორინგის სამმართველოს წარმომაგენლები ამბობენ, რამდენიმე ორგანიზაციამ შეძლო მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინება და გამართულად ფუნქციონირებენ.

შეჯამება

საჯარო მოხელეთა აზრით, მონიტორინგის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს დღის ცენტრების სერვისის გაუმჯობესებას. თუმცა, დღის ცენტრის მონიტორინგის პროცესს კვლევის მონაწილეების გარკვეული უკმაყოფილება ახლავს თან. სფეროს ექსპერტების თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ, მონიტორინგის დროს, მეტი ყურადღება არა ბიუროკრატიულ–ფორმალურ მხარეს, არამედ დღის ცნტრების საქმიანობისა და ოპერაციული დოკუმენტების შინაარსსა და ხარისხს მიაქცოს. გამოიკვეთა, რომ საჭიროა მონიტორინგის ინტრუმენტების დახვეწა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ბენეფიციართა ინდივიდუალურ გეგმებს მიექცევა. ექსპერტების ნაწილის კრიტიკა მონიტორინგის ჯგუფის კვალიფიკაციას და მომზდების დონეს შეეხო. აგრეთვე, ითქვა, რომ დღის ცენტრების მონიტორინგი აჩვენებს პროცედურულ დარღვევებს ბენეფიციართა დასწრების კორექტულ აღრიცხვასთან დაკავშირებით.

V. დღის ცენტრების რესურსები

კვლევის მონაწილეები დღის ცენტრების რესურსების შესახებ საუბრობდნენ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ გარკვეული მოთხოვნები მომსახურების სტანდარტებშიც არის გაწერილი, თუმცა რესურსები ინდივიდუალურია ყველა დღის ცენტრისთვის. ზოგიერთი ექსპერტი ამბობდა, რომ არის ისეთი დღის ცენტრებიც, რომლებიც მხოლოდ ფართთან დაკავშირებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, ხოლო კეთილმოწყობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს ნაკლებად იცავენ. მეორე მხრივ, არსებობენ ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებმაც შეძლეს, სხვადასხვა დონორების დახმარებოთ, ბენეფიციარებისთვის მისაღები პირობების შექმნა და ცენტრის საჭირო რესურსებით აღჭურვა. თუმცა, სფეროს ექსპერტები ასევე საუბრობდნენ, რომ დონორის დახმარება არ არის მუდმივი, ხოლო ბენეფიციარების ყველა საჭიროების გათვალისწინებისთვის მათ რესურსები არ ჰყოფნით:

> *დღის ცენტრის სტანდარტების მიხედვით, სხვა რამეებთან ერთად, უნდა გქოდეს პანდუსიც. ვეთანხმები, რომ პანდუსი უნდა იყოს. მართალია, ჩვენთან ჯერ-ჯერობით არ მოსულა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანი, რომელიც, ამავე დროს, ეტლით მოსარგებლე იქნებოდა, მაგრამ თუ მოვა, უარი არ უნდა ვუთხრათ, პანდუსი უნდა გვქონდეს. ვერ გავაკეთეთ, იმიტომ რომ ამ შენობაზე პანდუსის გაკეთება ჯდება 6-7 ათასი დოლარი. ეს თანხა ჯერ-ჯერობით ვერ ვიშოვნეთ.*
>
> *სფეროს ექსპერტი*

ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ „პანდუსები არ განაპირობებს [დღის ცენტრის მომსახურების] გამართულობას მხოლოდ და მხოლოდ", საჭიროა სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, რისთვისაც დღის ცენტრებს დამატებითი დაფინანსება ესაჭიროებათ. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ადამიანური რესურსებისა და პროფესიონალების ნაკლებობა წარმოადგენს. თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგნელი მიიჩნევს, რომ მთავარი პრობლემა გამართული მენეჯმენტი და რესურსების სწორი გადანაწილებაა, რადგან ზოგიერთი სერვისის მიმწოდებელი იმდენად აქტიურია, რომ თვითონ ცდილობს საჭირო რესურსების მოძიებას სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისგან. ამავდროულად კი, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტები არ არის ისეთი მკაცრი, რომ, სულ მცირე, დიდმა დღის ცენტრებმა ვერ შეძლონ მათი დაკმაყოფილება.

5.1. ადამიანური რესურსები

საჯარო მოხელეების ზოგიერთი წარმომადგენელი, ასევე, ესპერტების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრების რესურსები, კვალიფიციური კადრების თვალსაზრისით, მწირია. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ დღის ცენტრების არსებული დაფინანსებით შეუძლებელია კვალიფიციური კადრის შენარჩუნება. ისინი საუბრობდნენ, რომ კვალიფიციური კადრების უმრავლესობას არ სურს დღის ცენტრში მუშაობა დაბალი ანაზღაურების გამო, ხოლო ის, ვინც უკვე დასაქმებულია, დიდი ხნით არ რჩება დღის ცენტრში სამუშაოდ და სხვა სამსახურს ეძებს.

საჯარო მოხელეთა ნაწილი ამბობდა, რომ ზოგიერთი დღის ცენტრი ახერხებს პროფესიონალი კადრების მოძიებასა და შენარჩუნებას, თუმცა მათი რაოდენობა დიდი არ არის. ამავდროულად, ექპერტების ნაწილი აქცენტს სვამს იმაზე, რომ ასევე პრობლემურია გარკვეული პროფესიების მქონე ადამიანების მოძიება, კერძოდ, ოკუპაციური, ფიზიოლოგიური, მეტყველების თერაპევტებისა და სოციალური მუშაკების. ეს პროფესიები დეფიციტურია, რადგან ქვეყანაში ამ მიმართულებების სწავლება სთანადოდ განვითარებული არ არის. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ეს ზოგიერთ რაიონში განსაკუთრებით შესამჩნევია:

> *მაგალითად, არის რაიონები, სადაც არ არის ფსიქოლოგი. არადა, არის საჭიროება. სუიციდის მცდელობა ჰქონდა ერთ ბავშვს, კვალიფიციური კადრი კი არ არის.*
>
> *ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

რაც შეეხება დღის ცენტრში ამჟამად მომუშავე პროფესიონალებს, მათი რაოდენობა, სტანდარტის მიხედვით, ბენეფიციართა ოდენობით განისაზღვრება, თუმცა ექსპერტთა ნაწილის აზრით, კადრები მაინც არასაკმარისია, განსაკუთრებით, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციართან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების შემთხვევაში.

არსებული კადრებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებით უზრუნველყოფა კვლევის მონაწილეებისთვისაც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ექსპერტების ნაწილის მოსაზრებით, ერთი მხრივ, სახელმწიფოა ვალდებული იზრუნოს დღის ცენტრში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციაზე, საუნივერსიტეტო განათლების გზით, ხოლო, მეორე მხრივ, დღის ცენტრმა შერჩევის კრიტერიუმები უნდა გაამკაცროს და ისინი მათთვის საჭირო ტრენინგებით უზრუნველყოს.

განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ზოგიერთი პროფესიის მქონე კვალიფიციური კადრების მომზადებაზე პასუხისმგებლობა არა ჯანდაცვის სამინისტრომ, არამედ განათლების სამინისტომ უნდა აიღოს, კერძოდ, უმაღლესი

განათლების უზრუნველყოფის გზით. განათლების სამინისტროს ხელშეწყობით, ერთ-ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამჟამად იხსნება მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა, ამასთან ერთად, სამაგისტროსთან ერთად, სპეციალური ფსიქოლოგებისა და მასწავლებლების მომზადება საბაკალავრო დონეზეც იგეგმება. განათლების სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სპეციალური ფსიქოლოგების სპეციფიკა განსხვავებულია:

> *ზოგადი ფსიქოლოგისგან განსხვავებულია ასაკობრივი ფსიქოლოგი, ვინც ბავშვებთან მუშაობს და განსაკუთრებით ჭირს ამ სპეციალიზაციით ადამიანების პოვნა, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მით უმეტეს, კოგნიტიური და მენტალური პრობლემების მქონე პირებთან. ამიტომ, ამ მიმართულებით პროფესიის განვითარება და პროფესიული მომზადების განვითარება არის ჩვენი ამოცანა.*
>
> *განათლების სამინისტროს წარმომადგენელი*

ამგვარად, განათლების სამინისტრო, უნივერსიტეტებთან ერთად, განათლებისა და ფსიქოლოგიის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებაზე მუშაობს. რაც შეეხება არსებულ კადრებს, სპეციალური მასწავლებლები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მზადდებიან, თუმცა ეს სერვისი უფასოდ მხოლოდ ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების პედაგოგებისთვის არის ხელმისაწვდომი. განათლების სამინისტროს წარმომდგენლები მიიჩნევენ, რომ მსგავსი ცენტრების გახსნა დღის ცენტრების პედაგოგებისთვის/თერპევტებისთვისაც მნიშვნელოვანია, სადაც დაინტერესებული სპეციალისტები უფასოდ ან მინიმალური შენატანით აიმაღლებენ კვალიფიკაციას. მათი აზრით, მნიშვნელოვანია არსებული სპეციალისტების შემდგომი პროფესიული გაძლიერება, თუმცა ეს იმ კონკრეტული ინსტიტუციის საქმეა, რომელიც დღის ცენტრის პროგრამებს ახორციელებს: „დღის ცენტრებმა თვითონ უნდა შეაფასონ, რა მიმართულებით სჭირდებათ პროფესიული განვითარება მათ თანამშრომლებს.”

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომდგენლების ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. ისინი ფიქრობენ, რომ დღის ცენტრების თანამშრომლებისთვის არაერთი საშუალება არსებობს კადრების გადასამზადებლად და ისინი სახელმწიფოს არ უნდა აკისრებდნენ ამ პასუხისმგებლობას:

> *ახლა ვიღაც ადამიანები რომ დასხდნენ, სამინისტრო როდის მომამზადებს, ცოტა არალოგიკურია და არაკეთილსინდისიერიც, ასე მგონია, იმიტომ, რომ უამრავი რესურსია, უამრავი ტრენინგია, აი, მეც მაქვს გავლილი, სამინისტროში ხომ მოვედი, აქ ხომ არ დავიბადე, ანუ რეალურად, უამრავი შანსია იმის, რომ თავის თავსაც მიხედოს.*
>
> *ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი*

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ კადრების კვალიფიკაციაზე ზრუნვა დღის ცენტრის პრეროგატივაა, თუმცა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, როდესაც დონორები საქართველოდან „პრაქტიკულად გავიდნენ", ტრენინების დაფინანსებას ისინი საკუთარი სახსრებით ვერ ახერხებენ. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელის თქმით, დღის ცენტრების თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები არსებულმა დღის ცენტრების გაერთიანებამ ან სხვა მსგავსმა ასოციაციებმა და კოალიციებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე, რომლებიც ტრენინგის მოდულებს მოამზადებენ და საჭროების შემთხვევაში, ცენტრში დასაქმებულ პროფესიონალებს კვალიფიკაციას აუმაღლებენ: „ბევრი რამე შეუძლია მათ, უბრალოდ ეს ტრენინგ-პაკეტი, რა თქმა უნდა, ჩვენთან უნდა შეათანხმონ". ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ დღის ცენტრების სპეციალისტების ტრენინგებს სისტემური სახე უნდა ჰქონდეს, რადგან ერთჯერადად ჩატარებული ტრენინგი ეფექტური არ არის. ჯანდაცვის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებიც იზიარებენ რეგულარული ტრენინგების საჭიროების იდეას, თუმცა რა ფორმით უნდა განხორციელდეს ეს პროგრამა, ამ ეტაპზე, ჩამოყალიბებული არ აქვთ. მათი ინფორმაციით, არსებობს ორგანიზაციები, რომლებსაც სატრენინგო მოდულები სამინისტროსთან აქვთ შეთანხმებული, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია.

შეჯამება

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრების ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოწვევას ადამიანური რესურსებისა და პროფესიონალების ნაკლებობა წარმოადგენს. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, დღის ცენტრს, არსებული დაბალი დაფინანსებით, არ შეუძლია კვალიფიციური კადრის შენარჩუნება.. ასევე, ზოგიერთ რეგიონში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. განსაკუთრებით ეს ეხება ოკუპაციური, ფიზიოლოგიური, მეტყველების თერაპევტებს და სოციალურ მუშაკებს. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს არსებული კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების უზრუნველყოფაც. განათლების სამინისტროს შეუძლია გარკვეული პროფესიონალების მომზადება, თუმცა მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობის კუთხით. ექსპერტების ნაწილი კი მიიჩევს, რომ კადრების კვალიფიკაციაზე ზრუნვა დღის ცენტრების პრეროგატივაა, თუმცა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ისინი ამას ვერ ახერხებენ. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება შესაძლებელია საკუთარ თავზე დღის ცენტრის გაერთიანებებმა, კოალიციებმა და ასოციაციებმა აიღონ. კვლევის მონაწილეების ნარატივიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დღის ცენტრმა დიდი რესურსი დახარჯოს თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლებაში, მაგრამ პროფესიონალი კადრი დაბალი ანაზღაურების გამო მაინც ვერ შეინარჩუნოს.

VI. დღის ცენტრების პროგრამაში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის ჩართულობა

როგორც ექსპერტები, ისე საჯარო მოხელეები აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის სერვისის განვითარებაში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ. მაგალითად, როგორც წინა თავებში აღინიშნა, საჭიროა მუნიციპალიტეტების მხრიდან დღის ცენტრების ფინანსური მხარდაჭერა, ხოლო კვალიფიციური კადრების მომზადების კუთხით, გარკვეული ფუნქციის შესრულება განთლების სამინისტრომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. პროფესიონალების მომზადების გარდა, განათლების სამინისტროს, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, დიდი წვლილის შეტანა შეუძლია დღის ცენტრის სერვისის გაუმჯობესებაში. ზოგიერთმა ესპერტმა კი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ჩართულობის მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი, რომელსაც გარკვეული აქტივობების განხორციელების მხარდაჭერა შეუძლია.

6.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობა

ექსპერტების უმრავლესობის აზრით, განათლების სამინისტროს ჩართულობა დღის ცენტრების პროგრამაში მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, სასკოლო ასაკის მქონე ბავშვების მიმართულებით: „სკოლა და დღის ცენტრი ძალიან მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს ერთმანეთთან". ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრი დამხმარე პროგრამაა და პირველ რიგში, ბავშვი სკოლაში უნდა დადიოდეს. თუმცა, ექსპერტების თვალსაზრისით, ზოგიერთ შემთხვევაში, დღის ცენტრს წინასასკოლო მოსამზადებელი ფუნქციების შესრულებაც უნდა შეეძლოს, რაც, პირველ რიგში, ბენეფიციარებისთვის სოციალური უნარ-ჩვევებისა და კომუნიკაციის გაუმჯობესებას უნდა ისახავდეს მიზნად. ამიტომ, ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ დღის ცენტრის მსგავსი პროგრამა სკოლის ბაზაზე უნდა შეიქმნას: „განათლება ხედავს დღის ცენტრის როლს, როგორც დამხმარე პროგრამის, არაფორმალური განათლების კუთხით და დღის ცენტრი იღებს ინფორმაციას, რა უნარებს იძენს ბავშვი სკოლაში. ანუ თანამშრომლობა დგება." ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგნელები იზიარებენ დღის ცენტრის სკოლის სივრცეში ფუნქციონირების იდეას, რაც, მათი თქმით, ინფრასტრუქტურის ხარჯსაც დაზოგავს. გარდა ამისა, ეს ბავშვებს შესაძლებლობას მისცემს, დღის განმავლობაში, ერთ გაკვეთილს მაინც დაესწრონ. განათლების სამინისტროს წარმომადგენლების ნარატივიდან ირკვევა, რომ სკოლის სივრცეში დღის ცენტრის პროგრამის მოდელი ერთ-ერთ სკოლაში მათ უკვე დანერგეს და ფუნქციონირებას 2017 წლის სექტემბრიდან დაიწყებს. სამინსტროში მიიჩნევენ, რომ ეს მოდელი სასკოლო და სკოლის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის გარანტია.

საჯარო მოხელეების ნაწილი აღნიშნავდა, რომ მნიშვნელოვანია დღის ცენტრების არსებობა განვითარებაზე იყოს ორიენტირებული და ბენეფიციარს ინკლუზიისთვის

ამზადებდეს: „შენ [უნდა] მოამზადო და დასკვნა დადო, რომ ამ ბავშვთან მე დავიწყე გარდამავალი პროგრამა, გავატარე და ის მზად არის ინტეგრაციისთვის, რომ შევიდეს ახლა სკოლაში". ხოლო იმ ბავშვებისთვის, რომელთა ინკლუზიაც რთულად მიღწევადია, მათი თქმით, უნდა არსებობდეს დღის ცენტრის სერვისი, ან, საუკეთესო შემთხვევაში, სპეციალიზირებულ სკოლაში განათლების მიღების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, დღის ცენტრმა, შესაძლოა, სხვა სერვისების მიწოდების, მაგალითად, ე.წ. გახანგრძლივებული სწავლების შეთავასების ფუნქცია აიღოს საკუთარ თავზე.

საჯარო მოხელეების ნაწილმა იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პრობლემებზე ისაუბრეს, რომლებიც სკოლაშიც დადიან და დღის ცენტრის სერვისსაც იღებენ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ პროცესს გარკვეული სირთულეები ახლავს და ყველა მხარეს დათმობაზე წასვლა უწევს:

> *არიან ისეთი ბავშვები, ვინც პირველ ნახევარში დადიან სკოლაში, მეორე ნახევარში - დღის ცენტრში. არიან ბავშვები, რომლებიც ირიცხებიან სკოლაში, მაგრამ დადიან დღის ცენტრში, სკოლას აცდენენ და მერე პრობლემები ექმნებათ, მე მგონი, ისეთებიც არიან, ვინც დღის ცენტრში ირიცხება, მაგრამ სკოლაში დადის უფრო მეტად. ორივე მხარე მიდის დათმობაზე ხოლმე, სკოლაში ეცოდებათ მოსწავლე, რომ სტატუსი არ შეჩერდეს, დღის ცენტრში არ უნდათ, ვაუჩერი შეუწყდეთ.*
>
> *განათლების სამინისტროს წარმომადგენელი*

როგორც განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას, ორ უწყებას, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის კომუნიკაციის დეფიციტი წარმოადგენს. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავდა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც დღის ცენტრის ხელმძღვანელმა, ვაუჩერის დაკარგვის რისკის გამო, ბენეფიციარებს სკოლაში სიარულის საშუალება არ მისცა:

> *პირადად მეც ვურეკავდი დღის ცენტრის ხელმძღვანელებს და ვთხოვდი ბავშვები გამოეშვათ სკოლაში, რათა მათ მიეღოთ ორივე სერვისი, ამ პროცესში გავილანძღე კიდეც. ამიტომ, მგონია, რომ რაღაცამ უნდა დაავალდებულოს ეს ადამიანები დღის ცენტრთან ერთად სკოლაშიც წაიყვანონ ბავშვები.*
>
> *განათლების სამინისტროს წარმომადგენელი*

განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ საჭიროა დღის ცენტრის ვაუჩერის გადახედვა, რათა დღის ცენტრისთვის ბენეფიციარზე განკუთვნილი ნახევარი განაკვეთის ანაზღაურება მოხდეს, ხოლო მეორე ნახევარი - სკოლაში ტრანსპორტირებისათვის დაიხარჯოს. ისინი მიიჩნევენ, რომ მთავარი მიზანს ბავშვების

განათლება, განვითარება და დასაქმება წარმოადგენს, რისთვისაც ორივე სამინისტროს თანამშრომლობა და პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილებაა საჭირო.

საჯარო მოხელეთა ზოგიერთი წარმომადგენელი აღნიშავს, რომ, ხშირ შემთხვევაში, მშობლები შვილების სკოლაში სიარულის წინააღმდეგები თავად არიან: „ურჩევნიათ, რომ დღის ცენტრში იარონ, ვიდრე სკოლაში. მიაჩნიათ, რომ იქ [სკოლაში] უფრო დისკრიმინაციული გარემოა, იქ უფრო დაიჩაგრება და ასე შემდეგ.” მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში დისკრიმინაციული გარემოს არსებობის შესაძლებლობას კვლევის სხვა მონაწილეებიც უშვებენ, ისინი ფიქრობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეალური ინკლუზია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიძლება მოხდეს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია რომ გადაწყვეტილების მიღების დროს მშობელი ბავშვის ინტერესებს ანიჭებდეს უპირატესობას. განათლების სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ამისთვის არამხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, არამედ მშობლის მომზადებაც მნიშვნელოვანია.

კვლევის ზოგიერთი მინაწილე აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთათვის გათვალისწინებული სერვისების გარდა, განათლების სამინისტრომ ზრდასრულ ბენეფიციარებზეც უნდა იზრუნოს და მათ პროფესიული კოლეჯები უნდა შესთავაზოს, სადაც ისინი კონკრეტული პროფესიის დაუფლებას შეძლებენ. ერთ-ერთი საჯარო მოხელე აღნიშნავდა, რომ პროფესიული კოლეჯები არამხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ბენეფიციარისთვის იქნებოდა სასარგებლო, არამედ სახელმწიფოსთვისაც: „რაც ნაკლებად შეეწყობა ხელი ამ ადამიანებს, მით მეტი დაუჯდება სახელმწიფოს მათი შენახვა, ამიტომ, სახელმწიფოს ინტერესი კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს”. განათლების სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მათ უკვე დანერგეს ინკლუზიური სწავლება პროფესული განათლების საფეხურზე, სადაც ნებისმიერ შეზღუდული შესაძლებლბის მქონე პირს სწავლის გაგრძელების საშუალება აქვს.

> *მათთვის კარები გაიხსნა, თუ სხვები გამოცდის საფუძველზე აგრძელებენ პროფესიულ განათლებას, [...] [შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების] შემთხვევაში, ბევრად მარტივია, მათთვის ხდება წინაპროფესიული უნარების შეფასება, მოსინჯავენ რამდენიმე პროფესიას და შემდგომ ირჩევენ სასურველს.*
>
> *განათლების სამინისტროს წარმომადგენელი*

თუმცა პროფესიულ სასწავლებელში მოხვედრის წინაპირობა საბაზო (ცხრა კლასის) განათლების მიღების დამადასტურებელი ატესტატია, სწორედ ამიტომ, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა მშობელს საბაზო განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ ჰქონდეს ინფორმაცია: „[ბენეფიციარებმა] უნდა მიიღონ დღის ცენტრის სერვისიც და სავალდებულო

განათლებაც, რომელიც შემდგომში პროფესიული განათლების და დასაქმების წინაპირობაა.”

შეჯამება

დღის ცენტრის სერვისის განვითარებაში სხვადასხვა სტრუქტურებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ, თუმცა, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი განათლების სამინისტროს ჩართულობაა. ამ უკანასკნელის ფუნქციას კვლევის მონაწილეები სხვადასხვა კუთხით ხედავენ, მაგალითად, ზოგიერთი მათგანი დღის ცენტრის სკოლის ბაზაზე ფუნქციონირების იდეას უჭერს მხარს. განათლების სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, ბენეფიციარის სკოლასა და დღის ცენტრში ერთდროულად სიარული გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, მაგალითად, ზოგიერთი ბენეფიციარი, ამის გამო, დღის ცენტრს ან სკოლას ხშირად აცდენს, რაც, პირველ რიგში, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის კომუნიკაციის დეფიციტითაა გამოწვეული. კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ რეალური ინკლუზიის მიღწევა მხოლოდ სკოლაშია შესაძლებელი. მეორე მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებაში დისკრიმინაციული გარემოს გამო, სკოლის მიმართ ბენეფიციარის ოჯახის ან კანონიერი წარმომადგენელის უარყოფითი დამოკიდებულებაც პრობლემურია. ზრდასრული ბენეფიციარებისთვის, აგრეთვე, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მიღება.

VII. დღის ცენტრის ფუნქცია

კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ დღის ცენტრების პროგრამა გაუმჯობესებას საჭიროებს. ამ უკანასკნელის მიღწევა კი სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. როგორც ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, დღის ცენტრს დაფინანსების გარდა, „სწორი ხედვა" გააძლიერებს. მოკლევადიან პერსპექტივაში, პირველ რიგში, საჭიროა დაფინანსების დივერსიფიცირება, რომ მუნიციპალიტეტებმა და განათლების სამინისტრომ, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, პასუხისმგებლობა გადაინაწილონ. მეორე მხრივ, ისინი დღის ცენტრების მომსახურების სტანდარტების განახლებაზე საუბრობდნენ: „ყველაზე მარტივი გზაა, შეცვალო სტანდარტი, გააკეთო ის ორიენტირებული უფრო სოციალურ ინკლუზიაზე, ვიდრე შენახვაზე და ამით ძალიან გამოასწორო მდგომარეობა." ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სტანდარტებში ბენეფიციართა ასაკობრივი დიფერენცირება და სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინება მოხდეს:

> *საერთოდ, სამინისტორს ასეთი წარმოდგენა აქვს, რომ დღის ცენტრი არ იყოს სპეციალიზირებული, არამედ ყველანაირი [...] [შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის] იყოს ერთად. მაგალითად, ჩვენთან აქ გამოუგზავნიათ მხედველობადაქვეითებულები. ჩვენ აქ გვაქვს სპეციფიური მეთოდები, რომელიც მუშაობს მხოლოდ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანის რეაბილიტაციისთვის. ეს მეთოდი ჩამოვიტანეთ დასავლეთიდან. ეს არ მუშაობს მხედველობადაქვეითებულზე. სამინისტორომ ესეც უნდა იცოდეს.*
>
> *სფეროს ექსპერტი*

ამგვარი დიფერენციაცია შესაძლებელია სხვადასხვა გზით გამოიხატებოდეს. მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს კლუბური ტიპის ცენტრი, რომელიც არსებულ დღის ცენტრზე ხელმისაწვდომი იქნება, პარალელურად კი, იფუნქციონიროს რეაბლიტაციის ცენტრმა, რომელიც უნარ-ჩვევევბის განვითარებაზე იმუშავებს და შედარებით მეტი ეღირება. როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ამბობს, დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტის პროექტის პირველადი ვერსია უკვე არსებობს და შესაძლოა, მომავალში ამ მიმართულებით ცვლილებები განხორციელდეს.

როგორც სფეროს ექსპერტების ნაწილი აღნიშნავს, სამწუხაროდ, დღის ცენტრს ამჟამად „შემნახველი ოთახის ფუნქცია" აქვს, რომელიც არ არის მიმართული ბენეფიციარის განვითარებისა და მისი შემდგომი სოციალური ინტეგრაციისკენ.

> *ცენტების უმეტესობაში ბავშვები არიან კომფორტულად, უყვართ იქ მისვლა, იმიტომ, რომ მათ სხვა არაფერი აქვთ, მაგრამ ამ ცენტებში ჩაკეტილებს, აი, ასე, ფანჯრების მიღმა მისდის მთელი ცხოვრება. ეს არის ხედვის ამბავი, ეს არის კონცეპტუალური ამბავი, რომ დღის ცენტრმა უნდა შეიცვალოს ფუნქცია.*

სფეროს ექსპერტი

ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ დღის ცენტრები საკუთარ ფუნქციას რეალურად ვერ ასრულებენ, „ბევრი აქტივობა დღის ცენტრში არ ხორციელდება, დასაქმების შესაძლებლობები არ არსებობს" და ძირითადად, ოჯახის დამხმარე და საკვებთან დაკავშირებულ სერვისებს ახორციელებენ. ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ დღის ცენტრებმა მკაფიოდ უნდა დაინახონ საკუთარი როლი, თუ რა ფუნქციას უნდა ასრულებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებაში.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელის აზრით, დღის ცენტრის ბევრი ფუნქცია აქვს საკუთარ თავზე აღებული, იქნება ეს დასაქმება, პროფესული მომზადება, სოციალური თუ ფიზიკური რეაბილიტაცია და სხვა, რის გამოც ვერ ახერხებს ეფექტური პროგრამის განხორციელებას: „ძალიან ბევრი ფუნქცია აქვს აკიდებული დღის ცენტრს, რომელიც ნელ-ნელა [მას] ასამარებს."

ექსპერტების მეორე ნაწილი დღის ცენტრებს დადებითად აფასებს და ფიქრობს, რომ ისინი ღირებულ საქმეს აკეთებენ: „დღის ცენტრებზე მინდა გითხრათ, რომ ეს არის ერთ-ერთი მარგალიტი, ეს არის შედევრი, ძალიან საჭირო მომსახურება, ძალიან დიდი საქმის გამკეთებელი და წარმოუდგენლად იაფი." ხანდაზმულთა დღის ცენტრების შემთხვევაში, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ დღის ცენტრი სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ფუნქციას წარმატებულად ასრულებს და ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმულებს დღე მათთვის საინტერესო გარემოში გაატარონ:

> *ადამიანი, რომელსაც საერთოდ ცხოვრება აღარ აქვს და გდია, წარმოიდგინეთ, აი, ასე უხეშად რომ ვთქვათ და არავის აღარც სჭირდება, არაფერი, საერთოდ აღარ აქვს არაფერი. [...] ეს ადამიანი დილას დგება, კბილს იხეხავს, თეთრ პერანგს ჩაიცმევს და გამოდის სახლიდან და მიდის იქ, სადაც ელოდებიან, სადაც მეგობრები ჰყავს, მოდის, მთელი დღე არის საინტერესო გარემოში, გემრიელად და სასარგებლოდ მიირთმევს და ბრუნდება სახლში, ეს არის ნამდვილი სოციალიზაცია, ნამდვილი ინტეგრაცია, ნუ, ადამიანის დაბრუნება ცხოვრებაში.*

სფეროს ექსპერტი

გარდა ამისა, ექსპერტებისა და საჯარო მოხელეთა ნაწილი აღიშნავს, რომ დღის ცენტრი ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებითაც კარგად მუშაობს და ეხმარება როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ასევე, მათ ოჯახებს, საზოგადოებასთან ინტეგრაციაში.

საჯარო მოხელეების აზრით, „დღის ცენტრი არ უნდა იყოს მხოლოდ ღონისძიებების ნაკრები". ისინი ფიქრობენ, რომ დღის ცენტრის სამუშაო სპეციფიკა მიბმული უნდა იყოს

საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, პარალელურად კი, მშობლებთან მუშაობა და ოჯახის მზაობის შეფასება უნდა ხდებოდეს.

შეჯამება

კვლევამ აჩვენა, რომ დღის ცენტრი ოჯახის მხარდაჭერის კუთხითაც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. თუმცა კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ დღის ცენტრების პროგრამა გაუმჯობესებას საჭიროებს, რაც სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. მათი თვლსაზრისით, პირველ რიგში, დაფინანსების დივერსიფიცირებაა საჭირო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა და განათლების სამინისტრომ, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, დღის ცენტრების პროგრამის განხორციელების პასუხისმგებლობა გადაინაწილონ.

ფოკუს–ჯგუფების დეტალური ანალიტიკური ანგარიში

I. სტანდარტის ზოგადი შეფასება

ფოკუს ჯგუფის მონაწილე პედაგოგები დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტებს განიხილავდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ისინი ყოველთვის არ არის მორგებული დღის ცენტრის არსებულ რეალობაზე, რის გამოც სახელმწიფო ვალდებულია მოუსმინოს დღის ცენტრებს და ამაზე დაყრდნობით შეიმუშაოს სტანდარტები. თბილისის დღის ცენტრის სპეციალური პედაგოგი, სალომე აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო „სტანდარტს აწესებს და მერე მოდის ჩვენთან, პირიქით უნდა იყოს, ჩვენი ჩართულობა ამ დროს მთავარია." ბათუმის პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ სტანდარტების მოთხოვნა გაცილებით მეტია, ვიდრე დაფინანსება „სახელმწიფო გვთხოვს მეტს, მაგრამ გაძლევს ნაკლებს." პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ სტანდარტის შესრულება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დღის ცენტრი, პარალელურად, სხვა პროგრამებსაც განახორციელებს.

კვლევის მონაწილე პედაგოგები ამბობენ, რომ მომსახურების სტანდარტი ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საერთოა, რის გამოც, ის ვერ ითვალისწინებს სხვადასხვა ასაკის მქონე ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ამიტომ მისი ასაკობრივ კატეგორიებად დიფერენცირება უნდა მოხდეს. ერთ-ერთი სპეციალური პედაგოგი აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრი ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისაც უნდა ემსახურებოდეს და მათ სასკოლოდ ამზადებდეს:

> *ხუთი წლის ბავშვმა მოგვმართა ჩვენ, რომელსაც ბაღი ვერ ღებულობს, ქცევასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს. ბაღმა არ მიიღო, დადის ადრეული განვითარების ცენტრში, [...] ანუ, სიტუაცია ძალიან რთულია და [საჭიროა] დღის ცენტრებშიც შეიქმნას ასეთი პატარა ჯგუფები [...] მოვამზადოთ სკოლისთვის და შემდეგ ჩავრთოთ. ბევრი ბავშვი ჩავრთეთ ასე, 1-2 წლის მერე, რომ მიეჩვია ჯდომის კულტურას, მოსმენის კულტურას, კალმის დაკავებას და შემდეგ უკვე სკოლებში წავიდა მათი განვითარება.*
>
> *ბარბარე, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი*

გორის სპეციალური პედაგოგები აღნიშნადნენ, რომ ასაკობრივ ჯგუფებზე მეტად, საჭიროა, დღის ცენტრში დიფერენცირება სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობების მიხედვით მოხდეს, თუმცა მათ აზრს დღის ცენტრი ნაკლებად ითვალისწინებს. ნანა, სპეციალური პედაგოგი ამბობდა, რომ დღის ცენტრში ჯგუფები დაყოფილი უნდა იყოს, „კატეგორიების და შესაძლებლობების მიხედვით, ჩემი აზრით, იმიტომ რომ ჩემს ჯგუფში [ერთი-ერთი ბენეფიციარი] ისე იჩაგრება, რომ უკვე აღარ ვიცი."

შეჯამება

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია, დღის ცენტრების მომსახურების სტანდარტების შემუშავების პროცესში, დღის ცენტრების წარმომადგენლებიც ჩაერთონ. გარდა ამისა, მათი ნარატივიდან გამოიკვეთა სტანდარტების, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ასაკობროვი კატეგორიების მიხედვით დიფერენცირების სჭიროება.

II. დღის ცენტრის დაფინანსების ვაუჩერული წესი

კვლევის მონაწილები დღის ცენტრების დაფინანსებაზე საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ ვაუჩერის გაცემა ბენეფიციარების ინდივიდუალური საჭიროებებზე დაყრდნობით არ ხდება. პედაგოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ვაუჩერის რაოდენობის სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიბმა არასწორი მიდგომაა, რადგან ვაუჩერით გათვალისწინებული თანხა ყველასთვის ერთი ოდენობის უნდა იყოს. ერთ-ერთი ფსიქოლოგი დაფინანსების დროს პრიორიტეტების განსაზღვრას არალოგიკურს უწოდებს: „გვყავს ტყუპი ორივე ერთიდაიგივე სიმძიმის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ერთს მისცეს დაფინანსება მეორეს - არა, ვერ ვგებულობთ, სად არის აქ ლოგიკა?" ტარიელი, ოკუპაციური თერაპევტი თბილისიდან განმარტავდა, რომ დაფინანსების ამგვარი წესი დაკავშირებულია შეზღუდულ კვოტებთან, „რამდენსაც ყოფნის იმდენს აძლევენ, ვინმე რომ ჩაჯდეს ვიღაცა უნდა მოვკდეს, ან სავადმყოფოში დაწვეს, ან მოკლედ ჩანაცვლება უნდა მოხდეს." პედაგოგების აზრით, კვოტირება დაუშვებელია და ვაუჩერი იმდენ ბენეფციაირზე უნდა გაიცეს, რამდენსაც დღის ცენტრის მომსახურება ესაჭიროება. როგორც თბილისის დღის ცენტრის პედაგოგები აღნიშნავდნენ, ზოგიერთ ცენტრში იმაზე მეტი ბენეფიციარია, ვიდრე ვაუჩერით არის გათვალისწინებული. მარიამი, ფსიქოლოგი ამბობს, რომ დღის ცენტრს 29 ბენეფიციარი ჰყავს, ექვს კი ცენტრი თავისი რესურსით ინახავს. ამ პირობებში კი, ანა, სპეციალური პედაგოგი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბენეფიციარების აღრიცხვის გზით, დღის ცენტრებისთვის თანხის ჩამოკლებას მაინც ცდილობს.

როგორც პედაგოგების ნარატივიდან ირკვევა, დაიფინანსება დღის ცენტრისთვის უმთავრესია „საიდანაც არ უნდა მოვუაროთ საკითხს, მაინც ფინანსებამდე მივდივართ", დღესდღეობით კი, მათი თქმით, დღის ცენტრისთვის თითოეულ ბენეფიციარზე გამოყოფილი თანხა "ზღვაში წვეთია":

> *თუ ეს მიდგომა არ შეიცვალა, აზრი ეკარგება ყველაფერს. მარტო ტელევიზორთან დასვა და დომინო ათამაშო, არ შეიძლება ასე. თუ სრულფასოვან სერვისზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ეს თანხა ძალიან მცირეა. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, უმთავრესი საკითხია.*
>
> *ტარიელი, ოკუპაციური თერაპევტი, თბილისი*

მშობლები იზიარებენ მასწავლებლების პოზიციას და ამბობენ, რომ დაფინანსება იმდენად მცირეა, დღის ცენტრი იძულებულია, რომ ზაფხულში შესული დაფინანსებიდან თანხები ზამთრისთვის გადაინახონ, რადგან ზამთარში კომუნალურის ხარჯი გაცილებით დიდია. მშობლები ასევე აღნიშნავდნენ, რომ დაბალი ბიუჯეტის გამო, დღის ცენტრს ადამიანური რესურსის შენარჩუნებაც უჭირს. თათული, ერთ-ერთი ბენეფიციარის მშობელი ბათუმიდან აღნიშნავდა: „ახალი მასწავლებლები არ ჩერდებიან, იყვნენ სტაჟირებაზე და

ყველანი გაიქცნენ.” ზოგიერთი მშობელი აღნიშნავდა, რომ დაფინანსების სიმცირის გამო, დღის ცენტრი კადრების ნაკლებობასაც განიცდის.

ერთ-ერთი მშობელის თქმით, დღის ცენტრის უკეთ ფუნქციონირებისათვის საჭირია, რომ თანხა, თითუელ ბენეფიციარზე, მინიმუმ, 20 ლარს მაინც შეადგენდეს. პედაგოგების ნაწილი საუბრობდა, რომ სახელმწიფომ დაფინანსება საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა გაზარდოს. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრი ყველანაირად ცდილობს მაქსიმალურად კარგი პირობები შესთავაზოს ბენეფიციარებს, თუმცა, ამის მისაღწევად, არსებული დაფინანსება საკმარისი არ არის. გორის დღის ცენტრის სერვისით მოსარგებელე ბენეფიციართა მშობლები საუბრობდნენ, რომ დაფინანსების გაზრდა ხელს შეწყობს ბავშვებისთვის მეტი გარე აქტივობების შეთავაზებასაც:

> *ერთადერთი გასვლითი ექსკურსია უნდა გააკეთონ და იქაც, ნაწილობრივ, ჩვენი თანხა უნდა შევიდეს, იმიტომ, რომ არაფერში აღარ ყოფნის. იყო დრო, რომ ყოფნიდა კი არა, ზედმეტადაც იყო, კარგად ყოფნიდათ ამ ბავშვებს, ახლა აღარ ყოფნით.*
>
> *დიანა, მშობელი, გორი*

პედაგოგთა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ დღის ცენტრი მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული და მათ მხარდაჭერა სხვადასხვა ორგანიზაციამ ან დონორმა უნდა გაუწიოს. პედაგოგების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრების მიერ ალტერნატიული დაფინანსების მოძიების პრაქტიკა მათთვის ნაცნობი საკითხია, თუმცა ამ ტიპის დაფინანსება, მათი აზრით, არასტაბილურია, და ხშირად ერთჯერად ფულად მხარდაჭერას მოიაზრებს. ზოგიერთი პედაგოგი ამბობდა, რომ დონორის მიერ დღის ცენტრში სხვადასხვა დროს დაფინანსებულმა პროექტებმა მდგრადობა ვერ შეინარჩუნა:

> *გეუბნება, მე სამი წელი საგაზისოდ ყველაფერს შეგიქმნი და გაგიკეთებ, მოგხედავ სამი წელი, მერე იგივე ტემპით განაგრძოს უნდა სახელმწიფომ, მაგრამ ვერ აგრძელებს სახელმწიფო.*
>
> *ტარიელი, ოკუპაციური თერაპევტი, თბილისი*

> *ახლა სპონსორი გვეხმარება, მაგრამ ოქტომბრიდან არ ვიცი რა გვეშველება, თუ მხოლოდ სახელმწიფოს იმედზე დავრჩებით, ის რაც გვიშენებია წამებში დაგვენგრევა. სასწავლო მასალა აუცილებელია, და უსაზღვროდ ბევრი გვჭირდება. პროექტი მთავრდება და უკვე შიშში ვართ.*

პედაგოგების ნაწილი დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების იდეას არ ემხრობა და ფიქრობს, რომ დღის ცენტრის ყველანაირ ხარჯს სახელმწიფო უნდა ფარავდეს, ხოლო დღის ცენტრის ადმინისტრაციას სხვადასხვა დაფინანსების წყაროების მოძიება არ უნდა უწევდეს.

შეჯამება

კვლევამ აჩვენა, რომ ვაუჩერის გაცემა ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით არ ხდება. პედაგოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ვაუჩერის რაოდენობის სოციალურად დაუცველის სტატუსთან მიბმა დაუშვებელია, რადგან ვაუჩერი ყველასთვის ერთსა და იმევე თანხას უნდა ითვალისწინებდეს. პედაგოგებისა და თერაპევტების ინფორმაციით, ბენეფიციართა რიცხვი გაცილებით მეტია ვიდრე სახელმწიფოს მიერ დღის ცენტრის მომსახურებისთვის გამოყოფილი კვოტები. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის არსებული დაფინანსება არასაკმარისია და ბენეფიციარის საჭიროებებზე გათვლილი არ არის, რის გამოც, ცენტრები მათ ადეკვატურ სერვისს ვერ სთავაზობენ. გარდა ამისა, მცირე დაფინანსების გამო, დღის ცენტრებს უჭირთ კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოძიება და, შემდგომ, მათი შენარჩუნება. ზოგიერთი პედაგოგი დაფინანსების ალტერნატიული წყაროების შესახებაც საუბრობს, თუმცა, ისინი აღნიშნავენ, რომ ამგვარი დაფინანსება სტაბილური არ არის და დღის ცენტრების სრული დაფინანსება სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს.

III. სკოლისა და დღის ცენტრის შეთავსება

მშობლების ნაწილი ბენეფიციარების სკოლაში ჩართვის შესაძლებლობაზე საუბრობდა. მონაწილეთა შვილების უმრავლესობა სკოლაშიც დადის (ან ერთხელ მაინც უვლია) და დღის ცენტრის მომსახურებითაც სარგებლობს. როგორც ისინი აღნიშნავენ, მათი შვილებს ორივეგან სიარული მოსწონთ, თუმცა პრიორიტეტს მაინც დღის ცენტრს ანიჭებენ:

> *დილიდან დღის ცენტრში ვართ და მერე მივდივართ სკოლაში, მეოთხე კლასი დავხურეთ, ძალიან მოწონს ორივეგან. უყვარს კლასელები, კარგადაა, მაგრამ იმდენს ვერ თამაშობს, ამიტომ, დღის ცენტრი ურჩევნია, იქ თავს როგორც სახლში ისე გრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი სკოლაა, მაინც დღის ცენტრი ურჩევნია.*
>
> *ქრისტინა, მშობელი, თბილისი*

გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობაც აღნიშნავდა, რომ სკოლაშიც დადის, ან წასრსულში ერთხელ მაინც უვლია. ერთ-ერთი ბენეფიციარი თბილისიდან აღნიშნავდა, რომ სკოლაში სიარული მოსწონს, რადგან კარგი თანაკლასელები და მასწავლებლები ჰყავდა:

> *გაგვიმართლა ჩვენ, იმიტომ, რომ ძალიან კარგი ბავშვები გვყავდა, მასწავლებლებსაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ. ხომ შეიძლება, რომ ცუდი ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ძალიან გაგვიმართლა. უბრალოდ, ადამიანებს ცნობიერების ამაღლება სჭირდებათ, იმიტომ, რომ ყველა ადამიანი არის რაღაცით შეზღუდული, ზოგს მაგალითად კარგად სიმღერა არ შეუძლია და ვერ გამოვა სცენაზე.*
>
> *გიორგი, ბენეფიციარი, გორი*

მშობელთა უმრავლესობა აღნიშავდა, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს, პირველ რიგში, ბავშვის სურვილს ითვალისწინებენ. ზოგიერთი მშობელი ამბობდა, რომ მათ შვილებს სკოლაში სიარული არ გასჭირვებიათ და ხშირად, სკოლის დამთავრებასაც წარმატებებით ახერხებდნენ:

> *სკოლაში რომ მივედით პირველი დღე იყო ის, რომ გადმოვედით ტრანსპორტიდან და იკითხა, სკოლაში მოვედით? როცა დაუდასტურეს, ხელები გაშალა და თქვა, არაუშავს, გვიყურონ, მიგვეჩვევიან, ეს იყო 7 ეტლით მოსარგებლე ბავშვის ერთობლივად შესვლა სკოლაში, და შვიდივე იყო უბედნიერესი [...] ბავშვებმა, მისმა ამხანაგებმა დაასრულეს სკოლა, პირველივე წელს წარმატებით გადალახეს და ჩააბარეს გამოცდები.*

თათა, მშობელი, თბილისი

გარდა განათლების მიღებისა, ბათუმის დღის ცენტრების ბენეფიციართა მშობლები ფიქრობენ, რომ სკოლას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში, ასევე, უმჯობესია, რომ ბავშვი ინტეგრირებულ ჯგუფში იყოს, ვიდრე მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან:

> *ჩემსას [შვილს] უყვარს სკოლაში სიარული. ზოგადად, ეს ბავშვები საზოგადოებასთან ურთიერთობას მეტად საჭიროებენ, შეიძლება ვერ ისწავლონ, მაგრამ გაერთობიან და ის პროცესი მოსწონთ, რომ სადღაც მიდიან.*

თათული, მშობელი, ბათუმი

თუმცა, როგორ ზოგიერთი მშობელი აღნიშნავდა, მათ სცადეს შვილების სკოლაში ტარება, მაგრამ თვითონ ბავშვებმა დღის ცენტრში სიარული ამჯობინეს: „გაჯიუტდა და ვერაფრით ვერ ვატარეთ, მაგრამ პედაგოგის ან ბავშვების გამო არ იყო ეს უარი, ისინი არაფერ შუაში არ არიან, არ უნდოდა მას." სკოლისგან განსხვავებით, დღის ცენტრში მეტი შესაძლებლობაა, ამბობს მერი, მშობელი ბათუმიდან: „იქ [დღის ცენტრში] გართობაა მეტი, მუსიკის გაკვეთილია, რაც ამათ მოსწონთ, მღერიან, ცეკვავენ, ჭამენ, ძერწავენ, ერთად აკეთებენ რაღაცეებს." „სკოლაში დაჯექი, მომისმინე, დაწერე, წაიკითხე არ მოსწონთ", ამბობს შორენა.

ბენეფიციართა ნაწილი, საუბრობდა, რომ მშობლის ნეგატიური დამოკიდებულება სკოლისადმი, ხშირად, ბავშვს სკოლაში სიარულის შესაძლებლობას უზღუდავს:

> *სპეციალური საჭიროებების მქონე [ბავშვი] დადიოდა მე-4 საჯარო სკოლაში ჩვენთან, ერთხელ საგაკვეთილო პროცესის დროს მამამისი შემოვიდა და დაიწყო ყვირილი, რომ ჩემი შვილი კლოუნი ხომ არ არის აქ რომ დადისო და წაიყვანა სახლში, ანუ გამოკეტილი ყავს ამ ადამიანს და არ აძლევს საზოგადოებაში, თავის თანატოლებში ინტეგრაციის საშუალებას.*

კესო, ბენეფიციარი, გორი

ზოგიერთი მშობელი აღნიშნავდა, რომ სკოლაში სიარულის ცუდი გამოცდილება აქვთ და ამბობს, რომ მისთვის მეორეხარისხოვანია შვილს სკოლის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატი ექნება თუ არა:

> *დამრიგებელმა სკოლიდან 4-5 ბიჭი გარიცხა იმის გამო, რომ გაკვეთილზე ვერ აჩერებდა, ასეთი პედაგოგი ჩემს შვილს როგორ მიხედავს?! აი, ამის გამო შევიკავე მაშინ თავი. სკოლის ატესტატი ექნება თუ არა ჩემს შვილს, ეს ჩემთვის მეორეხარისხოვანია.*

ნუცა, მშობელი, თბილისი

ბათუმში არსებული დღის ცენტრების ბენეფიციართა მშობლებიც საუბრობდნენ სკოლაში არსებულ პრობლემებზე, რის გამოც, ისინი მხოლოდ დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობენ:

> *ერთ-ერთმა დირექტორმა მითხრა თქვენი შვილი ზედმეტი ხარჯია ჩემი სკოლისთვისო [...] ახლანდელ სკოლაშიც რამდენიმე თვეა არ მიმიყვანია, იქაც დირექტორთან მაქვს პრობლემა, კერძო სკოლაა, სასულიერო, თავიდან რომ მივიყვანე გადასახადები მოგვიხსნეს [...] ამჟამინდელ მამაოს [დირეტორს] აღმოჩნდა, რომ არ აქვს სურვილი მათ გაზაზე იყვნენ მსგავსი ბავშვები, წლის ბოლოს თანხა მოგვთხოვა 750 ლარი და ჯარიმები, რადგან მთელი წელი არ გადაგვიხდია, წლის დასაწყისში არ ახსოვდა რომ გავეფრთხილებინეთ. ეს პრობლემები გვაქვს და ბავშვი აღარ დაგვყავს, შესაბამისად.*

მერი, მშობელი, ბათუმი

ბენეფიციარების ნაწილი სკოლაში მასწავლებლების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე საუბრობდა. ბაია, ქუთაისიდან, ამბობს: „ზოგიერთი მასწავლებელი ისეთი უხეში და უზრდელია, რომ ბავშვებს უყვირის და ისე ბრაზდება ბავშვზე, რომ შეიძლება ფსიქოლოგიური სტრესიც კი მიაყენოს [...] ზოგიერთი მასწავლებელი, ისიც მინახავს სახაზავს რომ ურტყამს." თუმცა, ზოგიერთი ბენეფიციარი სკოლის შესახებ დადებითად საუბრობს და ამბობს, რომ მსგავსი შემთხვევა მასწავლებლების მხრიდან არასდროს უნახავს და რომ სკოლამ, ბევრი მეგობარი შესძინა.

მშობელთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ნელ-ნელა შეიცვალა და მიიჩნევს, რომ ყველაფრის მიუხედავად, მნიშვნელოვანია დღის ცენტრის გარდა, ბავშვებმა სკოლაშიც იარონ:

> *იყო შემთვევა მასწავლებელმა მითრა, წაიყვანე დებილების სკოლაშიო, მაგრამ ეს იყო 20 წლის წინ და შეიცვალა დამოკიდებულებები, დღეს ასე აღარ არის. სულ მთლიანობაში 18 წელი ვისწავლეთ ალბათ. [...] სკოლის მერე ტექნიკუმი დაამტარა, მერე იურიდიული, უნივერსიტეტში, დასაქმებული არაა, მაგრამ მისთვისვე საუკეთესო გარემოში, რეაბილიტაციის ცენტრშია.*

ნუცა, მშობელი, თბილისი

მშობელთა უმრავლესობა, რომლებსაც შვილები სკოლაშიც და დღის ცეტრშიც დაყავს, დადებითად აფასებს საჯარო სკოლის პირობებს და დანარჩენ მშობლებს მოუწოდებს, სტიგმების ნუ შეეშინდებათ:

> *ჩემი შვილი პირველი ბენეფიციარი იყო, რომელიც შევიდა ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში, სკოლა იყო იმდენად მომზადებული, ბავშვები, დირექტორი ყავდათ ფანტასტიური, ძალიან დიდი მადლობელი ვარ დღემდე მათი, ამას [ბავშვს] შეხვდნენ ჩვეულებრივად. ამიტომ ეს დოგმები ნუ შეგაშინებთ, არავინ არავისკენ თითს არ იშვერს. ატარეთ დღის ცენტრში, და ჩვეულებრივ სკოლაში.*
>
> *თათა, მშობელი, თბილისი*

მშობელთა დიდი ნაწილი დღის ცენტრის სერვისს დადებითად აფასებს და ამბობს, რომ დღის ცენტრი მათთვის პირველ რიგში არის იმედი, რომ მათი შვილი საბაზისო უნარ-ჩვევებს დაისწავლის:

> *იმხელა იმედია ჩვენთვის ეს დღის ცენტრი, შეიძლება სკოლა გავაცდენინო, დღის ცენტრი არასდროს. იმედი მაქვს რომ ქცევებს ისწავლის, საუბარს ისწავლის, როგორ არა, ამის მჯერა და ამის იმედი მაქვს.*
>
> *ქეთო, მშობელი, თბილისი*

მშობლები აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ სკოლა მათი შვილების სოციალიზაციისთვის ს არ არის საკმარის, რის გამოც, დღის ცენტრის მომსახურება ძალიან მნიშვნელოვანია. შორენა, ბათუმის ერთ-ერთი დღის ცენტრის ბენეფიციარის მშობელი ამბობს: „ჩემი სახლში რომ დარჩეს გაგიჟდება, სკოლაშიც უყვარს წასვლა და დღის ცენტრშიც." თუმცა, ქუთაისის დღის ცენრების ზოგიერთი ბენეფიციარის მშობელი აღნიშვანდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ოჯახს არ აქვს საკმარისი თანხა იმისთვის, რომ შვილის სკოლაში და დღის ცენტრში ტრანსპორტირების ხარჯები დაფაროს.

ბენეფიციარების ნაწილი ასევ საუბრობდა პროფესული განათლების საჭირობაზე, „რამე ხელობა რომ ვისწავლოთ, შეგვიძლია." ქუთაისში ბენეფიციარები ამბობდნენ, რომ პროფესიულ სასწავლებელში არაადაპტირებული ტრანსპორტის გამო ვერ დადიან.

შეჯამება

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ის ბავშვები, რომლებიც სკოლაშიც დადიან და დღის ცენტრების მომსახურებასაც იღებენ, ორივე პროგრამით კმაყოფილები არიან. მშობლები ფიქრობენ, რომ სკოლას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ბავშვთა სოციალიზაციისა და განათლების კუთხით, ამიტომ, დღის ცენტრის პარალელურად, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა სკოლაშიც იაროს. მშობლები აღნიშნავდნენ,

რომ ხშირად ბენეფიციარები სკოლაში, ადმინისტრაციის ან თანაკლასელების მხრიდან მათდამი ნეგატიური დამოკიდებულებების გამო, არ დადიან, რის გამოც, ბავშვი მხოლოდ დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობს. დღის ცენტრის როლს მშობელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს. კვლევამ აჩვენა, რომ ბენეფიციართა ნაწილს სურვილი აქვს პროფესიული განათლება მიიღოს, თუმცა, ხელმისაწვდომი გარემოს არარსებობის გამო, ისინი ამას ვერ ახერხებენ.

IV. დღის ცენტრის რესურსები

კვლევის მონაწილეები დღის ცენტრის რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ინფრასტრუქტურის, კვებისა და ტრანსპორტირების მიმართულებით საუბრობდნენ. პედაგოგები აქცენტს ადაპტირებისთვის საჭირო მოწყობილობების საქართველოში შეძენის სირთულეებზე, ასევე ინვენტარის ნაკლებობაზე საუბრობდნენ. ერთ-ერთი ფსიქოლოგი აღნიშნავდა, რომ პრობლემურია დღის ცენტრის ფართიც, რომელიც არ ითვალისწინებს ბენეფიციართან ინდივიდუალური მუშაობისთვის ცალკე სივრცის გამოყოფას:

> *მე ფსიქოლოგი ვარ, და ცალკე ოთახი არ მაქვს, მიწევს, რომ [ბენეფიციარი] მეჩურჩლოს. იმიტომ, რომ პარალელურად, იგივე ოთახში ვიღაცა ჭამს, ვიღაცა ხატავს. არ არის განსატვირთი ოჯახი, იქნებ წამოწოლა უნდა. ძალიან ცუდი სიტუაციაა რესურსების მხრივაც. კომპიუტერიც ერთია, მარტო დომინოს თამაში ხო არ არის?!*
>
> *თეონა, ფსიქოლოგი, თბილისი*

ბენეფიციარების ნაწილი საუბრობდა დღის ცენტრში საშხაპის საჭიროების შესახებ და აღნიშნავდა, რომ ბევრ ბენეფიციარს არ აქვს საშუალება სახლში იბანაოს: „საჭიროა, რომ ეს საკითხი დღის ცენტრში მოგვარდეს. ახლა გამიყო კვირაში ერთი დღე [საბანაოდ], მიყავთ ხოლმე, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა, მაგრამ ზაფხულია და არ არის საკმარისი." ზოგიერთი მშობელი კი რემონტის საჭიროებას უსვამდა ხაზს, განსაკუთრებით ბათუმში, სადაც მათი თქმით, ადგილობრივი ჰავა დღის ცენტრს ანესტიანებს.

ნინო, ფსიქოლოგი თბილისიდან, აღნიშნავდა, რომ „ყველა ბავშვის ინდივიდუალური გათვალისწინებით, ყველა მასალა არ გვაქვს. სახელმწიფო დაფინანსებაც არის ისეთი ცოტა, რომ რაც არის საჭირო ყველაფერს ვერ იყიდი." სხვა პედაგოგებიც საუბრობდნენ დღის ცენტრისთვის სხვადასხვა საკანცელარიო მასალების საჭიროებაზე და აღნიშნავდნენ:

> *ეს იმდენ მასალას ითხოვს, ფერადი ფურცლები, ფანქრები, საღებავები, საძერწები, რაც ყოველდღიურად გვჭირდება, და რის გარეშეც ცენტრი ვერ იმუშავებს, არ გვაქვსო რომ ვთქვათ, ჩვენი მხრიდან უნამუსობა იქნება, ყველაფერში ხელი გვეწყობა, მაგრამ ეს ისეთ „უფსკერო ჭურია" რომ მუდმივად საჭიროებს განახლებას, ამ კუთით, სისტემატიურად რომ ფიქრობდეს სახელმწიფო ამათზე, ძალიან კარგი იქნებოდა.*
>
> *თეკლა, სპეციალური პედაგოგი, ქუთაისი*

ბენეფიციარებს ქუთაისიდან ყველაზე მეტად კომპიუტერისა და ინტერნეტის არარსებობა აწუხებთ. თბილისში კი მათ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ბენეფიციართა საჭიროებაზე გაუსვეს ხაზი და აღნიშნეს, რომ სასურველი იქნებოდა შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა ცენტრშიც ყოფილიყო შესაძლებელი.

კვლევის მონაწილეების თქმით, ზოგიერთ დღის ცენტრს ადაპტირებული ტრანსპორტის პრობლემა აქვს:

> *ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული. ყოველ დღე კი მოყავს და მიყავს, [...] ჩვენ გვყავს მამაკაცი, რომელსაც ბავშვები ხელი-ხელში გადაყავს მაგრამ რთულია აწიო ყველა ბავშვი ხელში. ეს იმიტომ ხდება რომ არ გვყავს ადაპტირებული ტრანსპორტი. ეტლით მოსარგებლე 10 ბავშვი გვყავს [...]ეს ძალიან შრომატევადია მამაკაცისათვისაც. ის კარგად ართმევს თავს ამ საქმეს მაგრამ...*
>
> *თამთა სპეც პედაგოგი*

ტრანსპორტირების პრობლემა აქტუალურია იმ მშობლებისთვისაც, რომლებსაც ბავშვები სხვადასხვა სოფლიდან ქალაქში დაჰყავთ. როგორც ისინი ამბობენ, ამისთვის არც თანხა არის გამოყოფილი და არც დრო. მშობლების მხრიდან ტრანსპორტირებისას დახარჯული დროის პრობლების საკითხიც წამოიჭრა:

> *20 ბავშვზე რომ ერთი ტრანსპორტია, ეგეც პრობლემაა, ერთი ბავშვისგან მეორესთან რომ მიდია,ნ ის მარშუტკაში 1,5-2 საათს ატარებს, ესეც გასათვალისწინებელია. 4 საათზე რომ გამოიყვანენ ბავშვებს დღის ცენტრიდან ბოლო ბავშს ტოვებენ 7 საათზე სახლში, წარმოიდგინეთ, რა დროს ატარებს ის დაღლილი ბავშვი ტრანსპორტში.*
>
> *ალისა, მშობელი, ბათუმი*

ზოგიერთი მშობელი აღნიშნავდა, რომ მიკროავტობუსით მომსახურების სერვისი, მათთვის არ არის მისაღები, რადგან ამ შემთხვევაშიც, არ ხდება ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინება:

> *თან ისეთი ბავშვები არიან საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ წაიყვან სპეციალურად უნდა დავიქირაოთ მანქანა [...] ვერ იტანენ ხალხმრავლობას და ძალიან უმართავები ხდებიან. ადგილზე რომ იყოს ამისი საშუალება, თუნდაც თანხა რომ გადავიხადო...*
>
> *მეგი, მშობელი, გორი*

ზოგიერთი მშობელი გორიდან აღნიშნავდა, რომ ისინი კმაყოფილები არიან დღის ცენტრის კვების რაციონით, თუმცა, ამასთან დაკავშირებით, უკმაყოფილება აქვთ დღის ცენტრების ბენფიციარებს. ერთ-ერთი მათგანი ამბობდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც საჭმელი უვარგისია („ამჟავებულია"), ან არ არის კარგად მომზადებული: „თევზი მოიტანეს, ნახევრად უმი, ნახევრად შეუმწვარი". ასევე, ბენეფიციარები ისურვებდნენ, რომ კვების რაციონი უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო:

> *კვება კარგი იყო, მაგრამ ახლა აღარ, რაც კვებიდან ამოიღეს ხაჭო, არაჟანი. ხილიც არ არის. კვირაში ერთხელ მაინც უნდა იყოს. ჩვენ არ ვითხოვთ, მაგრამ თუნდაც ვაშლი ან საზამთრო, რაც ახლა არის [სეზონური ხილი]. რაც მე აქ ვარ, ხილი არ მიმიღია.*
>
> *ფიქრია, ბენეფიციარი, თბილისი*

ბენეფიციართა ნაწილის უკმაყოფილებას არ იზიარებს ზოგიერთი მონაწილე და ამბობს, რომ დღის ცენტრში კვების რაციონით კმაყოფილია: „რაც დღის ცენტრი გაიხსნა, პირველი დღიდანვე და მომწონს ყველაფერი. ძალიან კარგი სადილებია. ნამცხვარი, კომპოტი. ახალ-ახალი საჭმელები."

4.1. ადამიანური რესურსები

კვლევის მონაწილეებმა ერთი მხრივ, დღის ცენტრებში ადამიანური რესურსების ნაკლებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, უკვე დასაქმებული პროფესიონალების საჭიროებებზე და მუშაობის სირთულეებზე ისაუბრეს.

მშობლები და პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ არის შემთხვევები, განსაკუთრებით, რეგიონებში, როცა დღის ცენტრს არ ჰყავს კადრი ბენეფიციარისთვის ადეკვატური სერვისის მისაწოდებლად. რეგიონებში მშობლები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ისეთი სპეციალისტების დამატება, როგორიც არის ჟესტური ენის პედაგოგი, მასაჟისტი, ლოგოპედი და სხვა. მშობლები გორში ზოგადი და ოკუპაციური თერაპევტების საჭიროებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას და ამბობდნენ, რომ დღის ცენტრში ამგვარი მომსახურება აუცილებლად უნდა არსებობდეს და ამ მიზნით თბილისში ჩამოსვლა მათ არ უნდა უწევდეს.

კვლევის მონაწილეები დღის ცენტრში დამატებითი პედაგოგების საჭიროებაზეც საუბრობდნენ. ერთ-ერთი პედაგოგი აღნიშნავს, რომ „[პედაგოგთა] სიმრავლე ყოველთვის იძლევა ხარისხს". მონაწილეები ამბობდნენ, რომ ზოგიერთი კადრი, მაგალითად, ფსიქოლოგი, საჭიროა, რომ დღის ცენტრში მთელი დღე იყოს და ჩართული იყოს ყველა აქტივობაში. ბარბარე, სპეციალური პედაგოგი ბათუმიდან, აღნიშნავდა, რომ ფსიქოლოგს ბენეფიციარი ინდივიდუალურად მუშაობისთვის ცალკე გაჰყავდა, თუმცა, დღის ცენტრის ადმინისტრაცია ითხოვდა, რომ ბენეფიციართა სიმრავლოს გამო, მას ჯგუფურად ემუშავა.

პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ სტანდარტებით გაწერილი პროფესიონალების რაოდენობის მიუხედავად, საჭიროა, რომ თითოეულმა პედაგოგმა 5-6 ბენეფიციარზე მეტთან არ უნდა იმუშაოს. ერთ-ერთი პედაგოგი ამბობს, რომ „უფრო ვარ მწყემსი [ვიდრე პედაგოგი], რომ ბავშვებს შეექმნას უსაფრთო გარემო, სწორედ იმიტომ, რომ გვყავს ბევრი ბენეფიციარი." პედაგოგებისა და მშობლების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ბენეფიციართა სიმრავლის გამო, მათ ბენეფიციართან ინდივიადუალურ მუშაობის მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება:

12 ბენეფიციარი გვყავს ჯგუფში და შეიძლება ყველას სხვადასხვა შეზღუდვა ჰქონდეს, მე ვალდებული თითოეული მათგანი მისთვის საინტერესო საქმით დავასაქმო, ამაშობაში კი, დრო არ მრჩება, რომ თითოეულთან ინდივიდუალურად ვიმუშაო.

ეკა, თერაპევტი, თბილისი

როცა ვმუშაობდი 4-5 ბავშვთან, დრო რომ გავიდა და ჯგუფი შეივსო, გადავხედე ყველაფერს და მივხვდი, რომ ის შედეგი რაც იმ 4-5 ბავშვს ჰქონდა, ზუსტად ჯგუფში ცოტა ბენეფიციარის ყოფნის შედეგად მოხდა, მეტი დრო მქონდა მათთან ინდივიდუალური მუშაობისათვის.

სალომე, სპეციალური პედაგოგი, თბილისი

გორის დღის ცენტრის სპეციალური პედაგოგი, ნუცა ამბობს, რომ ბენეფიციართა რაოდენობას ჯანდაცვის სამინისტრო აკონტროლებს და ხანდახან, არის შემთხვევები, როდესაც ისინი, მომსახურების სტანდარტების მიუხედავად, დღის ცენტრებს ნებას რთავენ მათმა პედაგოგებმა მეტ ბენეფიციართან იმუშაოს. მიუხედავად იმისა, რომ დღის ცენტრების უმრავლესობას ჰყავს ბენეფიციარებისთვის ძიძა/მომვლელი, პედაგოგების დიდი ნაწილი ამბობდა, რომ მათი რაოდენობა ბენეფიციართა რაოდენობის პროპორციული არ არის და ხშირად, პედაგოგებს სხვების ფუნქციების საკუთსარ თავზე აღება უწევს.

პედაგოგებთა მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ 10 ბავშვი ერთ პედაგოგზე არ არის საგანგაშო რაოდენობა, რასაც მშობელთა მცირე ნაწილიც იზიარებს და ამბობს, რომ დღის ცენტრს მეტი კადრის ასაყვანად რესურსი არ ჰყოფნის.

მშობელთა ნარატივიდან ჩანს, რომ მათი უმრავლესობა პედაგოგების მუშაობით კმაყოფილია. ირინე, მშიბელი ბათუმიდან, ამბობს, რომ „პედაგოგები არიან ნამდვილი გმირები, იმიტომ რომ მაქსიმალურს ცდილობენ. არ არიან ხელფასზე დამოკიდებული, მათი საქმიანობა გულიდანაა წამოსული, ასე რომ არ იყოს, ვერცერთი ვერ შეძლებდა." მშობლები ფიქრობენ, რომ მთავარია პედაგოგს კარგი ურთიერთობა ჰქონდეს

ბენეფიციართან და რისი საშუალებაც არის დღის ცენტრში, ან რისი ათვისებაც ბენეფიციარს შეუძლია, იმის მაქსიმუმი გააკეთოს.

> *რამდენჯერ შევუსწარი, რომ ხელსაქმეს აკეთებინებენ. ჩემს შვილს, მაგალითად, მოტორიკა უჭირს, მაგრამ თავისებურად მაინც მოახატინეს ჭურჭელი იყო, თუ რაც იყო, დაახატინეს, ფერებს არჩევინებდნენ, რომელი ფერით რა უნდა გაეკეთებინათ და ასეთ რაღაცებს აკეთებენ. რაც შეუძლიათ მუშაობენ ჩვენს ბავშვებთან.*
>
> *ლანა, მშობელი, ქუთაისი*

თვითონ ბენეფიციართა უმრავლესობა დადებითად აფასებს პედაგოგების მუშაობას, „თბილები არიან და კარგები" და ფიქრობენ, რომ მთავარია პედაგოგს კარგად გამოსდიოდეს მათთან კომუნიკაცია: *„ყველაფერს აკეთებენ, რომ თითოეულ ჩვენგანში აღმოაჩინონ რაღაც მარცვალი, როგორც ამბობენ და და განავითარონ, რომ დაინახონ პოტენციალი ვის რა შეუძლია და მერე განავითარონ."*

4.1.1. პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები

პედაგოგების უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მათ სხვადასხვა ტრენინგებზე დასწრების შესაძლებლობა ჰქონდეს. ისინი აღნიშნავენ, რომ ცხოვრებაბაში ერთხელ მაინც დასწრებია სხვადასხვა ტრენინგს, მაგალითად, ქცევის მართვის, ინკლუზიის, ოკუპაციური თერაპიის, ან ემოციების მართვის შესახებ ტრენინგებს. თუმცა, ზოგიერთი პედაგოგი აღნიშნავს, რომ ეს კურსები მათთვის საკმარისი არ არის. პედაგოგების ნაწილი, ისურვებდა, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები საზღვარგარეთ მიეღოთ, ძირიღადად პრაქტიკული სამუშაოების მიმართლებით. როგორც პედაგოგების ნაწილი ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ დღის ცენტრი ხანდახან ახერხებს უზრუნველყოს ან თავად გაუკეთოს ორგანიზება კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს, საერთო ჯამში, ყველა დღის ცენტრს არ აქვს საშუალება პედაგოგების მომზადება უზრუნველყოს, ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია ამაზე იზურნოს.

ზოგიერთი მონაწილე, საკუთარი ხარჯებით ცდილობს ტრენინგების გავლას, თუმცა როგორც ისინი ამბობენ, ხშირად, ამ ტრენინგების ხარისხი მათთვის დამაკმაყოფილებელი არ არის:

> *მე 160 ლარი გადავიხადე ოკუპაციური თერაპიის ტრენინგში, მაგრამ რაც ვიცოდი იგივე გავიგე, არანაირი ცოდნა არ მიმიღია, იმიტომ, რომ მივდივარ ტრენინგზე ველოდები მაქსიმალურად მივიღო ცოდნა, პრაქტიკული აუცილებლად, და რომ მქონდა ასეთი შემთხვევა უკვე თავს ვიკავებ, იმიტომ რომ ინტერესი გამიქრა.*

ბარბარე, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი

პედაგოგების ნაწილი ტრენინგებს, ძირითადად, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე პირებთან მუშაობის სტრატეგიების შესახებ ისურვენდნენ, ასევე, სურვილი აქვთ ჟესტური ენა შეისწავლონ. ზოგიერთი პედაგოგი აღნიშნავდა, რომ მათ საუნივერსიტეტო განათლების მიიღების სურვილიც აქვთ, თუმცა მათთვის სწავლისა და მუშაობის შეთავსება, ისევე როგორც სწავლის გადასახადის რაოდენობა, პრობლემურია:

> *რადგან ამ ბავშვებთან ვმუშაობ ძალიან მაინტერესებს ოკუპაციური თერაპია და ვფიქრობდი, ერთი პერიოდი, რომ ილიას უნივერსიტეტს აქვს მაგისტრატურა ორ წლიანი, სადაც შემეძლო ჩამებარებინა და უფრო დავუფლებოდი [ამ პროფესია], მაგალითად ყოველთვის ვამბობ და ვიტყვი, რომ მიჭირს, ვერ ვიმუშავებ აუტისტური სპექტრის [აშლილობის] მქონე ბავშვებთან, იმიტომ, რომ მე არ ვარ სპეციალისტი და შეიძლება რამე ისე ვერ გავაკეთო, ამიტომ ყოველთვის ვიკავებ თავს და დიდი მოწიწებით ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ ვმუშაობ ამ ბავშვებთან, იმიტომ რომ შინაგანად არ ვიცი. მინდოდა სწავლა მაგრამ 3000 ლარია წელიწადში გადასახდელი და ვიმუშაო თუ ის გადავიხადო? ხელმისაწვდომი არ არის.*

ბარბარე, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი

4.1.2. პედაგოგების პრობლემები

პედაგოგების ნაწილი დღის ცენტრში მუშაობით კმაყოფილია, თუმცა დაბალი ანაზღაურების საკითხი ყველა მათგანისთვის პრობლემურია. ზოგიერთი პედაგოგი აღნიშნავდა, რომ ამის გამო, ის იძულებულია მეორე სამსახურს დათანხმდეს. ბათუმის ერთ-ერთ დღის ცენტრში პედაგოგების ანაზღაურება 260 ლარია და გარდა დაკისრებულო მოვალეობისა, შესაბამისი კადრების სიმცირის გამო, მათ სხვა პასუხისმგებლობების შეთავსებაც უწევთ. ბარბარე, ერთ-ერთი სპეციალური პედაგოგი ამბობს: „260 გვაქვს ხელზე და ესეც არასტაბილური ძალიან, ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი უფლებები ამ მხრივაც დაუცველია." პედაგოგების მიერ ხელფასის მომატების საკითხი რეგიონებში უფრო მწვავედ განიხილება ვიდრე დედაქალაქში: „გამოდის რომ ენთუზიაზმზე ვმუშაობთ", ისინი ამბობენ, რომ მაღალ ანაზღაურებას არ ითხოვენ, მხოლოდ იმას, რომ თანხა მათი შრომის ადეკვატური იყოს:

> *ძალიან რთულია ვიღაცას 100 ლარზე, ბოდიში და გამოუცვალო, ძალიან რთულია, რომ ამას აკეთებს. მე ჩემს შვილს რომ ვუცვლი ეს ჩემია და სხვას რომ უცვლი, ძალიან რთულია, მარტო ჩემი ხომ, რომ ვიცი 12 წლის გოგოა და ჩვეულებრივად გამოცვლა სჭირდება, მითუმეტეს გოგოები არიან და ათასი*

პრობლემა უჩნდებათ და ხომ უნდა გამოუცვალონ ინდივიდუალურად, ძალიან ძნელია მაგრამ თანხა არ არის, მაშინ საჭმელი უნდა შეუზღუდოთ.

ლალი, მშობელი, გორი

პედაგოგების დაბალი ანაზღაურება შეუმჩნეველი არც ბენეფიციართა მშობლებს დარჩენიათ, „მაქსიმალურად იხარჯებიან პედაგოგები და ხელფასი აქვთ მინიმალური”:

ჩვენ რა დღეში ვართ მშობლები, მეც და ნებისმიერიც, საღამოთი აღარაფრის თავი აღარ გვაქვს, ერთი სული გვაქვს როგორმე დავისვენო. 15 ბავშვი რომ უზის იმას, ცოდო არ არის?!

ნონა, მშობელი, გორი

მათი თქმით, სწორედ დაბალი ანაზღაურებაა იმის მიზეზი, რომ დღის ცენტრის თანამშრომლები ხშირად იცვლებიან: „ეს პრობლემაა, რადგან ბავშვები ეჩვევიან მათ და უჭირთ განშორება.” მშობლები აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის პედაგოგთა ანაზღაურება სკოლის პედაგოგებზე გაცილებით ნაკლებია:

რუისშიც 300 ლარამდე აქვს მასწავლებელს ხელფასი, რომელსაც ჩვეულებრივი ბავშვები ჰყავს. დღის ცენტრში არიან ძალიან რთული ბავშვები და აქვთ 100 ლარი, შედარებაც არ არის.

მარიტა, მშობელი, გორი

პედაგოგები ანაზღაურების გარდა, დღის ცენტრში მუშაობის სხვა სირთულეებზეც საუბრობდნენ. მათთვის პრობლემურია ე.წ. პედაგოგის სტატუსის არქონა, რაც მათ იმ შეღავაღებს არ უწესებს, რაც სკოლის პედაგოგებს აქვთ, იქნება ეს ტრანსპორტირების შემცირებული ხარჯი, დაზღვევა, ტრენინგებში ჩართვის შესაძლებლობა (იგულისხმება მასწავლებელთა სახლი), თუ სხვა. გარდა ამისა, პედაგოგები ამბობენ, რომ შვეულებების საკთხიც მათთვის პრობლემურია, რადგან ეს პერიოდი მათ ფინანსურად არ უნაზღაურდებათ. პედაგოგების უმრავლესობა ამბობდა, რომ მათი შრომა დიდ ფიზიკურ და ემოიცურ დატვირთვას მოითხოვს და ისინი გადაღლილები არიან.

ჩვენი ერთ-ერთი პრობლემა ასევე არის ჩვენი უფლებების დაცვაც. მივესალმები და ძალიან კარგია, რომ ჩვენ ვიცავთ ამ ბავშვების უფლებებს. ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს ბავშვები ჩაერთონ დღის ცენტრის აქტივობებში, საზოგადოებრივ საქმიანობებში, მაგრამ აბსოლუტურად შემიძლია ვთქვა, რომ უგულველყოფილია ჩვენი უფლებები, სტატუსიც არ გაგვაჩნია ჩვენ როგორც პედაგოგებს სახელმწიფოს მხრიდან.

ბარბარე, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი

ზოგიერთი პედაგოგი/თერაპევტი აღნიშნავდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარბთან მუშაობის გამო, მათი საათები უნდა შემცირდეს, რაც ერთი მხრივ, დასაქმებულთა შრომას შეამსუბუქებს, მეორე მხრივ კი, მეტი ადამიანის დასაქმების შესაძლებლობას გააჩენს.

პედაგოგების ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის სირთულეებზე საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ ბენეფიციარის სქესობრივი მომწიფების პროცესში, მათ სექსუალური მოთხოვნილებები უჩნდებათ, რაზეც რეაგირებისთვის, როგორც აღმოჩნდა, მათ საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ და ზოგიერთ შემთხვევაში, არასწორ სტრატეგიას მიმართავენ:

> *თუ ბავშვი გამწვავდება, მშობელთან შეთანხმებით, რამდენიმე დღე ვტოვებთ სახლში და შემდეგ ბავშვი იქცევა კარგად, იმდენად არ უნდა სახლში დარჩენა.*

ნინო, ფსიქოლოგი, ბათუმი

> *ბიჭებს ეტყობათ რაც უნდათ, მაგრამ არ იციან, მერე არიან აგრესიულები, მერე ერთმანეთთან უნდათ, რომ ახლოს ისხდნენ, ეგ არის პრობლემა. მერე, რომ დაველაპარაკები მშობლებს ასე და ასეა, იქნებ არსებობდეს ისეთი მედიკამენტი, რომელიც ჰორმონებს დაუქვეითებს-მეთქი და პრევენციის მიზნით, რაღაც გავაკეთოთ-მეთქი, არაფერი საერთოდ. სულ ვზივარ დაძაბული.*

ნანა სპეციალრი პედაგოგი, გორი

მშობლებლების ერთი ნაწილი ამბოდა, რომ აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად საზღვარგარეთ ბენეფიციარებს მედიკამენტებს არ უნიშნავენ და საქართველოში ამგვარი პრაქტიკის არსებობის გამო, წუხილს გამოთქვამდა:

> *რასაც ევროპაში არ აძლევენ წამლებს, აქ აძლევენ „ხარის დოზას“ და ამის ფონზე მშვიდდებიან. ევროპაში ინფრასტრუქტურა და გარემოა ისე მოწყობილი, რომ არ დასჭირდეთ წამლის მიღება.*

ნუცა, მშობელი, თბილისი

გარდა სირთულეებისა, პედაგოგები დღის ცენტრში მუშაობის უპირატესობებზე საუბრობდნენ. ზოგიერთი მასწავლებელი ამბობს, რომ მოტივაციას ბენეფიციარის

წინსვლა და საკუთარი შრომის შედეგები უმაღლებს. სესილი, სპეციალური პედაგოგი ქუთაისიდან ამბობს: „შედეგს როცა ხედავ, როგორ შეიძლება თქვა, რომ დღის ცენტრის მუშაობას შედეგი არ მოაქვს, ჩვენი მუშაობის შედეგსაც ვხედავთ და ეს გვაძლებინებს და ეს სტიმულია ის, რის გამოც აქ ვართ." ზოგადად, პედაგოგები/თერაოევტები აღიშნავდნენ, რომ მათი დღის ცენტრში მუშაობა ნაყოფიერია და ბენეფიციარებს წინსვლაში ეხმარებათ.

შეჯამება

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, დღის ცენტრს რესურსებთან დაკავშირებული პრობლემები, ძირითადად, შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ადაპტირებული ტრანსპორტისა და საჭირო ინვენტარის ნაკლებობის გამო ექმნება. ზოგიერთი ბენეფიციარი დღის ცენტრის კვების რაციონითაც უკმაყოფილოა. კვლევის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, აგრეთვე, დღის ცენტრებში ადამიანური რესურსების ნაკლებობა. რაც შეეხება არსებულ კადრებს, ბენეფიციართა და მშობელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს მათ საქმიანობას. თავად პედაგოგები კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საჭირობაზე საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ დღის ცენტრს არ აქვს საშუალება პედაგოგებს ამ ტიპის მომსახურება შესთავაზოს; ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, ისინი საჭირო ტრენინგებით ურზუნველყოს. პედაგოგებისა და თერაპევტებისთვის პრობლემურია დაბალი ანაზღაურების საკითხიც. მათი დიდი ნაწილი აღიშნავდა, რომ დღის ცენტრში კადრების ნაკლებობის გამო, მათ სხვადასხვა სპეციალისტის ვალდებულებების შეთავსება უწევთ. დღის ცენტრში დასაქმებული პროფესიონალებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია, მათთვის ე.წ. „პედაგოგის სტატუსის" მინიჭების საკითხიც. სირთულეების მიუხედავად, პედაგოგები დღის ცენტრში მუშაობის უპირატესობებზე საუბრობენ და ამბობენ, რომ მათ მოტივაციას ბენეფიციარის წინსვლა და საკუთარი შრომის შედეგები უმაღლებთ.

V. ბენეფციართა ჩართვა დღის ცენტრების პროგრამაში

კვლევის მონაწილე მშობლები დღის ცენტრების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის სირთულეებზე საუბრობდნენ. იმის მიუხედავად, რომ მშობელთა უმეტესობა პროგრამაში მათი თქმით, მარტივად ჩაერთო, ზოგიერთი მათგანი ყურადღებას მოცდის პერიოდზე ამახვილებს და ამბობს, რომ დაახლოებით ერთი წელი მაინც ელოდა, სანამ ცენტრი ბენეფიციარის მიღებას შეძლებდა. გარდა ამისა, ერთ-ერთი მშობელი ამბობს, რომ პრობლემა საბუთების ხელახლა გამზადების მოთხოვნაცაა, რის გამოც, ხანდახან ბენეფიციარი დღის ცენტრის პროგრამიდან ვარდება და თავიდან უწევს რიგში ჩადგომა:

> *პრობლემა საბუთებთან [იგულისხმება ფორმა ასი, ფორმა ორმოცდაათი/ორი] ის არის, რომ ორ წლიანებს აკეთებენ და შეიძლება შეუწყდეს. მერე გიწევს გადარბენა და ბავშვი მაგ პერიოდში ვარდება დღის ცენტრიდან. მერე გიწევს იგივე პროცედურის თავიდან გავლა და ლოდინი დაახლოებით 2 თვე მაინც.*
>
> *თათული, მშობელი, გორი*

მშობლები ასევე საუბრობდნენ დღის ცენტრში ბავშვის მიყვანის გადაწყვეტილების სირთულეზე და ამბობდნენ, რომ ეს პროცესი მათთვის მარტივი არ ყოფილა:

> *სახლში მომაკითხა, [დღის ცენტრის დირექტორმა] გინდა თუ არა მოიყვანეო და მე მაშინ მართლა მიჭირდა გადაწყვეტილებ[ის] [მიღება], რომ ჩემ გარეშე სად უნდა წამეყვანა, ჩემ გარეშე სად უნდა დამეტოვებინა, ასე ვერ დავტოვდი და ბოლოს, ისე მოხდა, რომ მოვიყვანე და მართლა კმაყოფილი ვარ. ვამბობ ხოლმე, რომ ეს [დღის ცენტრი] რომ არ იყოს, რა მეშველებოდა, ჩემი ძვლებიც აღარ ივარგებს.*
>
> *ლალი, მშობელი, გორი*

ზოგიერთი მშობელი აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრში მიყვანის სურვილი არ ჰქონდა, თუმცა, თავისუფალი დროის არქონის გამო, ის დასვენებას ვერ ახერხებდა, რამაც, საბოლოოდ, შვილის დღის ცენტრის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილება მიაღებინა:

> *საერთოდ არ მინდოდა, [დღის ცენტრში შვილის მიყვანა] [...] ერთადერთი ჩემი თავისუფლების გამო მინდა იაროს, რომ პატარა ხანი დავისვენო. [...] მეუბნებოდნენ, ცოდო ხარ, ცოდო ხარ, მიიყვანეო და ვერ მიმყავდა, მეცოდებოდა [...] საღამოთი რომ მოვა სახლში იძახის არ მინდა იმ ცენტრშიო. კი, კარგია აქ ყოფნა მისთვისაც და ჩემთვისაც მაგრამ...*
>
> *ზაზა, ქუთაისი, მშობელი*

მშობლები საუბრობდნენ, რომ დღის ცენტრის შერჩევის პროცესიც რთული და დამღლელია და ზოგიერთ შემთხვევაში, არჩევანის გაკეთება ჭირს, ან თითქმის შეუძლებელია. განსაკუთრებული სტიგმა არსებობს თვითონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლების მხრიდანაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარებზე, რის გამოც, მშობლები ხშირად უარს ამბობენ იმ ცენტრზე, რომლებიც ამ ადმაიანებს ემსახურება:

ჩემი შვილი გახდა 18 წლის დავრჩით სახლში, მაშინ ეს ცენტრი არ იყო, და ძალიან განიცდიდა ჩემი შვილი ამას, რომ სახლში იჯდა ვერ მიდიოდა ბავსვებთან. მე მივედი და ვნახე ორივე ცენტრი, არც ერთი მომეწონა და არც მეორე, იმიტომ რომ ფსიქიკური პრობლემებით იყო ერთი და არ შეიძლებოდა, რადგან ჩემი შვილი არის მშვიდი, წყნარი და იმ სიტუაციაში რაღაც რომ მოხდებოდა ჩემი შვილი დაცული არ იქნებოდა. ვინმეს რამე რომ ჩაერტყა, რატომ უნდა დამეზარალებინა, ხო?! და არ მივიყვანე. ასევე არ მომეწონა მეორეც და ვიჯექით ერთ წელზე მეტი სახლში. [...] რაც გავიგე, პირველი არის ის, რომ მითხრეს ასეთები არიან და იმ წუთშივე შემოვბრუნდი და წამოვედი, მე მეტი არც მაინტერესებდა.

მაია, მშობელი, ქუთაისი

ყველა ამ აზრზეა, ანუ ის ერთ-ერთი [ფსიქიკური ჯანმრთელობის] ბაზაზე და ამით არის, შიზოფრენიით დაავადებული ადამიანები, რომელთა ქცევა არის უკონტროლო. ანუ როცა ერთ-ერთი მშობელი შევიდა სანახავად და შეესწრო მომენტს, როდესაც ვიღაცამ ერთი სკამი აიღო და ჩაარტყა მეორეს, ვიღაცამ რაღაცა ქნა, ანუ იქ უმართავი ქცევები იყო. როდესაც მოვიდნენ და მოიტანეს ამბავი რომ არ არის გამორიცხული იქ ვიღაცამ ზიანი მიაყენოს ვიღაცას და ამას ვერ აკონტროლებს ვერავინ, თავისთავად შეშინდა ყველა და ჩვენი მშობლებიდან არც არავის უცდია იქ მიყვანა ბავშვის.

მაშო, მშობელი, ქუთაისი

მშობლების ნაწილი საუბრობდა, რომ დღის ცენტრის არჩევა დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომლებსაც ცენტრის პროგრამა ბენეფიციარებს სთავაზობს:

თუ კი იქნება უფასო, იქნება ტრანსპორტით უზრუნველყოფილი მაშინ მე ავდგები და წამოვალ [სხვა] ცენტრში, თუ რაღაცით არ დავინტერესდი, რატომ გადავალ ახალ ცენტრში, თუ ისეთივე მდგომარეობა იქნება. მე მაწყობს აქაურობა, კარგი ხელმძღვანელობა ჰყავს, კარგი მასწავლებლები ჰყავს, კარგი მომვლელი, სიტუაციაც ნორმალურია, მაგრამ გადავიყვან იმ შემთხვევაში, თუკი უფასო მექნება, იგივე სიტუაცია მექნება მაგრამ დამატებით, უფასო იქნება.

კვლევის მონაწილე ბენეფიციარები, აღნიშნავენ, რომ დღის ცენტრის პროგრამაში ჩართვა არ გასჭირვებიათ: „მომეწონა, მუსიკა იყო, ხარვა იყო", „მახსოვს [პირველი დღე] და ძალიან მომეწონა, ვითამაშეთ". ისინი აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის პირობებით კმაყოფილები არიან, რადგან მათთვის სასურველი პირობები და გარემო დახვდათ. თუმცა, ზოგიერთი ბენეფიციარი ამბობს, რომ თავიდან დღის ცენტრში თავს უცხოდ გრძობდა, რასაც მალევე მიეჩვია: „მე ვიყავი ძალიან წყნარად, ძალიან უცხოდ და არ მინდოდა თავიდან და მერე მივეჩვიე", „სხვანაირ ადგილას რომ ვიყავი მაგიტომ მეუცხოვა და არ მინდოდა." ბენეფიციარები ამბობდნენ, რომ დღის ცენტრის გარემოს სხვა ბენეფიციარებთან ურთიერთობამ მიაჩვია და ახლა შედეგითაც კმაყოფილები არიან: „დღის ცენტრში ყოფნა არის საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთი ფორმა. ჩვენ არ გაგვჭირვებია. პირიქით, ძალიან იოლად შევეგუეთ. ძალიან კმაყოფილი ვართ და პირველი დღიდან სიამოვნებით დავდივარ."

შეჯამება

მშობლების ნაწილი დღის ცენტრის პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის სირთულეებზე საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი დღის ცენტრის სერვისის მიღებას, დაახლოებით, ერთი წელი ელოდნენ. ისინი, ასევე, აღნიშნავდნენ, რომ თავიდან დღის ცენტრში შვილის მიყვანა გაუჭირდათ, რადგან ბავშვის მარტო დატოვების ეშინოდათ. თავად ბენეფიციარები კი აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრს ადვილად მიეჩვივნენ და უმეტესობა გაწეული სერვისით კმაყოფილია. როგორც კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, მშობელთა ნაწილი უარს ამბობს შვილის იმ დღის ცენტრში მიყვანაზე, სადაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციარები დადიან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სტიგმას ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ.

VI. დღის ცენტრის პროგრამების შეფასება

კვლევის მონაწილეებმა დღის ცენტრის პროგრამის შეფასების დროს, რამდენიმე საკითხზე გაამახვილეს ყურადღება. ძირითადად, მათი შეფასებები ბენეფიციართა ინდივიდუალურ გეგმებს, მათი აღრიცხვის წესსა და ცენტრის გრაფიკს, სხვადასხვა გაკვეთილებსა და აქტივოებებს შეეხებოდა.

5.1. ბენეფციაირტთა ინდივიდუალური გეგმები

პედაგოგებისა და თერაპევტების ინფორმაციით, ინდივიდუალურ გეგმა ბენეფიციარებისთვის ექვს თვეში ერთხელ ინდივიდის საჭიროებებისა და ცენტრის შესაძლებლობის მიხედვით დგება. საჭიროებების გამოსავლენად, პედაგოგთა უმრავლესომა, ხშირ შემთხვევაში, იყენებს ე.წ. „გაბზის" ინსტრუმენტს, რომელიც ცხოვრების სტილის გამოკითხვას, ანუ ინდივიდუალური შეფასების ტესტებს წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთი პედაგოგი ამბობდა, რომ ხშირად შეფასებას საკუთარ გამოდცილებაზე დაყრდნობით აკეთებს:

> *ჩვენ ოფიციალურად ვეყრდნობით ინსტრუმენტ „გაბზის", მაგრამ არაოფიციალურად ვეყრდნობი ჩემს გამოცდილებას. ოფიციალურად გაბზის საფუძველზე იწერება პირედი საქმე დოკუმენტი ეს არის, მაგრამ იმის გარდა ბავშვზე ფსიქოლოგიური დაკვირვება ჩემი პროფესიული გამოცდილება მაძლევს. განათლება და გამოცდილება მაძლევს იმის საშუალებას რომ ყველა სხვა ტესტი გამოვიყენო.*
>
> *ნინო, ფსიქოლოგი, ბათუმი*

პედაგოგებისა და თერაპევტების ნაწილი ინდივიდუალურ გეგმებთან დაკავშირებულ ხარვეზებზე საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ ხშირად, ბენეფიციართა ჭარბი რაოდენობა ხელს უშლის გეგმების განხორციელებას. დაბრკოლებებს ინდივიდუალური გეგმის შესრულებაში ძირითადად შემდეგი ფაქტორები წარმოადგენენ: გასვლითი ღონისძიებები, ბენეფიციართა ჯანმრთელობის პრობლემები და ხშირი გაცდენები. პედაგოგები ასევე, მნიშვნელოვანად მიიჩნევენ დღის ცენტრებში ბენეფიციარებთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის არსებობას, რადგან ხშირად, არასაკმარისი ფართის გამო, მუშაობა ჯგუფურად მიმდინარეობს. ბათუმის დღის ცენტრის ზოგიერთი პედაგოგი აღნიშნავდა, რომ ხშირია ინდივიდუალური გეგმის მისაღწევად საჭირო რესურსების ნაკლებობაც, რაც მათ ეფექტური შდეგების მიღწევაში უშლით ხელს:

> *მე კი ვიცი, რომ ინდივიდუალურ გეგმაში უნდა გავწერო, რომ ნიკას უნდა ვასწავლო კოვზით შეჭამოს საჭმელი, მაგრამ ამისთვის მჭირდება ყველა სხვადასხვა ბავშვისთვის განსაკუთრებული ჭურჭელი, განსაკუთრებული ხელის ჩაჭიდება, ეს მასალები არის მიუწვდომელი.*

ბარბარე, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი

ეფექტური შედეგების მისაღწევად, პედაგოგების ნაწილი აღნიშნავდა, რომ მშობლების ჩართულობაა აუცილებელი, მათგან უკუკავშირის მიღება კი, ხშირად, პრობლემას წარმოადგენს:

> *ჩემი პირადი გამოცდილებიდან მუშაობის პროცესში, მშობელთან ურთიერთობა, მისი მოყვანა, მისი წაკითხვა დოკუმენტის, განხილვა ადგილზე და შემდეგ მშობლის უკუკავშირის მიღება ეს სირთულეს წარმოადგენს, იმიტომ, რომ ყოველთვის აქვთ მიზეზი, თქვენ დაწერეთ და მე ვეთანხმები. მშობლის ნაკლები ინტერესი.*

ბარბარე, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი

> *ჩვენ ვმუშაობთ ინტენსიურად, მერე ვავალებთ მშობელს, რომ სახლშიც ავარჯიშოს ბავშვი, ყოველთვის გვაქვს თანხმობა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვერ, ან არ სრულდება.*

მარიამი, ფსიქოლოგი, თბილისი

პედაგოგების ნაწილი აღნიშნავდა, რომ „არიან მშობლები რომელბიც დიდი სიამოვნებით 24 საათი დატოვებდნენ შვილებს დღის ცენტრებში." მშობლების აქტიურობის ნაკლებობას ზოგიერთი პედაგოგი ოჯახებში არსებული სოციალური პრობლემებით ხსნის და ამბობს: „იმდენი საფიქრალი და სადარდებელი აქვთ, თუნდაც როგორ გამოკვებონ შვილი, აკადემიურ უნარებზე მეტად, ის ლუკმა-პურის შოვნა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის." სწორედ ამიტომ, პედაგოგები ამბობენ, რომ მშობლებს მეტი თანადგომა ესაჭიროებათ. პედაგოგების ნაწილი არ იზიარებს ამ მოსაზრებს და აღნიშნავს, რომ მშობლები საკმარისად არიან ჩართულები ინდივიდუალური პროგრამის შემუშავების პროცესში, რისთვისაც წიანსწარ იგეგმება მათთან ინტერვიუ. თავის მხრივ, მშობლებიც აღნიშნავენ, რომ ინდივიდულურ გეგმის შედგენის პროცესში ჩართულები არიან: „ერთობლივად დგება, ჩვენი და შვილების სურბულებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით".

პედაგოგები და თერაპევტები აღნიშნავენ, რომ ბენეფიციართან მუშაობის შედეგები ყველა მათგანისთვის ინდივიდუალურია: „ამ შედეგს უფრო პროგრესი ქვია, რომელიც ეტაპობრივად იზრდება." მშობლები ამბობენ, რომ შედეგები ხანდახან ბენეფიციარების შესაძლებლობაზეც არის დამოკიდებული, თუმცა, ისინი კმაყოფილები არიან მინიმალური შედეგებითაც: „რასაც მიაღწევს მიაღწევს რასაც ვერა და ეგ არ არის ქვეყნის დაქცევა. მერე შეიძლება სხვა მოკლე მიზანიც [დაისახოს], რომლის მიხედვითად წავა."

5.2. ბენეფიციარების აღრიცხვა და გრაფიკი

პედაგოგები ბენეფიციართა აღრიცხვის პროცედურაზე საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ 2017 წლის იანვრიდან (ჯერ-ჯერობით არაოფიციალურად), ელექტრონული აღრიცხვის სისტემა დაწესდა. ზოგადად, აღრიცხვის დროს ბენეფიციართა მოსვლისა და წასვლის დრო ფიქსირდება. პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ აღრიცვა პრობლემურია, ვინაიდან ამ პროცესს დიდი დრო მიაქვს:

> *არის ისეთი შემთხვევები რომ მშობელს ბავშვი რამდენჯერმე გადის და შემოდის და ეს ყველაფერი უნდა აფიქსირო, ჩემთვის რთულია იმიტომ, რომ მე ბავშვს უნდა მივხედო, თუ ინტერნეტში იმდენჯერ უნდა შევიდე რამდენჯერაც გაიყვანენ და შემოიყვანენ ბავშვს.*
>
> *ანა, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი*

პედაგოგებისა და თერაპევტების აზრით, აღრიცხვაში დახარჯული დრო, პირველ რიგში, ბენეფიციართან მუშაობის პროცესს აკლდება. აღრიცხვის საჭიროება სტანდარტში ბენეფიციარის მიერ დღის ცენტრში გარკვეული საათების გატარების აუცილებლობის დაწესებამ გამოიწვია და თუ ბენეფიციარი ამ წესს არ დაემორჩილება, პედაგოგების თქმით, ის ვაუჩერით გათვალისწინებულ თანხას ვერ მიიღებს. პედაგოგების აზრით, საათობრივი ლიმიტი ბენეფიციარებს ხელს უშლით სხვა აქტივობებით დაკავდნენ, მაგალითად, დამატებით წრეებზე იარონ, ცურვაზე, ან სპორტზე. ამ ტიპის გრაფიკი ხელს უშლით დღის ცენტრებს ტრანპორტირების დროსაც, მაგალითად, ბათუმში ზოგიერთ დღის ცენტრს ორი ტრანსპორტის დაქირავება უწევს, იმ მიზნით, რომ ქალაქიდან დაშორებული ადგილებიდან ბენეფიციართა დროული ტრანსპორტირება შეძლოს:

> *ვთქვათ, ერთი ბავშვი გყვავს განთიადიდან, არიან ბავშვები, რომლებიც მიდიან ხელვაჩაურში და გონიოში, რა ვქნა, ჩავსვა ყველა ეს ბავშვი და წავიყვანო განთიადში და დავტოვო ის ერთი?! [...] და ჩემი უფლება? მე რომ დიდხანს ვრჩები? აქედან გამომდინარე, ჩვენს ხელმძღვანეს ორი ტრანსპორტი ჰყავდა რამდენიმეჯერ, მაგრამ ესეც ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ყველანაირად ცდილობდა, რომ სიცივის და სიცხის დროს ყოლოდა ორი ტრანსპორტი, მაგრამ, აშკარად, დღის ცენტრის ბიუჯეტს ეს ძალიან უჭირს.*
>
> *თამთა, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი*

გარდა ამისა, ბენეფიციართა მშობლების ნაწილი აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრის სამუშაო საათები არ არის საკმრისი, იმისთვის, რომ მშობელმა სამსახურში სიარული მოახერხოს:

ამ შემთხვევაში [დღის ცენტრის მომსახურების დრო თუ გაიზრდება] დედაც დასაქმდება, მიჯაჭვული არ იქნები ოთხ კედელს და მოლოდინში არ ვიქნები როდის მოვა ბავშვი. იმის საშუალება არ გვაქვს, რომ ძიძა ავუყვანოთ და ჩვენ ვიმუშავოთ. 10 დან 6-მდე რომ იყოს რაღაცას გამოძებნი, იმისთვის მაინც რომ განიტვირთო.

ალისა, მშობელი, ბათუმი

ბენეფიციარების ნაწილსაც დღის ცენტრში მეტი დღის გატარება სურს: „უფრო დიდი ხანი მინდა, ვთამაშობ და იმიტომ", თუმცა ზოგიერთი მათგანი აღნიშნავდა რომ დღის ცენტრის მომსახურების საათები სრულიად საკმარისია.

5.3. დღის ცენტრების გაკვეთილები და პროგრამები

პედაგოგები ამბობენ, რომ ყველა დღის ცენტრს განსხვავებული პროგრამა აქვს, თუმცა ბენეფიციარს თამაშისა და დასვენებისთვის თავისუფალი დროც ეძლევა. აქტივობების შერჩევა და ბენეფიციარის ჩართვა ამა თუ იმ აქტივობაში მათი ინდივიდუალური შესაძებლობის გავალისწინებით ხდება, „ყველას ხატვა არ შემუძლია, წერა არ შეუძლია, ლექსის თქმა არ შეუძია, ამის მიხედვით წყდება". ასევე, გაკვეთილების დროს ყურადრება ექცევა ჯგუფების დაკომპლექტებასაც: „ვცდილობთ ისე გადავანაწილოთ, რომ ერთ ჯგუფში არ მოხვდეს ბევრი რთული ქცევის მქონე ბავშვი, გვყავს ისეთი შშმ პირი, რომელიც საერთოდ არ მეცადინეობს, მაგრამ ყურადღება უნდა მიაწციო, რომ სხვას არ შეუშალოს ხელი მუშაობაში." ბენეფიციარები ამბობენ, რომ გავკეთილებზე დასწრება მათ სურვილზეა დამოკიდებული და თუ არ სურთ რაიმე აქტივობაში მონაწილეობა, შეუძლიათ დაასწრებაზე უარი თქვან: „დაძალებით არაფერი არ არის, თუკი არ გვინდა ჩვენ."

მშობლების უმრავლესობა დღის ცენტრის პროგრამით კმაყოფილია: „როგორც ჯგუფური, ასევე, ინდივიდუალური მეცადინეობები აქვთ, გვყავს ლოგოპედი, ფსიქოლოგი, მუსიკა აქვთ კვირაში ორჯერ, ექსკურსიაზე დაყავთ მუდმივად", „ხის სათამაშოებს აკეთებენ, ამ ცენტრში, და ბავშვები იმდენად არიან დაინტერესებულები ამ ყველაფრის შექმნით, უდიდესი ინტერესი და უდიდესი მოტივაცია აქვთ." თუმცა, მშობლების ნაწილს დღის ცენტრებში გარკვეული აქტივობების და გავკეთილების დამატების სრვილი აქვთ „განსაკუთრებით კომპიტერის და ინტერნეტის მოხმარება რომ ისწავლონ." ზოგიერთ მათგანს, კი სურს, რომ სწავლას მეტი ყურადღება დაეთმოს, ვიდრე გართობას:

განსაზღვრული დრო უნდა დაეთმოს სწავლა-განათლებას და განსაზღვრული დრო გართობას, მარტო გართობა არაა დღის ცენტრი, მე უფრო მინდა ისწავლოს ჩემმა შვილმა ვიდრე გაერთოს, გართობის დრო სახლშიც აქვს, სწავლობს, რა თქმა უნდა, მაგრამ მეტიც შეიძლება.

მერი, მშობელი, ბათუმი

პედაგოგების ნაწილი საუბრობდა, რომ სხვადასხვა გარე აქტივობას, ხშირად, ხელს ხელმისაწვდომი გარემოს არარსებობა უშლის:

> *მე ვფიქრობ, რომ თვეში ერთხელ მაინც დღის ცენტრში უნდა მოხდეს ისე რომ ამ ბავშვების ჩართვა მოხდეს საზოგადოებაში. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ რომ დღესასწაულის გარდა ისედაც გავიყვანოთ, მაგრამ ძალიან რთულია რადგან დღის ცენტრში თითქმის ადაპტირებული გვაქვს ყველაფერი და გვიიოლდება უფრო.*
>
> *ბარბარე, სპეც პედაგგი, ბათუმი*

პედაგოგები ამბობენ, რომ გარე აქტივობები ძალიან მნიშვნელოვანია ბენეფიციარებისთვის, რადგან ხშირად ოჯახსაც არ აქვს პირობები ბავშვი გარეთ გაიყვანოს: „ჩვენი ბავშვებისთვის აუცილებელია ეს ყველაფერი, როცა ოჯახიდან მოკლებული არიან ამ ყველაფერს, ჩვენ უნდა შევუვსოთ".

ბენეფიციარების უმრავლესობა კმაყოფილია დღის ცენტრის პროგრამით. ხანდაზმული ბენეფიციარები დღეს სხვადასხვანაირად ატარებენ, ჭადრაკს თამაშობენ, მედიას ეცნობიან და ლიტერატურულ საღამოებსა და საინტერესო თემებზე სემინარებს ატარებენ:

> *გამოწერილი გვაქვს ჟურნალები და გაზეთები. გვაქვს გასართობი საშუალებები: ჭარდაკი, დომინო, ნარდი, ლოტო და ა.შ. მუშაობს ტელევიზორი, გვაქვს რადიომიმღები, ვიღებთ ინფორმაციას, ვერთობით, ვუყურებთ ფილმებს, ვისმენთ უკანასკნელ ცნობებს, საინფორმაციო გამოშვებებს, სატელევიზიო მოვლენებს. ისე კარგად არის ეს ყველაფერი აწყობილი, რომ დრო გადის შეუმჩნევლად და საინტერესოდ.*
>
> *რობერტი, ბენეფიციარი, თბილისი*

თუმცა, ზოგიერთი ბენეფიციარი ამბობდა, რომ დღის ცენტრში გარკვეული გაკვეთილების, მაგალითად, ისტორიისა და უცხო ენების, ასევე, სხვადასხვა აქტივობების, სპორტისა და კულინარიის წრეების დამატებას ისურვებდნენ. ერთ-ერთი ბენეფიციარი ამბობდა, რომ საინტერესო იქნებოდა, თუ მათ, დროგამოშვებით, სხვადასხვა თემაზე ლექციებს წაუკითხავდნენ: „თუნდაც დღესდღეობით ოჯახში ძალადობა აქტუალური თემა არის და ვისურვებდი ტრენინგები ამ თემაზე ხშირად ჩატარდეს." ასევე, ისინი ფიქრობენ, რომ კარგი იქნება, თუ დღის ცენტრები ერთმანეთთან ითანამშრომლებენ და გარკვეულ აქტივობებს გააერთიანებენ, ან ერთმანეთის ღონისძიებებზე დაპატიჟებენ ბენეფიციარებს.

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის მუნიციპალიტეტებს, გარკვეული გარე

აქტივობები დაუფინანსებიათ, თუმცა ისინი ამბობენ, რომ სახელმწიფოს მეტად შეუძლია დღის ცენტრებს ამ მიმართულებით დაეხმაროს. მაგალითად, შესაძლებელია, რომ მათთვის შემცირდეს მუზეუმებსა და სხვა ფასიან დაწესებულებებში ბილეთების ფასი: „იგივე ზოოპარკში შესვლა მაინც იყოს უფასო, ან ცირკის ბილეთები გამოყონ, ან საახალწლო ღონისძიებებზე გამოუყონ ადგილები".

რაც შეეხება დღის ცენტრის მიერ ბენეფიციარის დასაქმების ხელშეწყობას, პედაგოგები ამბობენ, რომ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ამ კუთხით, მხარი დაუჭირონ. პედაგოგები ამბობენ, რომ დღის ცენტრის ერთ-ერთი მიზანი ბენეფიციარის დასაქმებისთვის მომზადება და შემგომი ხელშეწყობა უნდა იყოს, თუმცა, ამის მისაღწევად სახელმწიფოს ჩართულობა აუცილებელია:

> *მხოლოდ დასაქმება ხომ არაა?! უნდა მიიღოს ანაზღაურება, ხომ?! გვაქვს იგივე ის ხის საამქროები, იგივე სამკერვალოები, მაგრამ რთულია გახდეს ასეთი ორგანიზაცია კონკურენტუნარიანი, აწყობენ გამოფენებს, ვყიდით ნაუშვრებს, მაგრამ არ იყიდება ის რაოდენობა, ამიტომ სულ ჭირდება ამ ყველაფერს წახალისება, გვერდით დგომა და ხელშეწყობა.*
>
> *ტარიელი, ოკუპაციური თერაპევტი, თბილისი*

ბენეფიციართა უმრავლესობა დასაქამების სურვილს გამოთქვამს, ზოგიერთ დღის ცენტრს კი ამის გამოცდილებაც აქვს.

შეჯამება

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა, დღის ცენტრის პროგრამის შეფასების დროს, რამდენიმე საკითხზე გაამახვილეს ყურადღება. პედაგოგების ნაწილი ამბობდა, რომ ბენეფიციარების ინდივიიდუალურ გეგმის განხორციელებას გარკვეული სირთულეები ახლავს თან, მაგალითად, ბენეფიციართა ჭარბი რაოდენობა შეუძლებელს ხდის მათთან ინდივიდუალურ მუშაობას. ასევე, გამოიკვეთა, ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში, მშობლების ჩართულობის აუცილებლობა, თუმცა, პედაგოგების აზრით, მშობლები არ არიან ამ კუთხით აქტიურები. პედაგოგების უკმაყოფილება ახლავს ბენეფიციართა აღრიცხვის პროცედურასაც, რასაც დიდი დრო მიაქვს და ბენეფიციართან მუშაობის პროცესს აფერხებს. ბენეფიციართა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ დღის ცენტრში მეტი დროის გატარება შეეძლებოდა. რაც შეეხება დღის ცენტრის პროგრამას, კერძოდ, გაკვეთილებს, სახელოსნოებსა და აქტივობებს, მშობელთა უმრავლესობა არსებული მომსახურებით კმაყოფილია, თუმცა, როგორც მშობლები, ისე ბენეფიციარები გარკვეული გაკვეთილებისა და აქტივობების დამატებას ისურვებდნენ. პედაგოგები ფიქრობენ, რომ მნიშვნლოვანია სახელმწიფომ გამოიჩინოს ინიციატივა და დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის შეღავათიანი ფასები დააწესოს სხვადასხვა დაწესებულებაში შესასვლელად, რაც გაზრდის ბენეფიციართათვის დღის ცენტრების

მიერ დაგეგმილ აქტივობათა რიცხვს. დასაქმების ხელშეწობის კუთხით კი, ბენეფიციართა უმრავლესობა ამბობდა, რომ საქამების დიდი სურვილი აქვთ, პედაგოგები კი ამ პროცესში სახელმწიფოს ჩართულობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

VII. დღის ცენტრის ფუნქცია

დღის ცენტრების პედაგოგები და თერაპევტები დღის ცენტრის ფუნქციაზე საუბრობდნენ. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ დღის ცენტრს მხოლოდ კვებისა და გართობის ფუნქცია არ უნდა ჰქობდეს: „რადა ზუსტად ეგ ხდება ფაქტიურად, ჭამა-სმა ცეკვა-თამაში." მშობლების მცირე ნაწილი ამბობს, რომ დღის ცენტრის ფუნქცია არ ესმის და მის შედეგებს ვერ ხედავს:

> *არ მინდა რაა [დღის ცენტრში შვილის ტარება], შედეგს ვერ ვხედავ ვერანაირს აბსოლუტურად. ერთი წელია რაც დადის და მაგის ცვლილება რამე საუკეთესოსკენ აბსოლუტურად არ არის. პირიქით უფრო და უფრო გონებრივად, უფრო სხვანაირად. მას [ისეთი დიაგნოზი აქვს] რაც უფრო დრო გადის მით უფრო უვითარდება, პროგრესირებს უფრო. შედეგი, ვითომ რამეს მიეჩვია: ერთადერთი რაც შევამჩნიე, როდესაც შეჭამს, თეფშს კიდებს ხელს და მიაქვს ნიჟარაში.*
>
> *ზაზა მშობელი, ქუთაისი*

მშობელთა ნაწილი დღის ცენტრს საზღვარგარეთ არსებულ სარეაბილიტაციო ცენტებს ადარებს და ამბობს, რომ დღის ცენტრებს მსგავსი მომსახურება საქართველოში არ აქვთ:

> *ისეთი შენობა იყო, რომ კარების მაგივრად იყო სარკეები, ჩვენ ვხედავდით გარედან რა ხდებოდა სიგნით. მშვენივრად ბავშვები თავისთვის, 8 ბავშვი იყო ჯგუფში ასაკობრივად დაყოფილები. [...] ჩამოვედით ქუთაისში და სკოლაში, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, რადგან [შეზღუდული შესაძლებლობის მქონე] ბავშვი იყო, ეტლში იჯდა და ვინ მიიღებდა სკოლაში, მსგავსი რამ არ არსებობდა მაგ დროს. [...] 2000 წელიც არ იყო მემგონი. პირველად ჩემი მეუღლე იყო ამ [დღის] ცენტრში და მითხრა, შენ არ წახვიდე იქო, ვიფიქრე, რატომ არ უნდა წავიდე-თქო, მაგრამ მერე მივხვდი, იმდენად განვიცადე ამდენი ბავშვის ერთად ნახვა კინაღამ მოვკვდი. [...] პატარაობიდანვე ჰქონდა სურვილი, რომ ხალხთან ყოფილიყო და ესაუბრ,ა ველარ ჩავკეტე, ჩემთვის სახლში მყოლოდა და ჩემი ზედამხედველობის ქვეშ ყოფილიყო, მარტო ეს ველარ გავაკეთე, იმიტომ, რომ თვითონ ბავშვი შემეცოდა. მინდოდა რაღაც ენახა, ესწავლა, ამხანაგები ყოლოდა და დამეგობრებოდა ვინმეს და ამის გულისთვის გადავწყვიტე უფრო.*
>
> *მაია, მშობელი, ქუთაისი*

პედაგოგების ნაწილი, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ დღის ცენტრმა ბენეფიციართა ცხოვრება დადებითი კუთხით: „იმდენი მარტოხელა გვყავს, ის ურთიერთობა, კომუნიკაცია ახარებთ, სამსახურივით აქვთ ეს დღის ცენტრი." პედაგოგები ამბობენ, რომ დღის ცენტრმა ბევრი ბენეფიციარისთვის იმ უნარ-ჩვევების განვითარებას შეუწყო ხელი, რასაც ისინი სკოლებში ვერ მიიღებდნენ:

> *დღის ცენტრები ისეთ საქმეს აკეთებს, რასაც სკოლა ვერცერთ შემთხვევაში ვერ გააკეთებს. მშობელი ვერ ასწავლის, ან არ ასწავლის, იმას ვასწავლით, ამ უნარებზე ვმუშაობთ. ჩვენ გვყავს ბავშვები, რომლებიც წავიდნენ ჩვენგან, პროფესიულ სასწავლებელში, დახელოვნდნენ და დღეს საკუთარი შემოსავლის წყარო აქვთ"*
>
> *თეკლა, სპეციალური პედაგოგი, ბათუმი*

მშობლების აზრით, დღის ცენტრს დადებითი გავლენა აქვს მათ შვილებზე და ცენტრი მათი მაღალი სანდოობით სარგებლობს:

> *აქ ძალიან მოწონს, შეეგუა ადვილად, იმდენად კარგები არიან, ყველამ თავი შეაყვარა, ცენტრში სიარული უხარია, [...] ჩემთვის, როგორც მშობლისთვის, როცა ის სახლშია მე უფრო მშვიდად ვარ, მაგრამ მას იქ ურჩევნია ყოფნა,. [...]იმდენად ჩემზე იყო მოწებებული, რომ, როგორც კი ვერ მხედავდა ტიროდა, ცუდად იყო, ახლა ძალიან კარგად გრძნობს თავს.*
>
> *სოფო, მშობელი, თბილისი*

მშობლების უმეტესობა ამბობს, რომ დღის ცენტმა მათი მოლოდინი გაამართლა. ისინი ყურადღებას ბენეფიციარების მიერ მიღწელ პროგრესზე ამახვილებდნენ: „რა შედარებაა 70-80% ბავშვისა უკეთესობისკენაა გამოსული." გარდა ამისა, მათი აზრით, დღის ცენტრის წყალობით, ბავშვები მეტად დამოუკიდებელი გახდენ. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრი საუკეთესო საშუალებაა სოციალიზაციისთვის, ბავშვები უფრო კომუნიკაბეულრები გახდნენ და მეგორები შეიძინეს:

> *უკეთ გრძნობენ თავს, ხედავენ მათნაირებს, თავის ენაზე ესაუბრებიან ერთმაენთს, უკეთესად არიან ერთად. შაბათ-კვირა არის კატასტროფა. შაბათ-კვირას ჩემი შვილი არ დგება საწოლიდან, რადგან არსად არ მიდის, კომპიუტერით ერთობა, კვირას ძლივს ვითანხმებ ადგომაზე რადგან მომდევნო დღეს მიდის დღის ცენტრში და მაგის ხათრით.*
>
> *ალისა, მშობელი, ბათუმი*

როგორც კვლევამ აჩვენა, დღის ცენტრს განსაკუთრებული ფუნქცია ოჯახის დამხმარე სერვისის თვალსაზრისითაც აკისრია. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრში

შვილის მიყვანის შემდეგ, მათ შორის მიჯაჭვულობის პრობლემა მოიხსნა და მდგომაროება ამ მხრივ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა: „აქამდე [ბავშვს] დამონებული ვყავდი, ახლა სიტუაცია შეიცვალა.

თავად ბენეფიციარები ამბობდნენ, რომ დღის ცენტრის პროგრამაში ჩართვის შემდეგ, ისინი უფრო კარგად გრძნობენ თავს: „აქ მირჩევნია, სახლში რომ ვარ შაბათ-კვირასაც მიჭირს ხოლმე." ხანდაზმული ბენეფიციარების შემთხვევაში, დღის ცენტრს განსაკუთრეებული როლი აკისრია, ისინი ამბობენ, რომ დღის ცენტრში სიარულის შემდეგ, ისინი თავს საზოგადოებისგან გარყიდულად აღარ გრძნობენ:

> *სანამ დღის ცენტრში მივიდოდი, თავს ვგრძნობდი გარიყულად, მარტოსულად. რაც დღის ცენტრში მივედი, გავხდი უფრო კომუნიკაბელური და უფრო მიმტევებელი. ისეთი წვრილმანები აღარ მაღიზიანებს. უფრო მესმის ხანდაზმული ადამიანების. მათი ხასიათი გავიგე, ქცევები, მათი ჩვევები. შემძინა დადებითი თვისებები და გავხდი უფრო ტოლერანტი ასაკოვანი ადამიანების მიმართ.*
>
> *რობერტი, ბენეფიციარი, თბილისი*

რაც შეეხება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარებს, ისინი აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის თერაპიის სერვისი მათ სირთულეების გადალახვაში დაეხმარა:

> *სანამ ცენტრში მივიდოდი, ჩემი დაავადების შესახებ არ ვიცოდი. იქ გავიარე კურსები ჩემს დაავადებასთან, მედიკამენტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ვისწავლე ისეთი რამეები, როგორიცაა თექა[ზე მუშაობა], კერვა, ქსოვა. ეს ყველაფერი დამეხმარა გამოფენებში მიმეღო მონაწილეობა. ამჟამად ვაკეთებ მატყლისგან სურათებს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, მუსიკის მასწავლებელი ვარ, სამწუხაროდ, ჩემი დაავადების გამო, სამსახურიც დავკარგე. ვმუშაობდი სკოლაშიც და საბავშვო ბაღშიც. ახლა კი შემიძლია, მაგრამ ფაქტიურად აღარ არსებობს მუსიკალური სკოლები. თერაპიამ გამომიყვანა მდგომარეობიდან. არტ-თერაპიამ, თიხაზე მუშაობით და ხატვით ვიყავით დაკავებული და ამას გამოვყავდით მდგომარეობიდან.*
>
> *ნანა, ბენეფიციარი, თბილისი*

თუმცა, ბენეფიციართა მცირე ნაწილი ასევე აღნიშნავდა, რომ დღის ცენტრში ივლის თუ არა, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს: „ჩემთვის სულ ერთია, უბრალოდ მეტი გამოსავალი არ მაქვს, დასვენებით მაინც აქ ვისვენებთ."

შეჯამება

კვლევის მონაწილეები დღის ცენტრების მნიშვნელობაზე საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მათ მხოლოდ კვებისა და გართობის ფუნქცია არ უნდა ჰქონდეს. პედაგოგების ნაწილის აზრით, დღის ცენტრმა დადებითი როლი შეარულა ბენეფიციარების ცხოვრების გაუმჯობესებაში. დღის ცენტრში დასაქმებული პროფესიონალები აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთ ბენეფიციართან მათ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით, რასაც მხოლოდ სკოლა ვერ უზრუნველყოფდა. როგორც კვლევამ ცხადყო, დღის ცენტრები მშობლების მაღალი სანდოობით სარგებლობს და მათი შვილების დამოუკიდებელ ცხოვრებას უწყობს ხელს. მშობლების აზრით, დღის ცენტრის მთავარი ფუნქცია ბენეფიციართა სოციალიზაციაა, თუმცა, ის დღემდე შეუცვლელ სერვისად რჩება მშობლებისთვის ოჯახის მხარდაჭერის კუთხით. თავად ბენეფიციარები მათზე დღის ცენტრის დადებით გავლენაზე საუბრობდნენ. როგორც აღმოჩნდა, ხანდაზმული ბენეფიციარების შემთხვევაში, დღის ცენტრმა განსაკუთრებული როლი შეასრულა იმ კუთხით, რომ ისინი თავს მარტოსულად და გარიყულად აღარ გრძნობენ. პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციარებსაც; ისინი აღნიშნავდნენ, რომ დღის ცენტრის თერაპიის სერვისი მათ ცხოვრების სირთულეების გადალახვაში დაეხმარა.